

178 /
1991/2

ISSN 0868-4537



292

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

1991'6

IUS

**მთავარი რედაქტორი
თევდოზე ნინია**

სარედაქციო კოლეგია:

- ვანა აბაქელია,**
ანგი არსენაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
- გელა ბარქანიანი**
(მთავარი რედაქტორის მოადგილე),
- ოთარ ბაგრატიანი,**
რეზა ბერიძე,
ავთანდილ დემეტრაშვილი,
მისერილ ქავთაძე,
მზია ლომიძე,
ალექსანდრე თალიაშვილი,
რუსუდან პიტაძე,
ჯონი ჯალაღანი.

**ტექნიკური რედაქტორი
ბუნიაზი ბერიძე**

სარედაქციო საბჭო:

ვასტანო აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანდრე ბაბიანი, მვტინი ბენდელიანი, გივი ინჟინიკიანი, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნიკიტიანი, ვასტანო რაჭველი, ჯურჯ კახიანი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უგრაძე, ანდრე ფალიაშვილი, იაკოვ ფუტყაძე, თამარ უტყაძე, ალექსანდრე ურუხაშვილი, ირაკლი ნიქოზანი, დილარ ხაბუ-ლიანი, ჯონი ხეცურია, სერგო ჯორჯანიანი.



საბარათალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

292

№ 6 1991

036060

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

✓ თვალსაზრისი ლალო ზანტუჩი — მიწაზე კერძო საკუთრება — გზა სამომავლოდ	2
კანონის კომენტარი აკოლონ ფალიაშვილი — ჩხრეკა და ამოღება: პროცესუალური წესი და ტექტიკა	15
პრაქტიკა შოთა ფაფიაშვილი — დანაშაულთა ჩადენის ხერხების ცნება, არსი და მათი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა	25
დავით ცინცაძე — საზოგადოებრიობის თანადგომითა და მხარდაჭერით	32
საბარათლის ისტორია ზიორზი ნადარეიშვილი — სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში	35
სინაღლენი კანონმდებლობაში	41
დოკუმენტები კონვენცია სამხედრო დანაშაულობებისადმი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ხანდაზმულობის მიუღებლობის შესახებ	54
დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ	57
ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის II დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ	59
იურიდიული რუკა ჰინჯარდ შტაიზმანი — გერმანია — სამართალი და კონსტიტუცია	69
ინფორმაცია	80

ლადო ხანჭავია

მინაზე კერძო საკუთრება — გზა სამოქალაქო


საქართველოში საშუაოდ გადასაწყვეტ პრობლემათაგან უმთავრესი ალბათ მიწის საკითხია. საშუაოდ გადასაწყვეტა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ნაჩქარევად, ნაუცბათევად და მოუფიქრებლად ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც შესაძლოა ახალი უბედურების საფუძველი გახდეს. მიწის საკითხის აქტუალობასა და მის უდაოდ დიდ მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ თითქმის ყველა ცდილობს გამოთქვას თავისი „კომპეტენტური“ მოსაზრება ამ პრობლემაზე.

როდესაც მიწის საკითხზე ვლაპარაკობთ, უწინარესად, საკუთრების პრობლემა იგულისხმება. ვინ უნდა იყოს მესაკუთრე? შეიძლება თუ არა მიწის კერძო საკუთრების დაშვება? როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრებიდან საკუთრების სხვა ფორმებზე გადასვლა? რეალურად რას მოგვცემს ამგვარი განსახელმწიფოებრიობა? აი, საკითხების ის წრე, რომელიც დღეს მეტნაკლებად ყველას აღელვებს.

ჩემი აზრით, მიწის საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად მიწაზე კერძო საკუთრება უნდა დაედოს. ბუნებრივია, საკითხის ამგვარად დასმა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. საწინააღმდეგო მოსაზრების ავტორთა გულისტკივილი ძირითადად ორი გარემოებითაა გამოწვეული. პირველი, საქართველო მცირემიწიანი რესპუბლიკაა და მიწების გადაცემა კერძო საკუთრებაში გამოიწვევს ამ მიწების უსამართლად ყიდვა-გაყიდვას და მათ დაქუცმაცებას; მეორე, ამგვარი ყიდვა-გაყიდვის შედეგად ქართულ მიწებს შეიძლება დაეპატრონონ არაქართველები და ისედაც მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდეს.

ვფიქრობთ, ორივე არგუმენტი გასათვალისწინებელია, ანგარიშგასაწევია. მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ არის გადაუღალბავი ბარიერი. ამან ხელი არ უნდა შეუშალოს მიწაზე კერძო საკუთრების დაშვებას. შევეცდები განმარტო, თუ რატომ.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მიწა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაა; ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის მესაკუთრე სახელმწიფოს გარდა სხვა არავინ არ შეიძლება იყოს. აქედან გამომდინარე, მიწის გაყიდვის უფლება არავის არა აქვს. თუკი რეალურად შევხედავთ ვითარებას, ყველას კარგად მოეხსენება, რომ დღემდე მიწა თითქმის ყველგან იყიდებოდა — ქალაქად თუ სოფლად. ე. ი. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა იმ უფლების დაცვას, რომელიც მხო-




ლოდ მას ეკუთვნოდა. მიწის ყიდვა-გაყიდვა იურიდიულად დასჯადი ქმედობაა — ისჯება სისხლის სამართლის წესით, მაგრამ ამგვარი დანაშაულისათვის პრაქტიკულად არავის აძლევენ პასუხისგებაში, რადგან მიწის ყიდვა-გაყიდვა, ფაქტობრივად, ფარულია. იგი ამოფარებულია საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვას ან გაცვლას. ასევე, მიწას ყიდიან თანამდებობის პირები, ვისაც კი ამის შესაძლებლობა აქვს. ე. ი. მიწის ყიდვა-გაყიდვა დღეს რეალურად არსებობს. ვინაიდან აღნიშნული გარიგება კანონით აკრძალულია, მისი რეგისტრაცია არსად არ ხდება. შესაბამისად არც კონტროლი ხორციელდება და ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესი სტიქიურად მიმდინარეობს ან უკეთეს შემთხვევაში, ცალკეულ ინიციატივიან პირებზეა დამოკიდებული. არადა, ამის შესახებ ჯერ კიდევ 20-იან წლებში მიუთითებდნენ მეცნიერები. კერძოდ, ეკონომისტ-აგარარკოსი ნ. ბ. მაკაროვი აღნიშნავდა, რომ მიწის მიმოქცევის შეჩერება ან გაქრობა შეუძლებელია. ამ დროს შეუძლებელია მიწის სასყიდლიანი გადაცემის მოსპობა, მიუხედავად იმისა, თუ რა იურიდიული ფორმით ხორციელდება ეს გადაცემა. მიწის მიმოქცევის იურიდიული ფორმებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების დაწესება უნდა შეესაბამებოდეს სახალხო ფსიქოლოგიას¹. დღევანდელი ვითარება ამის აშკარა დასტურია. კანონმდებლობა ითვისისწინებს სარგებლობისთვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემას. სინამდვილეში კი მიწის მიღება სარგებლობაში უმეტესწილად გარკვეული საზღაურის გადახდით ხდება. ამ ფულს უხდიან ან ძველ მიწათმოსარგებლებს, ან თანამდებობის პირებს, ვისაც მიწის ნაკვეთის გაცემის უფლება აქვს.

თუ მიწა ვახდება კერძო საკუთრების ობიექტი, სახელმწიფოს ექნება შესაძლებლობა კონტროლი გაუწიოს მიწების ყიდვა-გაყიდვის პროცესს, ვინაიდან ყოველი ასეთი გარიგება ოფიციალურად უნდა გაფორმდეს სანოტარო ან სხვაგვარი ფორმით. ასეთი წესი განმტკიცებულია საზღვარგარეთის იმ ქვეყნებში, სადაც მიწა კერძო საკუთრებაშია. მიწა განიხილება როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის უძრავი ქონება და მასთან დაკავშირებული გარიგებების რეგისტრაციის სპეციალური წესიც არსებობს. მაგალითად, იაპონიის კანონმდებლობა ითვისისწინებს საჯაროობას უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობისას (რეგისტრაცია). რეგისტრაციის წესი განისაზღვრება სპეციალური კანონით უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ (1899 წლის № 24 კანონი). რეგისტრაცია ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების სარეგისტრაციო პუნქტებში. ამჟამად მიწის ყველა ნაკვეთი რეგისტრირებულია სპეციალურ წიგნებში. მიწის რეგისტრაციის სრულყოფის მიზნით კანონმდებელი, გარდა საბოლოო ძირითადი რეგისტრაციისა, აწესებს ასევე წინასწარ რეგისტრაციას და გამაფრთხილებელ რეგისტრაციას. სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება ასევე ტყეები².

მიწაზე კერძო საკუთრების მოწინააღმდეგეთა აზრით, მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის დაშვება უეჭველად გამოიწვევს ქართული მიწების დაუფლებას სხვათა მიერ, დემოგრაფიული ექსპანსიის განხორციელებას და საქართვე-

¹ Макаров Н. Оборот земли в крестьянском хозяйстве. В кн.: Природа крестьянского хозяйства и земельный режим. Труды III Всероссийского съезда Лиги аграрных реформ. Вып. I, М., 1928, с. 2, 23, 39.

² Вагацума С., Ариндзუმი Т. Гражданское право Японии, Книга первая, М., 1983, с. 168—169.



ლოს ისედაც რთული ვითარების უარესად გამწვავებას. მიზეზი იმდენად სერიოზულია, რომ მასზე საგანგებოდ შეჩერება აუცილებელია. მიწების გაფრთხილება ყველა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. არსად, არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ამ ყველაზე ძვირფასი კაპიტალის უკონტროლოდ განკარგვა-განაწილება. მაგალითად, მექსიკის კონსტიტუციის 27-ე მუხლი აცხადებს, რომ „მიწაზე და წყალზე საკუთრება ეროვნული ტერიტორიის ფარგლებში იმთავითვე ეკუთვნის ერს“. რომ „სასაზღვრო ზონის ასი კილომეტრის მანძილზე და საზღვაო სანაპიროს გასწვრივ ორმოცდაათი კილომეტრის ფარგლებში უცხოელებს არავითარი საბაბით არ შეუძლიათ შეიძინონ მიწა და წყლები უშუალოდ თავის საკუთრებად“, ხოლო ქვეყნის სხვა რაიონებში მათ შეუძლიათ შეიძინონ მიწაზე საკუთრების უფლება სახელმწიფოს ნებართვით იმ პირობით, რომ ისინი ოფიციალურად განაცხადებენ თავიანთ თანხმობას მექსიკის მოქალაქეობაზე³.

მიწების განიავება, მისი განუკითხვად დარიგება უფრო სხვა მიზეზებზეა დამოკიდებული, ვიდრე საკუთრების ფორმაზე. ვერავითარი აკრძალვა მიწების ყიდვა-გაყიდვისა ვერ შეძლებს ამ მტკივნეული პროცესის სასურველად მოწესრიგებას. ერს უნდა გააჩნდეს იმდენი შინაგანი ენერჯია და ძალა, ამავე დროს კულტურაც, რომ მისი ტერიტორია სხვათა სათარეშო არ გახდეს.

ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს არჩილ ჯორჯაძე თავის წიგნში „სამშობლო და მამულიშვილობა“ კითხვას სვამდა, თუ „რა განსაცდელი მოელის ქართველ ხალხს?“ — ერის „საუკეთესო შვილი“ (როგორც ტიციან ტაბიძემ უწოდა მას) იმ დროს გვაფრთხილებდა: „ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმგვარ ფაქტებზე, რომელნიც გვეუბნებიან და გვაფრთხილებენ: აი აქ, ამ ნიადაგზე გაიზრდება ერთა შორის შუღლი და აქ ჩატყდება ხიდი... მოვექცეთ ყურადღებით ამ გაფრთხილებას და დავაკვირდეთ ჩვენი ცხოვრების ერთ ფრიად სავაგლახო უკუღმართობას“.

რა იყო ეს სავაგლახო უკუღმართობა? —

„ახალქალაქის მაზრაში, — განაგრძობს არჩილ ჯორჯაძე, — მთავრობამ შექმნა ეკონომიური უთანასწორობა გადმოსახლებულ და ადგილობრივ ქართველ გლეხთა შორის. სოფელ ხერთვისში, მაგალითად, სადაც ქართველები ცხოვრობენ, თვითეულ კომლს აქვს 2,89 დეს. მიწა; საიჯარო მიწაც რომ მიუმატოთ, თვითეულ კომლის ხელში 3,52 დესეტინა მიწაა. სომხებს ამ მაზრაში უჭირავს 40, 50, 100 დეს. კომლზე. შემოსენებულ მაზრაში ქართველები დაუძღვრდნენ და ჩამორჩნენ. ამ პროცინციებში ძველად ჰყვავოდა კულტურა. რომ ჰკითხოთ ძველ მესხეთის დღევანდელ ჩამომავალ ქართველს, ვინა ხარ შენაო, ჩაფიქრდება, და გეტყვით ფრანგი ვარო“.

იქვე არჩილ ჯორჯაძეს სხვა ფაქტებიც მოჰყავს: „ქართლში ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაძლიერდა ოსების იმიგრაცია. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ერთი-ორად მატულობს გადასახლება ფრონის ხეობაში. აქ გაშენდა სხვა სოფლები, ამ სოფლების გაშენებისა გამო მოისპო ტყე, ზომით 8 500 დეს. საფალავანდო მამულში. სად და ვის მიწაზე სახლდება ოსები? დროებით ვალდებულ გლეხებისაგან ჩამორთმეულ ნაჭრებზე; თიღვა, თერეგვანი, ახალ-შენი, ხუნდის უბანი, ტყის უბანი, ნაბაევი და შინდარა დროებით ვალ-

³ Безбах В. В. Право собственности на землю в странах Латинской Америки. М. 1989, с. 28—29.

დებულ გლახებს ეჭირათ. თანდათან ამ სოფლებში მკვირდებიან ხეზანი
ოსები. წორბისში სცხოვრობდნენ ქართველი გლახები, გვარად მაისურაძეები,
ტაბუკაძეები და კობერიძეები. დღეს კი არც ერთი მათის გვარისა და მოდგ-
მისა აღარ სცხოვრობს იქ... მემამულენი ორიოდ გროშისათვის უამისოდაც
ვიწრო ადგილზე ახლებს ასახლებენ. აჩენინებენ ტყეებს და ბუნებით მდიდარ
ქვეყანას გავერანებას და გატიალებას უმზადებენ⁴. ავტორს სხვაც ბევრი მოპ-
ყავს გულის საკლავი ფაქტები.

ამ ვრცელი ციტატების მოხმობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ დავინახოთ,
საიდან იღებს სათავეს მიწისადმი ქართველთა გაუცხოებისა და განთესვის
ჩვენთვის სამწუხარო ტენდენცია. საუბედუროდ, იმ დროიდან მოყოლებული
ქართული მიწების სხვათა მიერ დაუფლების პროცესი არათუ შენელებულია,
პირიქით, გარკვეულა კიდევ. და ეს მაშინ, როცა ბატონობდა მიწის საკუთრე-
ბის მხოლოდ სახელმწიფო ფორმა. კერძო საკუთრების მოწინააღმდეგეთა ლო-
გიკით საკუთრების ამ ფორმის პირობებში უნდა უზრუნველყოფილიყო ქარ-
თველთა ინტერესები. არადა, მოხდა სხვაგვარად. მხოლოდ რამდენიმე მაგა-
ლითს მოვიხმობთ, რომელიც ტიპურია და წვეთი წყალივით ჰგავს თითქმის საუ-
კუნის წინანდელ ისტორიას. სართიჭალის სასოფლო საბჭოში ფეხქვეშ ითელე-
ბოდა საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის კანონი, რითაც ფაქტობრი-
ვად იყიდებოდა მიწა. სართიჭალაში მახარაძისა და ცხაკაიას ქუჩებზე, რომლე-
ბიც მულანლოს ემიჯნება, მხოლოდ ორიოდ ქართველი ოჯახი შემორჩა,
დანარჩენებმა თავიანთი კარმიდამო სახლებიანად მულანლოელებს მიჰყიდეს,
მთლიანად 43 სახლი... სართიჭალაში, უძველესი ქართული სოფლის გულში,
გაჩნდა აზერბაიჯანული დასახლება...⁵.

მარნეულის რაიონში ასეთი პრაქტიკა გაბატონდა: მეურნეობათა დირექ-
ტორებისა და რაიონის ხელმძღვანელების წაყრუებით მასობრივად იტაცებდ-
ნენ მიწებს. რამდენიმე წლის უკანონოდ სარგებლობის შემდეგ მეურნეობათა
თავკაცები აღძრავდნენ შუამდგომლობას სათანადო ორგანოების წინაშე მიტა-
ცებული მიწების დაკანონების შესახებ. მათი მოთხოვნები, რასაკვირველია,
უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილდებოდა. ასე ხდებოდა უკანონო მიტაცებები
მასობრივი ახალშენების დამკვიდრების საფუძველი. ეს მაშინ, როცა მიწის
ერთადერთი მესაკუთრე მხოლოდ სახელმწიფო იყო.

მსგავსი მაგალითები, ჩვენდა სამარცხვინოდ, უამრავია. რაშია საქმე? რა-
ტომ მაინცდამაინც არაქართველები ეტანებიან საუკეთესო ქართულ მიწებს?
რატომ უჭირს მცხეთელს ან საგარეჯოელ ქართველს ნინოწმინდაში ან ახალ-
ქალაქში დასახლება? რატომ მაინცდამაინც ქართველები ყიდნიან მამულს? ეს
ისეთი „წყველა-კრულვიანი ამბავია“, რომ მას მიწის კერძო საკუთრების აკ-
რძალვით ვერაფერს უშველი.

ტერიტორიული იმუნიტეტის დაქვეითება, ხშირად კი მისი გადაგვარება
უეჭველი ნიშანია ერის დაძაბუნებისა. სრულიად სამართლიანად წერს ბატონი
ნოდარ ნათაძე: „ერი, როგორც კაცობრიობის ერთი ვარკვეული ნაწილი,
ფლობს (და მფლობელობაში ინარჩუნებს ან ვერ ინარჩუნებს, ან იძენს ან ვერ
იძენს, ან კარგავს და იბრუნებს და ა. შ.) დედამიწის სამოსახლოდ ვარგისი ნა-

⁴ არჩილ ჭორჩაძე. სამშობლო და მამულიშვილობა, 1990, გვ. 57-59.

⁵ ვაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 25 ნოემბერი.

⁶ ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წლის 21 აპრილი.

წილის, როგორც კაცობრიობის საცხოვრისის, ერთ გარკვეულ ნაწილს. ეროვნულ ტერიტორიას. ერში შემავალ ყველა ინდივიდს სათითაოდ დაკმაყოფილებად ვარად, ერს მთლიანად აქვს მოუშორებელი ფუნდამენტური მოთხოვნები, რომ „მზის ქვეშ ადგილი ჰქონდეს“. აწ და მარადის როგორც პირადად თვითონ, ისე შთამომავალთა სახით. ერის, როგორც ჯგუფის, ერთიანი ნება ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მასში შემავალი ინდივიდების ნებათა ტოლქმედი (მათი ჯამი), ან როგორც მათ ნებათა ცნობიერი (ან პეტ-ნაქლები ხარისხით ცნობიერი) კოპერირების ნაყოფი⁷.

ამ უაღრესად კომპაქტური და ლაკონური დებულებიდან მეტად საყურადღებო დასკვნების გაკეთება შეიძლება. ჯერ ერთი, ყოველ ერს, როგორც კაცობრიობის ნაწილს, უფლება აქვს ჰქონდეს აუცილებელი ტერიტორია. მაგრამ უფლების აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის რეალიზაციას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს უფლება თითქმის უზრუნველყოფილია, მოსალოდნელი შედეგი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ა) ერი ან ინარჩუნებს ამ ტერიტორიას ან ვერ ინარჩუნებს; ბ) ან იძენს ან ვერ იძენს და გ) ან კარგავს და იბრუნებს მას.

ერის მიერ ტერიტორიის ვერ შენარჩუნების მიზეზი შეიძლება მრავალგვარი იყოს: დაპყრობა უცხო ძალის მიერ, ერის სხვაგან გადასახლება, ზნეობრივი და სულიერი დაძაბუნება და ა. შ. ამათგან, ჩემი აზრით, ყველაზე საშიში ბოლო მიზეზია. ამის უპირველესი გამოხატულებაა მარადიული ფასეულობების უსამანო გაცვლა ამწუთიერ და ლამის უღლეურ სიკეთეზე. ეს ნიშან-ხატი ქართული ტრადიციისა ყველაზე ადრე ილია ჭავჭავაძემ შენიშნა. ბალ-მასკარადების ბრწყინვალეობით გონებადაბინდულმა ქართველმა თავად-აზნაურობამ ხელაღებით დაიწყო მამულების განიავება. ვინ არ დაეუფლა ქართული სისხლით მორწყულ მიწას. ქართული მამულების ამგვარი გაფლანგვით უკიდურესად შეწუხებული თედო სახოკია გულისტკივილით წერდა, რომ რა უნდა ქნან დასასახლკარებლად მიწის საძებრად წასულმა გურულებმა, რომელთაც თავიანთი მამული უნდა მიატოვონ. ეს მაშინ, რაცა „აქაური მემამულენი... იმის ცდა ში-ლა არიან, ჩემმა მეზობელმა მამულის დაგირავება არ მომსწროსო. თითქოს ეშინიანთ, ვაი თუ ბანკს მერე ფული შემოელიოს და ჩვენი მამული არ დაიგირავოსო... უეჭველია, 20-30 წლის განმავლობაში ეს კერძო მამულები სახელმწიფო ბანკში გადავა“⁸. საადგილმამულო ბანკის შექმნით შეეცადა ილია შებრძოლებოდა ზნეობრივ დაძაბუნებას, რომლის მოსალოდნელ შედეგად ერის მამამ ეროვნული ტერიტორიის ვერ შენარჩუნება დაიწინა.

ერის მიერ ახალი ტერიტორიების შექმნა უდაოდ მისი სიძლიერის მაჩვენებელია. ტერიტორიის შექმნის მიზეზი აქაც მრავალგვარი შეიძლება იყოს, მაგრამ უპირატესობა, ცხადია, იმ საფუძველს მიენიჭება, რომელიც ძალადობას გამოირიცხავს. ასეთი შედეგი ხანგრძლივი ევოლუციური განვითარების ნაყოფი შეიძლება იყოს. სამწუხაროდ, ქართველ ერს ეს თვისება უაღრესად დაქვეითებული აქვს. ეს მაშინ, როცა მეზობელი ერების წარმომადგენლები სწორედ ამ თვისების მოჭარბებულად მატარებლები არიან. არადა ჩვენი ერის ისტორია ტრაგიკულ და სამარცხვინო ფაქტებსაც იცნობს ამ მხრივ. აი, რას წერდა არჩილ ჯორჯაძე: „დამფრთხალი ინგილო დღეს ყოველ ღონეს ხმარობს,

⁷ ნ. ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, თბ., 1988, გვ. 68.

⁸ თედო სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 66-67.

რომ თავისი თავი ქართველად არავის აჩვენოს და სცდილობენ თავიანთ შორის ქართველების ნასახიცი კი ამოაგონ. ამის გამო გურჯისტანის ზოგიერთ სოფლებში ამგვარი დადგენილებაჲც კი იყო, რომ ქართულად არ ვილაპარაკოთ, არამედ მუსულმანურად. დადგენილების დამრღვეველისათვის ხარი უნდა დაეკვლევიინებინათ. ამ მოკლე ხანში ისეთივე დადგენილება განმეორდა სოფ. მარსაანში. სოფლის ყრილობამ დაადგინა ქართულად არ ვილაპარაკოთ“⁹.

სხვა ტერიტორიის ხარჯზე საკუთარის გაფართოებას, რა თქმა უნდა, ზოგი უზნეო საქციელად მიიჩნევს. მაგრამ ისტორიის ობიექტური კანონები ზნეობის სენტიმენტალურ ნორმებს არ ემორჩილება. ბუნებრივი გადაარჩევის პრინციპი საზოგადოებაშიც ისევე მოქმედებს, როგორც ფლორასა და ფაუნაში. ამ ჭიდილში ძლიერი იმარჯვებს, სუსტი ძაბუნდება და საბოლოოდ იღუპება.

მეორე, ერის, როგორც ჯგუფის, ერთიანი ნება ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მასში შემავალი ინდივიდების ნებათა ჯამი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერი ერთ ნებად უნდა იყოს შეკრული. მის შეუვალ ნებად უნდა იქცეს, რომ მის ტერიტორიას სხვა არ დაეუფლოს. მხოლოდ ასეთ პირობებში იმოქმედებს ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა ერის სასარგებლოდ. ქართველ ერს აქვს იმის უნარი (მან ეს მრავალგზის დაადასტურა), რომ გაჭირვების ეამს, ექსტრემალურ პირობებში ერთ მუშტად შეკრულმა დაიცვას თავი. საქართველოში ძალზე დიდია საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალა. სწორედ ამ ძალამ უნდა შეასრულოს უდიდესი როლი მიწის საკითხის გადაწყვეტაში, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე შემდგარი კანონმდებელი არადემოკრატიული ნორმების დაწესებით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგარდეს ცივილიზებული სამყაროს წინაშე, ვისი მხარდაჭერაც ჩვენთვის აუცილებელია. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ ერს მიწის საკუთრების ორივე ფორმა აქვს გამოცდილი — სახელმწიფოც და კერძოც. მაგრამ არც ერთს, არც მეორეს არ დაუცავს ქართული მიწები არაქართველთა მხრიდან დატაცებებისაგან.

აქედან გამომდინარე, ეროვნული ტერიტორიის შენარჩუნება, მიწების დაცვა მასობრივი დატაცებისაგან შიშველი საკანონმდებლო ნორმებითა და მექანიკური, ამავე დროს, ადამიანის უფლების დამრღვევი აკრძალვების ამა-რა, რბილად რომ ვთქვათ, მიამიტობაა. ქართველი ერის სულიერი გაჯანსაღება, მისი გაძლიერება არის ერთადერთი და უმთავრესი საშუალება მიწების განიავების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, ჩვენ არ გამოვირიცხავთ ამ პროცესის სამართლებრივი მოწესრიგების შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობას, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ მოვახსენებთ.

მიწაზე კერძო საკუთრების მოწინააღმდეგეები ერთ-ერთ არგუმენტად რთულ დემოგრაფიულ ვითარებას მიიჩნევენ. მათი აზრით, მიწის გადაცემა კერძო საკუთრებაში გამოიწვევს მოსახლეობის გამრავლების კვალობაზე მიწების დაქუცმაცებას. მცირემიწიანობის გათვალისწინებით, მათი აზრით, ეს მეტად დასაფიქრებელი მოტივია. შეიძლება თუ არა ამ საკითხის მოგვარება?

დღეს, როცა მიწა ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაშია, მოქმედი კანონმდებლობა სახელმწიფოს ავალდებულებს, კომლის გაყოფის შემთხვევაში ახალ კომლს აუცილებლად მისცეს მიწა. სწორედ ამ გზით ხდება მი-

⁹ ა. ჯორჯაძე, დსახ. ნაშრ., გვ. 60.

წების უდიდესი ნაწილის დაუფლება. ე. ი. სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა მას ეს, ვალდებულია დააკმაყოფილოს მიწის ნაკვეთის ყოველი ახალი ოჯახი. თუკი მიწა იქნება კერძო საკუთრებაში, სახელმწიფოს ასეთი მოვალეობა აღარ ექნება. თითოეულმა თვითონ უნდა განსაზღვროს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ცხადია, მიწებიც უფრო რაციონალურად იქნება გამოყენებული. ძირითადი საფუძველი მიწის საკუთრებისა იქნება მისი შესყიდვა. ამის მოწესრიგება კი გაცილებით ადვილია, ვინაიდან გაყიდვა მესაკუთრის უფლებაა და არა მოვალეობა. აი, აქ არის საჭირო სწორედ საზოგადოებრივი აზრი, რომ მიწა მიეყიდოს უპირატესად მკვიდრ მოსახლეობას. მაგრამ ამის საკანონმდებლო განმტკიცება ყოვლად მიზანშეუწონელია.

ახალი კანონი არ უნდა განამტკიცებდეს ოჯახის გაყოფის შემთხვევაში ახალი მიწის გამოყოფის ინსტიტუტს. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებდა მიწების დაქუცმაცების საწინააღმდეგო ღონისძიებებს. მაგალითად, ბექას სამართლის მიხედვით, შვილს ნება ჰქონდა მამას გაჰყროდა, მაგრამ მამულის გაყოფას კი უკრძალავდა — „მამულის გაყოფას არა ემართლებსო“. თუ რატომ არ შეიძლებოდა მამულის გაყოფა, ამის თაობაზე ნ. ურბნელი შემდეგ კომენტარს აკეთებდა: „საათბაგოს ოჯახი დიდი და მრავალწევროსანი ოჯახია, რომელსაც მოუცილებლად საერთო და განუყოფელი მამული უნდა ჰქონოდა“¹⁰.

მიწაზე კერძო საკუთრების მიზანშეუწონლობას ერთნი ეკოლოგიური მოტივებით ამართლებენ. მათი აზრით, სხვა უბედურებებთან ერთად, მიწის კერძო საკუთრება მძიმე ეკოლოგიურ ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს, ვინაიდან გაძნელება კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარი შიში უსაფუძვლოა, რადგან სწორედ მიწაზე და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეებზე სახელმწიფო საკუთრებამ გამოიწვია არსებული საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობა. ეკოლოგიური პრიმატის აღიარება ნიშნავს საკუთრების უფლების შეზღუდვას ბუნების დაცვის სასარგებლოდ. ამის მაგალითები საზღვარგარეთის კანონმდებლობაში უამრავია. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც ტყეების 2/3 კერძო საკუთრებაშია, კანონმდებლობა ზღუდავს მესაკუთრეთა ინტერესებს. საფრანგეთის ტყის კოდექსის 541-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ ხელისუფლებას შეუძლია სავალდებულოდ გამოაცხადოს განსაზღვრულ სექტორებში გარკვეულ სამუშაოთა შესრულება. კერძო მესაკუთრეების მიერ ამ კანონისგან თავის არიდება გამოიწვევს მათი საკუთრების ექსპროპრიაციას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს მიწის კერძო საკუთრების რეკვიზიციის პრაქტიკა იმ შემთხვევებში, თუკი მესაკუთრე უარს იტყვის მიეყიდოს მიწის ნაკვეთი, რომელსაც განსაკუთრებული რეკრეაციული მნიშვნელობა აქვს.

მიწის სპეციფიკური დანიშნულებიდან გამომდინარე, მიწის საკუთრება განსაკუთრებულ სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მიწის საკუთრება, განსხვავებით სხვა ქონებისაგან, უფრო „საყოველ-

1 ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი); ათბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი.

თათნ ინტერესების“ სოციალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს უნდა დაექვემდებაროს, ვიდრე ბაზრის სტიქიას და „ცალკეულ პირთა შეხედულებებს“.

სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაციაზე საუბრისას არ უნდა დავიწყდეს, რომ დემონოპოლიზაცია ბუნებრივი შედეგია და იგი აუცილებლად მოჰყვება საზოგადოების განვითარებას. მთავარია ხელისუფლებამ სწორად შეარჩიოს დრო, ვითარება და პრივატიზაციის განხორციელების საშუალებები. მეზობელ რესპუბლიკებში ეს პროცესი უკვე დაიწყო. და რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და შეიძლება, სენსაციურიც კი, ესაა მიწაზე კერძო საკუთრების აღიარება რუსეთის მიერ. რუსეთს მიწაზე კერძო საკუთრების ყველაზე ნაკლები ტრადიციები გააჩნია. თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა 1861 წლის საგლეხო რეფორმების გატარებას რუსეთში, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მიწის თემური მფლობელობის დაშლა და კერძო საკუთრების დამკვიდრება იყო. ხაზგასასმელია ისიც, რომ რუსეთში გატარებულმა საგლეხო რეფორმებმა სამი წლით დაიგვიანა საქართველოში. როგორც ჩანს, ისტორიაში მოვლენები მეორდება — საქართველო დღესაც აგვიანებს მიწის საკითხის გადაწყვეტას. რუსურ-მ უკვე დაუშვა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ კერძო საკუთრების უფლების გამოცხადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის რეალიზაციას. იგი შეიძლება შევადაროთ დეკრეტულ თავისუფლებას, რომლის შესახებ ასე ზუსტად წერს ვ. ჰალიძე: „დეკრეტით მონიჭებული თავისუფლება, სულ ერთია მაინც ვერ განდება საზოგადოების ცხოვრების ნაწილი, თუ საზოგადოება მისთვის არ მომწიფდა. ამასთან, თავისუფლებისათვის ბრძოლა — ეს ერთდროულად მომწიფების პროცესიცაა, ასე რომ, მონაპოვარი მტკიცე და შეუქცევადი იქნება“¹². ე. ი. იმისთვის, რომ გამოცხადებული მიწის საკუთრება რეალობად იქცეს, აუცილებელია საზოგადოება მომწიფებული იყოს ამისთვის. არის კი ჩვენი საზოგადოება მიწის კერძო საკუთრების მომზრე?

გაზეთმა „არგუმენტი ი ფაქტი“ ამ საკითხზე მოაწყო თავისი მკითხველების ანკეტირება. გამოკითხვის შედეგები მეტად დამაიმედებელია: მთლიანად საბჭოთა კავშირში მიწის კერძო საკუთრებად გადაცემას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 96,2 პროცენტმა, წინააღმდეგი წავიდა 2,9, ხოლო თავი შეიკავა 0,9 პროცენტმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე ნაკლები მხადამჭერი კერძო საკუთრებას ჰყავდა აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების ხელმძღვანელთა სახით (89,8 პროცენტი).

კერძო საკუთრებაში მიწების უსასყიდლოდ გადაცემას მხარი დაუჭირა 48,3 პროცენტმა, მცირე, სიმბოლური გამოსასყიდი თანხის გადახდას — 43,7-მა, სრული ღირებულების გადახდას კი — 8,3 პროცენტმა¹³.

როგორც ჩანს, გამოკითხულთა აბსოლუტური უმეტესობა მხარს უჭერს მიწის კერძო საკუთრებას. მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეუწონლად და გაუმართლებლად მიგვაჩნია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილება. ამ საკითხზე რეფერენდუმის მოწყობის შესახებ. აი, რატომ. მართლია, ხალხის ნება ყოველი ხელისუფლებისთვის უზენაესია,

¹¹ Транин А. А. Охрана окружающей среды: проблемы развития буржуазного права, М., 1987, с. 83—89.

¹² Чалидзе В. Заря правовой реформы, М., 1990, с. 8—9.

¹³ «Аргументы и факты», 1990, № 48.

მაგრამ არის საკითხთა წრე, რომელიც მალაქვალიფიციურ და პროფესიულ გადაწყვეტას მოითხოვს. ამგვარი საკითხების გადაწყვეტა ხალხს რომ ეფექტურით შეეძლოს, ისტორიას არც რეფორმატორები ეყრდნობოდა, არც სახელმწიფოს მართვა განდებოდა მეცნიერების დამოუკიდებელი და საკმაოდ განვითარებული დარგი. ასეთ საკითხთა რიგს მიეკუთვნება მიწის პრობლემაც. იგი უნდა გადაწყვიტოს კომპეტენტურ სპეციალისტთა ჯგუფმა და დამატაციოს პარლამენტმა, რა თქმა უნდა, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, ეროვნული ცნობიერების შესაბამისად. ამავე დროს უნდა შემუშავდეს ამ უდიდესი რეფორმის ცხოვრებაში გატარების მექანიზმი, ეს თავიდან აგვაცილებს ისეთი მოუფიქრებელი, მოუშადადებელი, დაუსაბუთებელი ბლიც-რეფორმების კორიანტელს, რომელიც გორბაჩოვმა და მისმა მომხრეებმა თავს მოახვიეს საზოგადოებას და რომელთაგან არც ერთი არ განხორციელებულა.

მიწაზე კერძო საკუთრების დაშვება, უწინარეს ყოვლისა, გამართლებულია ეკონომიკური მოსახრებებით. საბჭოთა კავშირში და მათ შორის, საქართველოში არსებულმა სოფლის მეურნეობის ურთიერთობებმა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონოპოლიზებულ სისტემას ემყარებოდა, საბოლოოდ დამატაციეს თავისი უსუსურობა. იმ ქვეყნებში, სადაც აგრარული ურთიერთობები უპირატესად კერძო საკუთრებას ემყარებოდა, კვების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების საქმეში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს, მათ შორის ისეთმა სახელმწიფოებმა, რომელთაც ჩვენზე გაცილებით ნაკლები ბუნებრივი რესურსები აქვთ, მოსახლეობა კი — ჩვენზე მეტი (მაგალითად, ბელგია: ტერიტორია — 30,5 ათასი კმ², მოსახლეობა — 9,86 მლნ., ნიდერლანდები: ტერიტორია — 42,2 ათასი კმ², მოსახლეობა — 14,7 მლნ-ზე მეტი და ა. შ.).

მიწის კერძო საკუთრება სოფლის მეურნეობაში სტაბილურობის მტკიცე გარანტიაა. არადა ეკონომიკის ეს დარგი უკიდურესი კონსერვატიზმით გამოირჩევა. ადამიანს მიწასთან ურთიერთობის იმდენი ხნის ტრადიცია აქვს, რამდენიც საერთოდ არსებობს ადამიანი დედამიწაზე. აგრარული ურთიერთობების სწრაფი და ხშირი შეცვლა ყოველმხრივ გაუმართლებელია. ამის თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა კავშირი, სადაც სახელმწიფოს ყოველი ახალი ხელმძღვანელის მოსვლასთან ერთად იცვლებოდა აგრარული პოლიტიკაც. ამის შედეგი აშკარაა. ევროპის მოწინავე ქვეყნებში საუკუნეზე მეტია არ შეცვლილა აგრარული ურთიერთობების სისტემა. სტაბილურობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა. სტაბილურობის უპირველესი გარანტია კი მიწაზე კერძო საკუთრებაა. მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან შედარებით, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის აშკარა უპირატესობაში მარქსიც კი დარწმუნდა „კაპიტალის“ მესამე ტომზე მუშაობისას.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასურსათო კრიზისიდან თავის დასაღწევად სწორედ კერძო საკუთრებაზე დამყარებული სოფლის მეურნეობისაკენ აიღეს ორიენტაცია. ამ პრობლემას მიეძღვნა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ავსტრიაში ჩატარდა და ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აგრარულ ურთიერთობათა განვითარების მიმართულებებს შეეხო. სიმპოზიუმის მონაწილეთა უმეტესობამ კოლექტიურ ფორ-

მებთან შედარებით უპირატესობა მიანიჭა კერძო საკუთრებაზე დამყარებულ ერთპიროვნულ ფერმერულ მეურნეობებს¹⁴.

თავისთავად კერძო საკუთრების მიზანშეწონილობის აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის ცხოვრებაში გატარებას. ეს იმდენად რთული საკითხია, რომ საგანგებო დამუშავებას მოიხრავს. უნდა შეიქმნას ის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის პროცესს, როგორც მოსახლეობისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის.


როდესაც მიწის კერძო საკუთრებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ ერთპიროვნულ საკუთრებას მიწაზე (რა თქმა უნდა, ეს უმთავრესია), არამედ სახელმწიფო საკუთრების გარდა თითქმის ყველა სხვა ფორმას. ამიტომ პრივატიზაციის პროცესის შესახებ მსჯელობისას სწორედ ამ ფორმების სამართლებრივი უზრუნველყოფაც უნდა იყოს გათვალისწინებული.

პირველმა სამართლებრივმა ნორმამ, რომელმაც საფუძველი უნდა დაუდოს მიწის რეფორმას, უნდა განამტკიცოს, რომ სახელმწიფოს მონოპოლია მიწაზე უქმდება.

პირველი რიგის ამოცანად გვესახება საეკლესიო მიწების აღდგენა. მორალურ-პოლიტიკური და ისტორიული მოტივების გარდა, ამგვარი ღონისძიება გამართლებული უნდა იყოს ეკონომიკურადაც. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ძლიერი ფინანსური და ეკონომიკური ბაზა გააჩნია გადაცემულ ტერიტორიაზე სასაქონლო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამავე დროს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას გაცილებით უფრო მეტი კავშირები აქვს უცხოეთის ფირმებთან და ორგანიზაციებთან, გაცილებით მეტი ავტორიტეტით სარგებლობს მათ წინაშე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია. ეს კარგი წინაპირობა იქნება მათგან ტექნოლოგიური თუ სხვაგვარი დახმარების მისაღებად. ამ მიზნით, ვთვლით, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას საკუთრებად უნდა გადაეცეს დაუსახლებელი მიწის ტერიტორიები. გადასაცემი მიწების ფართობი და ადგილი უნდა განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ. ამავე დროს ეკლესიას უნდა მიეცეს უფლება სხვა მიწების შეძენისა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მიწის საკუთრების პრივატიზაციის დროს მთავარი მაინც მიწების მოქალაქეთათვის გადაცემაა. ამიტომ ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, რა გზით უნდა მოხდეს მათთვის მიწის გადაცემა კერძო საკუთრებაში? ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, სასურველია მოხდეს მიწების შესყიდვა და არა უფასოდ გადაცემა. მიწის შეძენაში მატერიალური დანახარჯების გაღება გამოიწვევს ამ მიწისადმი უფრო დაინტერესებულ, გულმოდგინე დამოკიდებულებას. მიწების შესაძენად შეიძლება რამდენიმე გზა ავირჩიოთ. პირველი, პირდაპირი შესყიდვა სახელმწიფოსაგან ან სხვა მიწათმოსარგებლები-საგან; მეორე, ლიზინგის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ერთი მხარე გადასცემს მეორე მხარეს (მოსარგებლეს) განსაზღვრულ საგანს (ამ შემთხვევაში მიწას), ხოლო მოსარგებლე ვალდებულია გადაუხადოს პერიოდული გადასახადები და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უფლება აქვს შეიძინოს აღნიშნული საგანი შეღავათთან პირობებში, გადახდილი თანხის ჩათვლით. ლიზინგის ხელშეკრულებაში ერთმანეთთანაა შეხამებული იჯარისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულების საფუძველად შეიძლება გამოდგეს

¹⁴ „Neuer Leben“, 5 Januar, 1991.



დღეს უკვე ბევრ რაიონში გლეხებსა და სახელმწიფოს ან მეურნეობებს შორის დადებული მიწის იჯარის ხელშეკრულებები.

ამავე დროს ვფიქრობთ, რომ გლეხური მეურნეობების წარმართვისათვის მიწა უნდა გადაეცეს უფასოდ. თუმცა აქ ზუსტად უნდა განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომელთაც ასეთი უფლება მიეცემა. ამგვარი უფლებით უნდა ისარგებლონ მათ, ვისაც აქვს სოფლის მეურნეობაში მუშაობის გამოცდილება. სასოფლო-სამეურნეო კვალიფიკაცია ან გაიარეს სპეციალური მომზადება. თუკი ამგვარი უფლების მქონე იქნება რამდენიმე, მაშინ უპირატესობა მიენიჭება სოფელში მაცხოვრებელს.

მიწის საკუთრების პრივატიზაციის ყველაზე ხელსაყრელი პირობები, ჩემი აზრით, საქართველოს იმ რაიონებშია, სადაც უკვე დაიშალა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. იმ მოქალაქეებს, რომელთაც უკვე ხელი მოჰკიდეს გლეხურ მეურნეობებს, მიწები შეიძლება საკუთრებად გადაეცეთ უსასყიდლოდ. ამ რაიონებში, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია ტრადიციული, ეროვნული ნორმების აღორძინება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მიწაზე ამა თუ იმ თემის, სოფლის ხელშეუხებელ უფლებას. ამ ნორმათა საფუძველზე უნდა შეიქმნას სამართლებრივი ჩვეულებების მთელი სისტემა. ამგვარი ნორმები განსაკუთრებით ძლიერი იყო მთის საქართველოში. კერძოდ, მიწების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით საჭიროა აღვნიშნოთ ერთი წესი, რომელიც ზემო სვანეთში მოქმედებდა: ზემო სვანეთში შეუზღუდველი მიწის საკუთრება იყო. „ადგილი: სახნავ-სათესი, სათიბი, ტყე, საბალახო შეადგენს საკუთრებას კანონიერის მემკვიდრისას. პატრონს უფლება აქვს ადგილის გაყიდვისა. ყოველი სვანი, რომელიც გასასყიდად შეელევა ადგილს, ვალდებული იყო მიეყიდა თავის თემისთვის“, ხოლო თუ თემის წევრი ვერ შესწვდებოდა მის ღირებულებას, ამის მერე ეძლეოდა უფლება გამყიდველს, დაეთმო იგი სხვა თემში მცხოვრებ ახლო ნათესავისა თუ გარეშეთათვის, სხვგვარი ვითარება არსებულა სახლ-კარის გაყიდვისას — ამ დროს მყიდველი აუცილებლად იმავთემელი უნდა ყოფილიყო. ჩვეულებითი სამართლით, თუ თემის წევრი „ერთი მოსახლე ვერ გასწვდებოდა ფასს (სახლ-კარისას), სრულიად თემი აგროვებდა ფასს და ჰყიდულობდა“, რომელსაც შემდეგ სათანადო საფასურის გადახდით უთმობდა მას ამ თემშივე მცხოვრები გამყიდველის სიძეებს. აღსანიშნავია ისიც, რომ თემის შიგნით არსებული ყოველგვარი უძრავი ქონების შესყიდვის უფლება მხოლოდ თემის წევრს ჰქონდა. ნასყიდობა მიწისა მტკიცე და შეუვალ საკუთრებას უქმნიდა მყიდველს, „ნაყიდი ადგილი მყიდველის სრულ და საუკუნო საკუთრებად ითვლება“¹⁵.

ღიძვებული წესია. მიწა არ წარმოადგენს თემის საკუთრებას, არამედ თემის წევრთა კერძო საკუთრებაა (განსხვავებით რუსული თემისაგან, სადაც კერძო საკუთრება მიწაზე არ არსებობდა), მაგრამ თემი ყველანაირად იცავს თემის წევრთა საკუთრების უფლებას. ამავე დროს, ასეთი წესი არსებითად ზღუდავს თემში უცხო ხალხის ჩამოსახლებას და ამ მხრივ უდიდეს ძალას წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ ზოგ კუთხეში ასეთი წესი ჩვეულების სახით დღემდე მოქმედებს: მეზობლის სურვილისა და თანხმობის გარეშე ახალი მეზობელი თავს იკავებს დასახლებისაგან.

გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალურად გამოყენების

¹⁵ „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბ., 1988, გვ. 81

მიზნით კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს განსაზღვრული შეზღუდვები მესაკუთრეებისათვის მიწების გაყიდვის დროს. კერძოდ, მიწის შესყიდვის რატესი უფლება შეიძლება მიეცეს იმ პირს, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა. ეს მოაწესრიგებს მიწების დაქუცმაცების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესს. უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში გამოიკვეთება ის ძლიერი საკომლო მეურნეობები, რომლებიც მოახდენენ მიწების გაერთიანებას და მათი ერთობლივი ძალით დამუშავებას.

უეჭველია, მიწების საკუთრებაში გადაცემის დროს წამოიჭრება არაქართველთათვის ნაკვეთების საკუთრებად მიცემის საკითხი. უწინარეს ყოვლისა, მიწა საკუთრებაში მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს უნდა გადაეცეს. მაგრამ სანამ მოქალაქეობის კანონი იქნება მიღებული, მიწის საკუთრების კანონში უნდა განისაზღვროს ის პირობები (ბინადრობის ცენზი, ენის ცოდნა და ა. შ.), რომელთა არსებობაც არაქართველებს მისცემს უფლებას მიიღონ მიწის-ნაკვეთი. თუმცა ამ საკითხის გადაწყვეტისას, ვფიქრობთ, იაკობ გოგებაშვილის სიტყვების გახსენება არ იქნებოდა ურიგო: „არც ერთი ქართველი არ უნდა მოგვაგონებდეს იმ ველურს, რომელმაც კითხვაზე — რა არის სიკეთე და რა — ბოროტება? — უპასუხა: სიკეთეა, როცა ცოლს ვართმევ მეზობელს, ხოლო ბოროტებაა, როცა მეზობელი მართმევს ცოლსო. არ უნდა მოგვაგონებდეს იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიულ ტრადიციებს“¹⁶.

ამავე დროს საჭიროა ისეთი გარანტიების შექმნა, რომელიც გამორიცხავს ქართული მიწების განიაგებას. ეს გარანტიები უნდა შემუშავდეს დემოგრაფიულად საშიში ზონების შესაბამისად. მაგალითად, ამ მხრივ მეტად არასასურველი ვითარებაა ქვემო ქართლის რაიონებში. ეს ის ქალაქები და სოფლებია, რომლებიც ირგვლივ აკრავს თბილისს. ამ დასახლებულ პუნქტებთან ერთად თბილისი შეადგენს ერთ დიდ საქალაქო აგლომერაციას. ამ აგლომერაციის ფარგლებში (რუსთავში, გარდაბნის, მარნეულის, საგარეჯოს, მცხეთის, კასპის, თეთრი წყაროს, წალკის, ბოლნისის რაიონებში) უნდა შეიქმნას განსაკუთრებით დაცული ტერიტორიები: ა) ქალაქებიდან ეკოლოგიურად მავნე საწარმოებისა და დაწესებულებების გასათანად; ბ) რეკრეაციული ზონების შესაქმნელად, საგარეუბნო და მწვანე ზონების მოსაწყობად. ამ ზონაში აიკრძალოს მოქალაქეთათვის საკუთრებაში მიწების გადაცემა. სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწები უნდა გადაეცეს მხოლოდ ვაღიან სარგებლობაში და ისიც ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად.

აუცილებელია განისაზღვროს იმ ტერიტორიის მოცულობა და ადგილმდებარეობა, რომელთა განსახელმწიფოებრიობა დაუშვებელია. ეს მიწები გამოყენებულ უნდა იქნეს სტიქიური უბედურებების შედეგად შიდა რესპუბლიკური მიგრაციებისათვის. ამ მიწათა გამოყენება შეიძლება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის და ვაიცემა მხოლოდ მოკლევადიან სარგებლობაში. ამგვარი სარეზერვო ზონები უნდა შეიქმნას დემოგრაფიულად არახელსაყრელ რაიონებში. კერძოდ, ნინოწმინდის, ახალქალაქის რაიონებში.

ყველაზე მტკიცენი საკითხი, რომელიც მიწის საკუთრების პრივატიზაციის დროს აწუხებს უმრავლესობას — ესაა მიწების განიაგება მიწების გაყიდვის გზით, რისი უფლება მესაკუთრეს, უეჭველია, აქვს მაგრამ ამ საკითხის მოწესრიგებაც შეიძლება.

¹⁶ ი. გოგებაშვილი, რანი ვიყავით გუშინ. თბ., 1990, გვ. 279.

ჯერ ერთი, ამგვარი უსამაზო ყიდვა-გაყიდვის საფრთხე რეფორმის პირველ წლებშია მოსალოდნელი. როცა ვითარება ჯერ კიდევ არ იქნება სტაბილური, ამიტომ განსაზღვრული ვადით შეიძლება აიკრძალოს მიწის გაყიდვა, როგორც ეს რსფსრ-მ გააკეთა. მიწის ურთიერთობების სტაბილიზების კვალობაზე ეს შეზღუდვა უნდა მოიხსნას:

მეორე, მოქალაქეების ან ორგანიზაციების მიერ მიწის გაყიდვის დროს იგი უნდა მიეყიდოს საადგილმამულო ბანკს ან სახელმწიფოს:


მესამე, უნდა შეიქმნას საადგილმამულო საინფორმაციო ბანკი, სადაც აღირიცხება მიწის ყიდვა-გაყიდვის ყველა შემთხვევა, მათ შორის შესაძლო გარიგებებიც. გამოიდევნოს უნდა დაუწესდეს მიწის გაყიდვის დროს წინასწარი შეტყობინების სავალდებულო წესი.

ვეტიკრობთ, ამგვარი ღონისძიებებით თავიდან ავიცილებთ მოსალოდნელ საფრთხეს, რომელიც შეიძლება მიწის პრივატიზაციას მოჰყვეს.

მიწაზე კერძო საკუთრების საკითხის გადაწყვეტისას წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ის უარყოფითი შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს პრივატიზაციას. დიდი ხნის მანძილზე „მიწით დამშუფლი“ გლეხები ადვილი შესაძლებელია სხვადასხვა ტექნიკის, მინერალური სასუქების, პესტიციდების მაქსიმალური გამოყენების გზით მოინდომებენ მიწების არნახულ ექსპლოატაციას. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ნიადაგის გამოფიტვა და ამის შედეგად გარემომცველი გარემოსათვის კიდევ უფრო მეტი ზიანის მიყენება. მიწის რეფორმა ეს საკითხებიც უნდა გაითვალისწინოს. შეღავათიანი და ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნას იმ გლეხებს, რომელთაც ქიმიკატების გარეშე მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია. მათ პროდუქტებზე ფასები გაცილებით უნდა აღემატებოდეს ქიმიკატებით მოყვანილ პროდუქტებზე ფასებს. ამგვარი მეურნეობებისთვის მიწა უნდა გაიცემოდეს პირველ რიგში და შეღავათიან საფუძველზე.

ერთ სტატიაში ძნელია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე მსჯელობა და ეს მიზანი არც გვექონია. ამავე დროს არა გვაქვს პრეტენზია, რომ ჩვენი მოსაზრება ერთადერთია და სწორი. მაგრამ ვთვლით, რომ მიწის რეფორმას ეს პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად. ამავე დროს აუცილებელია ამ საკითხებზე ეკონომისტების, სოციოლოგების, ეთნოგრაფების, ფსიქოლოგების და სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლების ერთობლივი ფიქრი და განსჯა. საკითხი შეეხება არა მიმდინარე ან რიგით საკითხს, არამედ საქართველოს მომავალს.

იმედია, ამ წერილს, რომელშიც შევეცადე საქართველოს ხვალისდელ დღისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს შევხებოდი. გამოეხმაურებიან აღნიშნული პრობლემით დაინტერესებული პირები. ეს უმჯველად წაადგება ჩვენს საერთო საქმეს.



აკოლონ ფალიაშვილი

ჩხრეკა და ამოღება: პროსესუალური ნუსი და ტაქტიკა

1. ჩხრეკისა და ამოღების ცნება და არსი. ჩხრეკა არის პირველადწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ატარებს მიზანსწრაფულ და იძულებით ხასიათს. ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ მოძებნილ და ამოღებულ იქნეს დანაშაულის ჩადენის იარაღები, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნები, ფასეულობანი, ნივთები, დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მიმალვაში მყოფი პირი და გადამალული გვაში.

ჩხრეკა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული აღმოჩენილ იქნება: საცხოვრებელ ადგილზე (ბინა, სასტუმრო, საერთო საცხოვრებელი); სამსახურებრივ შენობაში (კაბინეტი, სამუშაო ადგილი); სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებში (საწყობი, ბაზა, ავტომაქანების სადგომი, ბოსელი და ა. შ.); ადგილმდებარეობის (უბო, ბალი, მინდორი, ტყე) და ადამიანის ჩხრეკის დროს. ჩხრეკის დროს გამოძიებელმა უმრავლეს შემთხვევაში იცის რას ეძებს, მაგრამ არ იცის, თუ რომელ ადგილზე ინახება (გადამალულია) ჩხრეკის საგანი. ჩხრეკა ტარდება, რათა მოძებნილი და ამოღებული იქნეს ჩხრეკის საგანი.

ამოღება არის გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება იმ მიზნით, რომ ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე განსაზღვრული საგნები, დოკუმენტები, ნივთები, ფასეულობა, როდესაც ცნობილია სად და ვისთან ინახება ისინი.

ამოღება შეიძლება მოხდეს ექვმიტანილის ან ბრალდებულის ბინაში, სამსახურებრივ შენობაში, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებში, ადგილმდებარეობიდან და სხვა პირების (მეზობელი, ნათესავი, მეგობარი) მფლობელობიდან, თუ ეს უკანასკნელი ინახავს დანაშაულის ჩადენის იარაღებს ან დანაშაულის შედეგად მოპოვებულ საგნებს.

ჩხრეკა და ამოღება არის ორი ურთიერთდაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება. განსხვავება ჩხრეკასა და ამოღებას შორის ის არის, რომ პირველ შემთხვევაში გამოძიებელმა არ იცის, თუ სად არის გადამალული საქმესთან დაკავშირებული საგნები. ამოღების დროს გამოძიებელმა იცის, თუ რა კონკრეტული საგანი უნდა ამოიღოს, ვისთან და სად ინახება იგი. ამოღება შეიძლება გადაიზარდოს ჩხრეკაში, თუ ამოღების ადგილზე არ აღმოჩნდება ამოსაღები საგანი. ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ის პროცესუალური რეჟიმი, რასაც საპროცესო კანონი აწესებს ჩხრეკის წარმოებისათვის.

ჩხრეკა მჭიდრო კავშირშია ისეთ საგამოძიებო მოქმედებასთან, როგორცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ორივე შემთხვევაში გამოძიებულ ექმებს ისეთ საგნებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დანაშაულის ჩადენასთან. ორივე შემთხვევაში მონაწილეობას ლებულობენ დამსწრენი. სხვაობა მათ შორის ის არის, რომ დათვალიერების დროს იძულებას არა აქვს ადგილი, არ ხდება დაკეტილი საცავეების იძულებითი გაღება და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ დათვალიერების დროს წარმოიშობა ჩხრეკის აუცილებლობა, გამოძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება ჩხრეკის ჩატარების შესახებ (დათვალიერების ჩატარება ხდება დადგენილების გამოტანის გარეშე) და დაიცვას ჩხრეკის ჩატარებისათვის საპროცესო კანონით დადგენილი წესები.

ჩხრეკა შეიძლება იყოს პირველადი და განმეორებითი. **პირველადი ჩხრეკა** არის უფრო ეფექტიანი საშუალება დანაშაულთან დაკავშირებული საგნების აღმოჩენისა და ამოღებისათვის. ამიტომ იგი უნდა ჩატარდეს მაქსიმალურად ოპერატიულად, გეგმურად და მომზადებულად. **განმეორებითი ჩხრეკა** ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი ჩხრეკა ჩატარდება არახელსაყრელ პირობებში (ატმოსფერული ნალექები, ცუდი განათება); როდესაც პირველადი ჩხრეკა ჩატარდა უხარისხოდ და ცალმხრივად, რის გამოც ვერ იქნა აღმოჩენილი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები; როდესაც პირველადი ჩხრეკა ჩატარდა საპროცესო კანონის არსებით მოთხოვნათა დარღვევით; როდესაც არსებობს მონაცემები, რომ უკვე გაჩხრეკილ ბინაში მიტანილ იქნა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები, ნივთები.

ჩხრეკა შეიძლება იყოს ერთჯერადი და ჯგუფური. **ერთჯერადი ჩხრეკა** ტარდება ერთი პირის მიმართ, როდესაც გამოძიებლის ვარაუდით დანაშაულთან დაკავშირებული საგნები შეიძლება აღმოჩნდეს ერთი ექვმიტანილის ან ბრალდებულის ბინაში. **ჯგუფური ჩხრეკა** ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებლის ვარაუდით დანაშაულთან დაკავშირებული საგნები შეიძლება აღმოჩნდეს ერთ საქმეში მონაწილე სხვადასხვა ექვმიტანილისა და ბრალდებულის ბინებში, ან როდესაც დანაშაულთან დაკავშირებული საგნები შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ექვმიტანილის (ბრალდებულის) ბინაში, აგრეთვე მისი მეზობლის, ნათესავის, მეგობრის ბინაში ან ექვმიტანილის (ბრალდებულის) კუთვნილ სხვადასხვა ბინაში (ძირითადი საცხოვრებელი სახლი, აგარაკი, ავტომობილის სადგომი და ა. შ.).

ჯგუფური ჩხრეკის ჩატარებას სჭირდება განსაკუთრებული მომზადება და მოფიქრებული გეგმის შედგენა. ჯგუფური ჩხრეკა ტარდება ყველა ობიექტის ერთდროულად გაჩხრეკის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში (ჩხრეკის თანმიმდევრული ჩატარებისას) შესაძლებელია გადამალულ იქნეს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები, ნივთები, ფასეულობა, დოკუმენტები. ჯგუფურ ჩხრეკას ატარებს რამდენიმე გამოძიებელი, რომელთაც მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან და ჩხრეკის ჩატარების პროცესში შეეძლოთ ურთიერთინფორმაციის მიწოდება.

ჩხრეკისა და ამოღების დროს დაცული უნდა იყოს პრინციპული ხასიათის მოთხოვნები: კანონიერება, საფუძვლიანობა, გეგმურობა, სისწრაფე.

კანონიერება გულისხმობს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 165-ე — 177-ე მუხლებით დადგენილ ჩხრეკისა და ამოღების პროცესუალური ნორმების მტკიცე და განუხრელ დაცვას; აგრეთვე გამოძიებლის მოქმედების

შესაბამისობას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილ ნორმებთან.



ჩხრეკისა და ამოღების საფუძვლიანობა გულისხმობს იმის დადგენა-გარკვევას, რომ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების შედეგად აღმოჩენილ და ამოღებულ იქნება დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები. ყველა შემთხვევაში გამოძიებელმა ჩხრეკის ან ამოღების დადგენილებაში უნდა დაასაბუთოს, თუ რა საგნების, ნივთების, ფასეულობის ძებნა და ამოღება არის შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკა და ამოღება არის გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, მათი ჩატარება გულისხმობს გეგმურობას. გამოძიებელმა უნდა განსაზღვროს, სად, როდის, ვისთან უნდა ჩატაროს ჩხრეკა ან ამოღება; ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; რა ტექნიკა; ჩი საშუალებების გამოყენება დასჭირდება მას და ა. შ.

ჩხრეკისა და ამოღების სისწრაფე და ოპერატიულობა იმის საწინდარია, რომ დასაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები არ იქნება წაღებული სხვა ადგილზე ან განადგურებული. სწორედ ამიტომ გადაუდებელ შემთხვევაში ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს პროკურორის სანქციის გარეშე და ღამის საათებში.

ჩხრეკისა და ამოღების დროს დაცული უნდა იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 165-ე — 177-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ: 1. გამოტანილ უნდა იქნეს დასაბუთებული დადგენილება; 2. უნდა იყოს პროკურორის ან მისი მოადგილის სანქცია (გადაუდებელ შემთხვევაში ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს სანქციის გარეშე, მაგრამ ჩატარებული ჩხრეკის შესახებ უნდა ეცნობოს პროკურორს დღე-ღამის განმავლობაში). ამოღების შემთხვევაში პროკურორისაგან სანქციის მიღება საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ამოღებულ უნდა იქნეს საიდუმლო მონაცემების შემცველი დოკუმენტები; 3. ჩხრეკა და ამოღება ხდება დამსწრეთა მონაწილეობით; 4. ჩხრეკასა და ამოღებას უნდა ესწრებოდნენ ოჯახის სრულწლოვანი წევრები ან საბინაო-საექსპლუატაციო უბნის წარმომადგენელი, სახალხო დეპუტატი ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელი. საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ჩხრეკასა და ამოღებას უნდა ესწრებოდეს ორგანიზაციის წარმომადგენელი; 5. ჩხრეკაში და ამოღებაში ყველა მონაწილე პირს განემარტება უფლებები და ვალდებულებები; 6. ამოღებისა და ჩხრეკის დაწყებამდე გამოძიებელმა ოჯახის წევრს უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, გააცნოს დადგენილება და წინადადება მისცეს მას ნებაყოფლობით გასცეს მოსაძებნი და ამოსაღები საგნები ან მიუთითოს მათ ადგილსამყოფელზე; 7. ჩხრეკისა და ამოღების დროს შეიძლება მოწვეულ იყოს შესაბამისი სპეციალისტი; 8. საცაგების გახსნის დროს გამოძიებელი უნდა მოერიდოს საცაგების დაზიანება-დამტკვრევას; 9. გამოძიებელს უფლება აქვს ჩხრეკის ადგილზე მყოფ პირებს ან ჩხრეკის დროს მოსულ პირებს აუკრძალოს წასვლა და ერთმანეთთან ურთიერთობა ჩხრეკის დამთავრებამდე; 10. ჩხრეკის ადგილი შეიძლება იყოს გარეშე-პორტკემული; 11. გამოძიებელი იღებს ზომებს, რომ არ განმარტდეს ამოღების ან ჩხრეკის დროს გამოვლენილი ინტიმური ცხოვრების გარემოებანი, თუ ამ მონაცემებს საქმესთან არა აქვთ კავშირი; 12. ჩხრეკისა და ამოღების დროს უნდა იყოს ჩამორთმეული მხოლოდ ის საგნები და დოკუმენტები, რასაც კავშირი აქვს დანაშაულის ჩადენასთან და ბრუნვიდან ამოღებული საგ-

5
18
51



ნები; 13. ყველა ამოღებული საგანი წარედგინება დამსწრებს და ჩხრეკაში მონაწილე სხვა პირებს; 14. ამოღებული საგნები, საბუთები დაწვრილებით ან წერება ოქმში ან ცალკე სიაში; 15. ამოღებული საგნები და დოკუმენტები საჭიროების შემთხვევაში შეიფუთება და დაილუქება ჩხრეკის ადგილზე; 16. ჩხრეკისა და ამოღების ოქმის პირი ხელწერილით ბარდება იმ პირს, ვისთანაც მოხდა ჩხრეკა; 17. დიპლომატიურ წარმომადგენლობის შენობებში ჩხრეკა და ამოღება შეიძლება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლის თხოვნით ან თანხმობით. თანხმობა გამოთხოვილ უნდა იქნეს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით. ჩხრეკასა და ამოღებას უნდა დაესწროს პროკურორი და საგარეო საქმეთა წარმომადგენელი.

2. ჩხრეკისა და ამოღების მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკა და ამოღება არის გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, მათი ჩატარება ყველა შემთხვევაში მოითხოვს მომზადებას. ამ საგამოძიებო მოქმედებათა მომზადებული ჩატარება უზრუნველყოფს ოპტიმალური პირობების შექმნას და სასურველი შედეგების მიღწევას.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადება მოიცავს ორ საფეხურს: ა) ადგილზე გასვლამდე, ბ) ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე მისვლის შემდეგ. სანამ გამოძიებელი უშუალოდ შეუდგება ჩხრეკასა და ამოღებას.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებამდე გამოძიებელი უნდა გაეცნოს მის განკარგულებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმის მასალებს; როგორც საგამოძიებო, ისე ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შედეგებს. ასეთი გაცნობის შედეგად გამოძიებელს საშუალება ეძლევა განსაზღვროს, თუ რა საგნების, ნივთების და დოკუმენტების მოძებნა და ამოღება შეიძლება, სად და ვისთან ინახება ისინი, გამოძიებელმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი, თუ როდის უნდა ჩატაროს ჩხრეკა და ამოღება; დღის საათებში, თუ ღამით, როგორც წესი, ჩხრეკა და ამოღება უნდა ჩატარდეს დღის განმავლობაში. ღამით მათი ჩატარება შეიძლება მხოლოდ იმ დროს, როდესაც არსებობს რეალური ეჭვი, რომ გათენებამდე გატანილ იქნება გასაჩხრეკი ბინიდან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საგნები და ნივთები.

ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე გასვლამდე გამოძიებელი, თუ ამის რეალური საშუალება არსებობს, უნდა გაეცნოს ჩხრეკისა და ამოღების ადგილს ან იქონიოს ბინისა და ადგილმდებარეობის გეგმა. გამოძიებელმა უნდა მიიღოს ინფორმაცია გასაჩხრეკი ბინის ოჯახის წევრებისა და შემადგენლობის შესახებ; დაადგინოს თუ ოჯახის წევრებიდან ვინ იქნება ბინაში გაჩხრეკისა და ამოღების დროს.

საჭიროების შემთხვევაში ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე გასვლამდე გამოძიებელი **ღებულობს ზომებს**, რათა იქ დაწესდეს მეთვალყურეობა. მოსამზადებელი **სამუშაოები უნდა ჩატარდეს** ისე, რომ დაცული იყოს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საიდუმლოება, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია არასასურველი შედეგების დადგომა (დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ნივთების, ფასეულობის გატანა ან განადგურება).

ჩხრეკისა და ამოღების მომზადება გულისხმობს აგრეთვე იმ პირთა განსაზღვრას, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში. გამოძიებელი მარტო არ უნდა წავიდეს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებლად. მან უნდა განსაზღვროს ოპერატიულ მუშაკთა წრე და რაოდენობა, რომლებმაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ გამოძიებელს ჩხრეკისა და

ამოღების წარმოების დროს, მოეხმარონ მას პირადი ჩხრეკის წარმოებაში, ხელი შეუწყონ ადგილისა და ადგილმდებარეობის დაცვაში. ოპერატიულ მუშაკთა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე სიტუაციით. ჯგუფური ჩხრეკის ჩატარების შემთხვევაში მათი რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა იყოს იმ ანგარიშით, რომ გაჩხრეკის ყოველ ადგილზე მონაწილეობა მიიღონ ოპერატიულმა მუშაკებმა.

დამსწრეთა შერჩევა და მათი რაოდენობის განსაზღვრა ხდება ჩხრეკის ადგილზე გასვლამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გასაჩხრეკი ბინა ან ადგილმდებარეობა არის ისეთ ადგილზე, სადაც ახლომახლო არ არიან მაცხოვრებლები ან დაწესებულებები. გამომძიებელი, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, წყვეტს საკითხს სპეციალისტების მოწვევის შესახებ. როგორც წესი, სპეციალისტებად მოიწვევიან კრიმინალისტები ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მიზნით, ბუღალტერი — დოკუმენტების დათვალიერებისა და ამოღების მიზნით, ექიმი — გადამალული გვამის აღმოჩენისა და დათვალიერების შემთხვევაში. ცალკეულ შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი საჭირო იქნება თუ არა საზოგადოებრიობის დახმარება ჩხრეკისა და ამოღების დროს (გამომძიებლის თანაშემწე საზოგადოებრივ საწყისებზე და სხვ.).


განსაკუთრებულ ყურადღებასა და მომზადებას მოითხოვს ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკითხი. გამომძიებელმა უნდა შეამოწმოს საგამოძიებო პორტფელის დაკომპლექტების საკითხი; ფოტო, კინო და ვიდეოაპარატურის ვარგისიანობა და ნეგატიური მასალის არსებობა; ლითონმძებნი და გვამმძებნი ხელსაწყოების გამართულობა. მომზადებული უნდა იყოს აგრეთვე გასანათი და სხვა მოსაძებნი ხელსაწყოები.

მომზადება გულისხმობს აგრეთვე ჩხრეკისა და ამოღების გეგმის შედგენას, რაც საშუალებას იძლევა ჩხრეკა და ამოღება ჩატარდეს მიზანსწრაფულად, წყნარ ვითარებაში და თანმიმდევრულად. განსაკუთრებით დიდია გეგმის შედგენის მნიშვნელობა ჯგუფური ჩხრეკის შემთხვევაში, რომლის დროსაც შეთანხმებული და კოორდინირებული უნდა იყოს ყველა გამომძიებლისა და ოპერატიულ-სამძებრო აპარატის მუშაკის ურთიერთკავშირი და ურთიერთინფორმაცია.

ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე მისვლის შემდეგ მოსამზადებელი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტას აქვს აგრეთვე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ამ საგამოძიებო მოქმედებათა სრულყოფილი და ყოველმხრივი ჩატარებისათვის.

საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი ლებულობს ზომებს გასაჩხრეკი შენობის ან ადგილმდებარეობის დაცვისა და გარშემორტყმისათვის და ამ მიზნით შესაბამის მითითებებს აძლევს ოპერატიულ მუშაკებს. ჩხრეკისა და ამოღების დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა შეარჩიოს დამსწრეები, რომელთა ობიექტურობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. დამსწრეთა სახით უმჯობესია მოწვეულ იქნენ მეზობლები, საბინაო-სექსპლოატაციის უბნის წარმომადგენლები. თუ ჩხრეკა და ამოღება ტარდება წარმოება-დაწესებულებებში, დამსწრეებად მოიწვევიან ამ ორგანიზაციათა თანამშრომლები.

იმ შემთხვევაში, თუ გასაჩხრეკ ბინაში არ არის ოჯახის სრულწლოვანი წევრი, მათ ნაცვლად ჩხრეკისა და ამოღებაში მონაწილეობის მისაღებად მო-



იწვევიან საბინაო-საექსპლოატაციო უბნისა და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაში ყველა შონაწილე პირს უნდა განემარტოს უფლება-მოვალეობანი. საჭიროების შემთხვევაში მათ დაეფრთხილებენ, რომ არ გაახმაურონ ოჯახის წევრების ინტიმური ხასიათის მონაცემები. თუ მათ კავშირი არა აქვთ საქმესთან, ამ საგამომიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს გამომძიებელი უტარებს სათანადო ინსტრუქტაჟს და გაუნაწილებს მათ ფუნქციებს.

ჩხრეკისა და ამოღების დაწყებამდე გამომძიებელმა გასაჩხრეკი ბინის ოჯახის წევრს უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, გააცნოს დადგენილება ჩხრეკის და ამოღების წარმოების შესახებ და მისცეს მას წინადადება ნებაყოფლობით წარუდგინოს მოსაძებნი ნივთები. ფასეულობა, დოკუმენტები და დანაშაულთან დაკავშირებული სხვა საგნები.

თუ ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე გამომძიებელს ოჯახის წევრების გარდა დახვდა სხვა გარეშე პირები, მას უფლება აქვს მოსთხოვოს ამ პირებს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ჩხრეკის (ამოღების) დამთავრებამდე არ მისცეს მათ წასვლის უფლება. საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი უფლებამოსილია ჩაატაროს მათი პირადი ჩხრეკა, ბოლოს, ჩხრეკის დაწყებამდე გამომძიებელი მიმოიხილავს გასაჩხრეკ ბინას, ადგილმდებარეობას, განსაზღვრავს ჩხრეკის ჩატარების საწყის ადგილს და მისი წარმოების თანმიმდევრობას.

მ. ჩხრეკისა და ამოღების ტაქტიკური ხერხები. ჩხრეკისა და ამოღების

ტაქტიკური ხერხები ძირითადად ერთი და იგივეა, მაგრამ გათვალისწინებულ უნდა იყოს ის თავისებურებაც, რაც ახასიათებს ჩხრეკის ცალკეულ სახეებს. კერძოდ, ბინის, საერთო სარგებლობის სადგომის, ადგილმდებარეობის ჩხრეკას, პირად ჩხრეკასა და ამოღებას.

ბინის ჩხრეკა. ტაქტიკური თვალსაზრისით გამართლებულია, რომ ბინის ჩხრეკა დაიწყოს იმ ადგილიდან, სადაც უფრო მოსალოდნელია დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ობიექტების აღმოჩენა. მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება ამ ადგილის უბრალო, გამარტივებული დათვალიერება და სხვა ადგილზე გადასვლა. ყოველი ადგილი, სადაც ჩხრეკა ხდება, გულდასმით და სრულყოფილად უნდა შემოწმდეს.

ჩხრეკის ჩატარების დროს დაცული უნდა იყოს გარკვეული წესი და თანმიმდევრობა. იგი შეიძლება ჩატარდეს საათის ისრის მიმართულებით, სპირალური წესით გადაადგილებით, ცალკეული სათავსოებისა და ოთახების მიხედვით.

ჩხრეკის დროს გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ენიჭება ბინის პატრონის ან ოჯახის წევრის სისტემატურ დაკვირვებას და მათ რეაქციას. ასეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება ხშირად მიუთითებს გამომძიებელს; თუ სად არის გადაძალული მოსაძებნი ობიექტი. გამომძიებლის ბინაში გადაადგილებამ და გარკვეული მიმართულებით ჩხრეკის წარმოებამ შეუძლია გამოიწვიოს ოჯახის წევრის (წევრების) ზედმეტი აოცრება, დაბნეულობა, ემოციები, ფერისა და ხმის ტემპრის შეცვლა, ხმამაღალი ლაპარაკი და ყვირილი. ასეთი რეაქციის საფუძველზე გამომძიებელს შეუძლია გააკეთოს დასკვნა, რომ იგი უახლოვდება იმ ადგილს, სადაც არის მოსაძებნი ობიექტები. ტაქტიკურად ასევე გამართლებულია ოჯახის წევრთან საუბარი მოსაძებნი ობიექტების თაობაზე და მათი გა-

დამალვის შესაძლო ადგილების შესახებ. ეს ტაქტიკური ხერხი კრიმინალისტიკაში ცნობილია როგორც სიტყვიერი დაზვერვა. საუბრის შედეგად ოჯახის წევრის გარკვეულმა რეაქციამ და მისმა პასუხებმა შესაძლებელია გამომძიებელი ადვილად მიიყვანოს იმ ადგილზე, სადაც არის მისთვის საინტერესო გადაძალუღი საგნები, ნივთები, ფასეულობა, დოკუმენტები და ა. შ. ამავე დროს გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს სიღინჯე, წინდახედულობა. არ უნდა გამოვიდეს მოთმინებიდან იმ შემთხვევაშიც, როდესაც გასაჩხრევი ბინის ოჯახის წევრი უყვირის და ემუქრება მას.

ჩხრევის დროს შესაძლებელია ტელეფონმა დარეკოს. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი წყვეტს საკითხს: თვითონ ისაუბროს, თუ ამის ნება დართოს ოჯახის წევრს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამომძიებელი აფრთხილებს ოჯახის წევრს, რომ მან ჩხრევისა და საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე არ ისაუბროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გამოერთვება ტელეფონი.

გულდასმით უნდა დათვალიერდეს წიგნები, რვეულები, ალბომები, ყურნალ-ვაზეთები, რადგან მათ ფურცლებს შორის ინახება ხოლმე ფული, საბუთები, ობლიგაციები, ფასეულობა. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სქელი წიგნის ფურცლებს ამოჭრიან და ამოჭრილ ადგილში დებენ ცეცხლსასროლ. ცივ იარაღს, ნივთებს და ფასეულობას.

სათითაოდ უნდა გაისინჯოს საცვლები, პირსახოცები, ტანისამოსი, საბანი, ბალიში, ზეწარი და ა. შ. ეს საგნები ხშირად გამოიყენება მოსაძებნი ობიექტების გადასამალად.

გულდასმით უნდა დათვალიერდეს ავეჯი, კარადები, საწერი მაგიდა, სკამები, პიანინო, საკრავი ინსტრუმენტები, რადგან შეიძლება სწორედ ამ ადგილებში ინახება მოსაძებნი ობიექტები ან არის საშალავები.

ბინის ჩხრევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამალავების აღმოჩენას, ისინი შეიძლება იყოს ყველგან: ავეჯში, კარადებში, მაგიდებში, კედლებში, იატაკის ქვეშ, ჭერში, აბაჯანში, სამზარეულოში, სარდაფში. კედელზე ჩამოკიდებული სურათების უკან, საკრავ ინსტრუმენტებში, სანახაობით და მოსასმენ აპარატურაში (ტელევიზორი, რადიომიმღები, მაგნიტოფონი, ვიდეოაპარატურა და ა. შ.), საყოფაცხოვრებო დანიშნულების ხელსაწყოებში და ა. შ. სამალავების აღმოჩენისათვის გამომძიებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ნეგატიურ გარემოებებს: ახლად შეღებილი კედლის ნაწილი, გადაადგილებული ავეჯის ადგილი, კედლის ნაწილზე ახლად აკრული შპალერი, კედლის, ჭერის, იატაკის, ფანჯრის, კარების არასწორი ზედაპირი, ახლად გამონგრეული კედელი და ა. შ. სამალავის აღმოჩენისათვის საჭიროა ჩაქუჩით ღრთხილად და მსუბუქად კედელზე ან სხვა ზედაპირზე დაკაკუნება. დაკაკუნების შედეგად არათანაბარი ხმა, ზოგ შემთხვევაში, მიგვანიშნებს სამალავის ადგილზე.

ჩხრევის დროს უნდა დათვალიერდეს ფხვიერი საგნები, სითხეები, პროდუქტები, ყვავილების მიწა და ა. შ. ამ ადგილებში ინახება ხოლმე ფასეულობა, ნივთები, ფული და დოკუმენტები. ბინის ჩხრევის დროს ასევე გულდასმით დათვალიერებას მოითხოვს ბინის დამატებითი სათავსოები.

ჩხრევის ჩატარება შეუძლებელია ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე. ტექნიკური საშუალებების უმრავლესობა საგამოძიებო პორტფელშია. მაგრამ საჭირო ხდება სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებაც. მაგალითად, სამალავების დასადგენად, ცეცხლსასროლი იარაღის მოსაძებნად, ოქროუ-

ლობის აღმოსაჩენად წარმატებით გამოიყენება ლითონმძებნი, გვამის აღმოჩენის
შენად — გვამმძებნი. ჩხრეკის ჩატარების დროს ჩვეულებრივი სანათობის
ყოების გარდა გამოიყენება ულტრაიისფერი ნათურა, სხვადასხვა საძებნი ხელ-
საწყობი, ფხვიერ და რბილ საგნებში გაჩხრეკის ობიექტების აღმოჩენის მიზნით
ხდება ზონდირება.

ჩხრეკის წარმოების დროს, საჭიროების შემთხვევაში ხდება ფოტოგრაფი-
რება, კინო და ვიდეოგადაღება.

ჩხრეკის ჩატარების შედეგად ამოღებულ უნდა იყოს ყველა საგანი, ნივ-
თი, ფასეულობა, დოკუმენტები, რაც დაკავშირებულია მოცემულ დანაშაულ-
თან ან სხვა დანაშაულის ჩადენასთან. რომლის გამოძიებაც ჯერ კიდევ არ არის
დაწყებული. ასევე ამოღებას ექვემდებარება ბრუნვიდან ამოღებული საგნები,
მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ კავშირი გამოსაძიებელ საქმესთან.

საერთო სარგებლობის სადგომების ჩხრეკის თავისებურება. ამ სახის სა-
გამოძიებო მოქმედების ჩატარებას ადგილი აქვს სამსახურებრივი კაბინეტების
და სამუშაო ადგილის, სასტუმროებისა და საერთო საცხოვრებლების ჩხრეკი-
სას. ჩხრეკის დროს გამოიყენებულ უნდა იქნეს ყველა ის ტექტიური ხერხი და
რეკომენდაცია, რაც ახასიათებს ბინის ჩხრეკას; გათვალისწინებულ უნდა იქნეს,
აგრეთვე, თავისებურებანიც.

ჩხრეკის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ პირველ რიგში უნდა
დათვალიერდეს სამუშაო მაგიდა, შემდეგ კარადა და მასში არსებული საგნები
და ნივთები. თუ სამუშაო კაბინეტში რამდენიმე თანამშრომელია, ჩხრეკას ექ-
ვემდებარება უშუალოდ ექვმიტანილის ან ბრალდებულის კუთვნილი საგნები
და ნივთები. ასეთივე წესი უნდა იყოს დაცული საერთო საცხოვრებლებისა
და სასტუმროს ოთახების ჩხრეკის დროს. მხოლოდ პირადი სარგებლობის საგ-
ნების გაჩხრეკის შემდეგ შეიძლება მოხდეს საერთო სარგებლობის ადგილებისა
(აბაზანა, სამზარეულო, ტუალეტი) და ავეჯის გაჩხრეკა (კარადა, მაგიდა, სკამი)
და ა. შ.

ადგილმდებარეობის ჩხრეკა. ჩხრეკის ამ სახესთან საქმე გვაქვს იმ შემთხ-
ვევაში, როდესაც არსებობს რეალური ვარაუდი, რომ დანაშაულის ჩადენასთან
დაკავშირებული ობიექტები იმალება ან გვამი დამარხებულია ტყეში, ეზოში, ბაღ-
ში, ან სხვა ადგილზე. იმის გამო, რომ ადგილმდებარეობა, როგორც წესი, შედა-
რებით დიდ ფართობს მოიცავს, საჭირო ხდება მისი კვადრატებად (სექტორე-
ბად) დაყოფა და ამის მიხედვით ჩხრეკისა და დათვალიერების წარმოება.

ადგილმდებარეობის ჩხრეკის დროს გამოძიებელი არ უნდა მოერიდოს
ბინძური სამუშაოების ჩატარებას, რადგან მას ზოგჯერ უხდება ნაგავის გა-
ქექვა, ტალახში და მტვერში მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მი-
ექცეს ახლად გადათხრილ მიწას; ფხვიერ ადგილებს, რომელიც გამოიყოფა ჩვე-
ულებრივი მასიდან; ახალ ბალახს ძველი და გამხმარი ბალახის ფონზე; ქვების
გადაადგილების ადგილებს და ა. შ. ეს ნეგატიური მოვლენები ხშირად მიგვა-
ნიშნებენ გვამის დამარხვის ადგილზე, სამალავების არსებობაზე და დანაშაულ-
თან დაკავშირებულ სხვა ობიექტების გადამალვის ადგილზე. ადგილმდებარე-
ობის ჩხრეკის დროს ასევე გამოიყენება ტექნიკური საშუალებები.

პირადი ჩხრეკა. ამ გადაუღებელ საგამოძიებო მოქმედებას შეიძლება ად-
გილი ჰქონდეს ოთხ შემთხვევაში, კერძოდ, როდესაც გაჩხრეკილ უნდა იქნეს:
გასაჩხრეკი ბინის ოჯახის წევრი, იქ დამხვედრი პირი, გასაჩხრეკ ბინაში მიმა-
ლული ძებნილი პირი და ჩხრეკის დროს მოსული პირი. ოთხივე შემთხვევაში

უნდა არსებობდეს რეალური საფუძველი პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად. გამომძიებელი უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ პირი შეიარაღებულია ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით და შეუძლია ან ცდილობს მის გამოყენებას; რომ პირი ინახავს ან მალავს ისეთ ობიექტებს, საგნებსა და დოკუმენტებს, რასაც უშუალო კავშირი აქვს მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან. ოთხივე შემთხვევაში პირადი ჩხრეკა ტარდება გამომძიებლის დადგენილების გამოტანისა და პროკურორის სანქციის გარეშე, რადგან ეს მოქმედება არის გადაუდებელი.

პირადი ჩხრეკა, თუ ის დაკავშირებულია გაშიშვლებასთან, უნდა ჩატარდეს იმავე სქესის დამსწრეების და გამომძიებლის მიერ. თუ გამომძიებელი მოპირდაპირე სქესისაა, მან უნდა მოიწვიოს ექიმი-სპეციალისტი, რომელიც ჩატარებს პირად ჩხრეკას. პირადი ჩხრეკის ჩატარება უნდა მოახდინოს გამომძიებელმა ოპერატიულ მუშაკებთან ერთად, რომ გამორიცხულ იყოს იარაღისა და ძალადობის გამოყენება. პირადი ჩხრეკა, ტაქტიკური თვალსაზრისით, უმჯობესია მოხდეს განმარტოებით და ცალკე ოთახში, თუ ამის პრაქტიკული და რეალური საშუალება არსებობს.

გასაჩხრეკი პირი უნდა დააყენონ კედელთან გულმკერდით და ხელები ზევით ააწევიონ, რაც გამორიცხავს ძალადობის ვაწევას და ადვილებს ჩხრეკის წარმოებას. პირადი ჩხრეკის დროს, პირველ რიგში, ამოღებულ უნდა იყოს ცეცხლსასროლი, ცივი იარაღი ან სპეციალურად მომარჯვებული თავდასხმის სხვა საგანი. პირადი ჩხრეკა ტარდება შემდეგი ტაქტიკური ხერხის გამოყენებით: იგი წარმოებს ზემოდან ქვემოთ, გაჩხრეკას ექვემდებარება ჯიბეები, ხელჩანთა და სხვა პირადი საჭიროების საგნები (ქოლგა, ფოტოაპარატი, პორტსიგარი, საათი და ა. შ.). გულდასმით უნდა იყოს დათვალიერებული ტანისამოსი, ფეხსაცმელი, წინდები, საცვლები. ულტრაიისფერი ნათურის დანათების შედეგად ტანისამოსზე შეიძლება გამომჟღავნდეს სისხლისმაგვარი წითელი ლაქები, სპერმის კვალი, ზეთისა და სხვადასხვა სითხეების ლაქები.

ამოღება. ამოღება, ტაქტიკური ხერხების გამოყენების თვალსაზრისით, არის მარტივი საგამოძიებო მოქმედება, ვინაიდან გამომძიებელმა იცის რა უნდა ამოიღოს, სად უნდა ჩატარდეს ამოღება და სად ინახება ამოსაღები საგანი, ნივთი, ფასეულობა, დოკუმენტი. ამოღების დროს საჭირო არ არის ჩხრეკის წარმოება. ამოღება შეიძლება გადაიზარდოს ჩხრეკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამოსაღები ობიექტი გადამალულია. ამ შემთხვევაში გამოიყენება ყველა ის ტაქტიკური ხერხი, რაც დამახასიათებელია ჩხრეკის წარმოებისათვის.

ამოღების დროს, როგორც წესი, საგნები და ობიექტები გაიცემა ნებაყოფლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოღება წარმოებს იძულებითი წესით. ვიდრე გამომძიებელი შეუდგება იძულებითი წესით ამოღებას, ტაქტიკურად გამართლებულია, რომ გამომძიებელმა დაარწმუნოს ოჯახის წევრი ან დაწესებულების წარმომადგენელი საგნების ნებაყოფლობით გაცემის მნიშვნელოვან უპირატესობაში.

ყოველ ამოღებული საგანი, ნივთი, ფასეულობა, დოკუმენტი უნდა იყოს დათვალიერებული და დაწვრილებით აღწერილი ამოღების ოქმში. დათვალიერება, როგორც წესი, ხდება ამოღების ადგილზე და თუ ეს შეუძლებელია ან რთულია, ამოღებული საგნების დათვალიერება ხდება გამოძიების წარმოების ადგილზე.

ამოღება შეიძლება მოხდეს ექვიტანის, ბრალდებულის საცხოვრებე-

ლი ან სამსახურებრივი ადგილიდან ან სხვა ადგილიდან, სადაც და ვისთანაც ინახება ამოსაღები ობიექტები.

4. ჩხრეკისა და ამოღების შედეგების ფიქსაცია. ჩხრეკისა და ამოღების შედეგად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 96-ე, 276-ე და 277-ე მუხლებით.

წერილობითი ოქმის გარდა ჩხრეკისა და ამოღების შედეგების ფიქსაცია შეიძლება მოხდეს გეგმებისა და სქემების შედგენით, სადაც აღინიშნება აღმოჩენილი და ამოღებული საგნების, ნივთების, დოკუმენტების, გვამის ადგილსამყოფელი და მათი პარამეტრები. ჩხრეკისა და ამოღების ფიქსაციის ეფექტიანი საშუალებაა ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება, განსაკუთრებით იმ ადგილებისა, სადაც არის სამალავები.

ჩხრეკისა და ამოღების ოქმში აღინიშნება ნებაყოფლობით გადაეცა ჩხრეკისა და ამოღების ობიექტები, თუ ისინი ამოღებულ იქნა ჩხრეკის შედეგად. ოქმში ასევე მიეთითება ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს წესრიგის დარღვევის ფაქტის შესახებ, აგრეთვე იმის თაობაზე, ადგილი ხომ არ ჰქონდა ამოსაღები ობიექტების განადგურებას ან გადამალვას და რა ზომები მიიღო ამ მხრივ გამოძიებელმა.

ყველა საგანი, რომელიც ამოღებულ იქნა ჩხრეკისა და ამოღების შედეგად, წარედგინება როგორც დამსწრეებს, ასევე ოჯახის წევრებს ან ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რის შესახებაც მიეთითება ოქმში.

ჩხრეკისა და ამოღების ოქმში აღინიშნება და აღიწერება საგნებისა და ნივთების ამოღების ადგილი და თვით ამოღებული ობიექტები, რომელთაც კავშირი აქვთ დანაშაულის ჩადენასთან ან არიან ბრუნვიდან ამოღებული საგნები. ყველა ამოღებული საგანი, ნივთი, ფასეულობა, დოკუმენტი, გვამი და ა. შ. უნდა აღიწეროს დაწვრილებით. აღწერას ექვემდებარება არა მარტო ზოგადი ნიშნები (ფორმა, ზომა, დასახელება, საქარხნო ნიშნები, ფერი, აგებულება, დამზადების მასალა, სარეგისტრაციო ნომერი), არამედ კერძო ნიშანთვისებები (დეფექტები, მისი ადგილი და ფორმა, დაზიანებანი და ა. შ.). აღწერა ხდება ჩხრეკის (ამოღების) ოქმში, ანდა ცალკე ფურცელზე, რომელიც ერთვის ოქმს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამოღებული საგნების სიმრავლის გამო ან არახელსაყრელი პირობების შედეგად ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე შეუძლებელია ამოღებული ობიექტების დაწვრილებით აღწერა, ისინი უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. ასეთ შემთხვევაში მათი დათვლიერება და აღწერა ხდება გამოძიების ადგილზე, მაგრამ იმავე დამსწრეთა მონაწილეობით, რომლებიც ესწრებოდნენ ჩხრეკასა და ამოღებას.

ჩხრეკისა და ამოღების ოქმში არ უნდა მიეთითოს საგნებისა და ფასეულობათა ისეთი ნიშნები, რომელთა დადგენა ვიზირებით რთულია (ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი, სისხლი და ა. შ.). ჩხრეკისა და ამოღების ოქმში აღინიშნება ამ მოქმედებაში მონაწილე პირთა განცხადებებისა და საჩივრების შინაარსი.

ჩხრეკისა და ამოღების ოქმი დგება ორ ცალად. პირველი პირი რჩება სისხლის სამართლის საქმეში, მეორე პირი კი ხელწერილით ჩაბარდება ოჯახის წევრს ან შესაბამის თანამდებობის პირს, ვინც ესწრებოდა ჩხრეკას.

შოთა შავიაშვილი

დანაშაულთა ჩადენის ხერხების სხვადასხვა არსი და მათი კრიმინალისტური მნიშვნელობა

დანაშაულთა ჩადენის ხერხების შესწავლა-გამოკვლევას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის. დანაშაულის ჩადენის ხერხების შესახებ არსებული პირველადი მონაცემები გარკვეულწილად განსაზღვრავს თვით გამოძიების მეთოდის თვისებებთანაც. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ იგი დანაშაულთა გახსნის მეთოდის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი. სწორედ მისი ესოდენ დიდი მნიშვნელობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მოცემული საკითხების შესწავლას თავიდანვე გარკვეული ყურადღება დაეთმო, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის დამუშავებული კრიმინალისტურ ლიტერატურაში, დღეისათვის დანაშაულთა ჩადენის ხერხების ცნება, არსი და მნიშვნელობა კრიმინალური ციკლის სისტემაში შემავალ იურდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ერთიანად არ არის გაგებულ. მაგალითად, სისხლის სამართლის მეცნიერებაში დანაშაულის ჩადენის ხერხების ცნება გაგებულია როგორც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი, დამნაშავის მიერ გარკვეული სახის დანაშაულებრივი მოქმედების ან უმოქმედობის ჩადენა, ე. ი. პირის მიერ თავისი დანაშაულებრივი პიზნის მიღწევისათვის საჭირო თანმიმდევრულ მოქმედებათა (უმოქმედობათა) შესრულების ხერხები. ამასთან, სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით დანაშაულის ჩადენის ხერხები ერთ შემთხვევაში შეიძლება მოგვევლინოს როგორც დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი და სხვა მომიჯნავე დანაშაულებრივი ქმედობებისაგან განმასხვავებელი ნიშანი. მაგალითად, სახელმწიფო საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით (სსკ 91-ე მუხ.), მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება (სსკ 150-ე მუხ.) და სხვა. მეორე შემთხვევაში კი, როგორც მაკვალიფიცირებული გარემოება და დანაშაულებრივი ქმედობის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მაჩვენებელი. სხვა შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ხერხებს შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში სასჯელის განსაზღვრისათვის.

კრიმინალისტური თვალსაზრისით დანაშაულის ჩადენის ხერხების ცნება უფრო ფართოა და იგი მოიცავს აგრეთვე დამნაშავის მიერ დანაშაულის მომზა-

დების, მისი ჩადენისა და დაფარვისათვის მიღებულ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, დანაშაულის ჩადენის და დაფარვის მთლიან მექანიზმს მაშინ, როცა სისხლის სამართლის სამართლებრივი გაგებით, მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავისი დანაშაულებრივი კვალის დაფარვის რა ღონისძიებებს გაატარებს. მაგალითად, დანაშაულის შემადგენლობის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, დამნაშავე მკვლელობის ჩადენის შემდეგ დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, გვამს მდინარეში გადაადგებს თუ აჩენავს და ნაწილ-ნაწილ ჩაფლავს მიწაში ანდა ცეცხლს წაუკიდებს და დაწვავს. ასევე მნიშვნელობა არა აქვს იმას, დამნაშავემ დანაშაულის ჩადენის მიზნით ერთი წლით, ერთი თვით, ერთი დღით თუ ერთი საათით ადრე შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. არც იმას, თუ იგი რა სახის ცეცხლსასროლი იარაღით ჩაიდენს მკვლელობას. კრიმინალისტური გაგებით კი ამ გარემოებათა დადგენის გარეშე არც შეიძლება ვიმსჯელოთ დანაშაულის გახსნასა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაზე.

ა. ნ. ვასილევმა ადრე დანაშაულის ჩადენის ხერხების ცნებაში აერთიანებდა დამნაშავეს მიერ გამოყენებულ ხერხებსა და საშუალებებს, შემდეგ კი იგი დანაშაულის ჩადენის ხერხებს უშუალოდ უკავშირებს საგამოძიებო ვერსიების აგებას, რადგან, მისი აზრით, მთელ რიგ შემთხვევებში, დანაშაულის ჩადენის ხერხების მიღმა დგას დამნაშავე, რომელიც დანაშაულის ჩადენის ხერხებში ავლენს თავის თავს, თავისი მოქმედების ჩვეულ სახეს, განზრახვასა და პროფესიონალურ ჩვევებს.

ა. ნ. კოლესნიჩენკო დანაშაულის ჩადენის ხერხების ცნებაში ანხვავებს ორ მომენტს — დანაშაულის ჩადენას და მის დაფარვას. იგი, მართალია არ უარყოფს დანაშაულის გახსნისათვის დამნაშავეს მიერ დანაშაულის ჩადენამდე და მისი ჩადენის შემდეგ დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით შესრულებულ მოქმედებათა ხასიათის დადგენის მნიშვნელობას, მაგრამ დანაშაულის ჩადენის ხერხების განმარტების ამ მნიშვნელოვან მომენტს რატომღაც მხედველობიდან უშვებს. კერძოდ, იგი დანაშაულის ჩადენის ხერხებს განმარტავს როგორც დამნაშავეს მოქმედებათა სახეს, რომელიც წარმოგვიდგება გარკვეული თანმიმდევრობით ჩატარებული იმ ურთიერთდაკავშირებული მოქმედებისა და ხერხების კომპლექსის სახით, რომელთაც თან სდევს დანაშაულებრივი შედეგის ან ქმნის ასეთი შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას.

კრიმინალისტურ ლიტერატურაში გატარებულია აგრეთვე აზრი, რომლითაც დანაშაულის ჩადენის ხერხების მნიშვნელობა უგულვებელყოფილია გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილ დანაშაულთა გახსნის მეთოდისათვის. კრიმინალისტთა მეორე ჯგუფის წარმომადგენლები კი არ უარყოფენ, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხები დამახასიათებელია გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილ დანაშაულისათვის.

ეს უკანასკნელი მოსაზრება, ჩემი აზრით, სწორია. თუ სისხლის სამართლის თვალსაზრისით, ობიექტური მხარის ნიშნების გარეშე არ შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულის შემადგენლობის არსებობაზე, მაშინ როგორ შეიძლება უარყოფით მისი კრიმინალისტური მნიშვნელობა? ვანა დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე პირის მოქმედებასა ან უმოქმედობაში არ ვლინდება? ანდა გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილი დანაშაული ყოველთვის პირის წმინდა

უმოქმედობაში გამოიხატება? ცხადია არა, უფრო მეტიც, განა უოველგვარი სახის უმოქმედობა დანაშაულია? ბუნებრივია არა. უმოქმედობა, თუ იგი კანონით აღწერილ გარემოებებში არ იქნა ჩადენილი, არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივ ქმედებად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირის მიერ გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილი ქმედების დანაშაულად ცნობისათვის საჭიროა იგი აკმაყოფილებდეს კანონში მითითებულ მოთხოვნებს. ამიტომ, მისი ჩადენა შეუძლებელია გარკვეულ კომპლექსურ მოქმედებათა ან უმოქმედობათა გარეშე. ამ ქმედობათა შესრულება ან შეუსრულებლობა, ცხადია ვლინდება გარკვეულ სპეციფიკურ ხერხებსა და ფორმებში, რომელთა დადგენასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ დანაშაულთა შემადგენლობის, არამედ ამ კატეგორიის დანაშაულთა გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების; დადგენისათვის. მაგალითად, რაიონის ცენტრალური შემნახველი ბანკის გამგე თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ეკიდებოდა დაუდევრად, რაც იმაში გამოიხატა, რომ იგი არ მოითხოვდა ბუღალტერიის მუშაკებისა და რევიზორებისაგან კონტროლი გაეწიათ ერთ-ერთი თანამშრომლის მუშაობისათვის. თვითონაც ფორმალურად ეკიდებოდა რევიზიის ჩატარებას და მენაბრეთა პირად ბარათებს ყოველთვის არ აჯერებდა მათ შემნახველ წიგნაკებთან. მოვალეობისადმი ასეთმა დაუდევარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ თანამშრომელმა დოკუმენტების გაყალბებით და მენაბრეთა მიერ შემოტანილი ფულის შემოსავალში აუღებლობით შეძლო 17926 მანეთის მითვისება. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 13 მარტის დადგენილებით სწორად იქნა ცნობილი გამგის მსჯავრდება დაუდევრობისათვის.

ამ მაგალითშიც ნათლად ჩანს, რომ გამგის გაუფრთხილებელი ბრალი გამოიხატა მისი სამსახურებრივი მოვალეობით შესასრულებელ მთელ რიგ მოქმედებათა შეუსრულებლობაში ან მათ არაჯეროვნად შესრულებაში. ამ შეუსრულებელ მოქმედებათა კომპლექსი სხვა არა არის რა, თუ არა მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ხერხი, რომლის ახსნა-დადგენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მისი ბრალეულობის საკითხის გარკვევა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

სისხლის სამართლის თეორიაში შემუშავებულ დანაშაულთა ჩადენის ხერხების ცნებისაგან განსხვავებით მისი კრიმინალისტური გაგება მოიცავს დანაშაულის დაფარვისათვის მიღებულ ღონისძიებებსაც. მთელ რიგ შემთხვევებში, პირი დანაშაულის ჩადენისათვის არჩევს ისეთ ხერხებს და საშუალებებს, რომელთა გამოყენებითაც მას სჯერა, რომ ადვილად მიაღწევს თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას და ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა შეუმჩნეველი დარჩება. ხოლო თუ მაინც გამოვლინდება, სათანადო ორგანოები ვერ შეძლებენ მის გახსნას. ამიტომ იგი წინასწარ ქმნის დანაშაულის მომზადების, მისი ჩადენისა და დაფარვისათვის საჭირო კომპლექსურ ღონისძიებათა მოდელს.

დანაშაულთა ჩადენის ხერხების კრიმინალისტურ გაგებაში მიღებულია, რომ ერთიმეორისაგან განვასხვავოთ შემდეგი ძირითადი ეტაპები: დანაშაულის მომზადების, დანაშაულის ჩადენის და დანაშაულის დაფარვის ხერხები. დამთავრებული განზრახი დანაშაული გაივლის დანაშაულის ხერხების ამ სამივე ეტაპს. გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის კი დამახასიათებელია მხოლოდ დანაშაულის განვითარების მეორე საფეხური — დანაშაულის ჩადენის ხერხები.

კომპლექსურ ღონისძიებაში იგულისხმება არა მარტო დამნაშავეის მიერ თავისი დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებისათვის საჭიროება, თუ იმ ფიზიკური მოქმედების შესრულება ან შეუსრულებლობა — დანაშაულის ჩადენისათვის საჭირო იარაღების შექმნა, მომარჯვება და გამოყენება. არამედ მისი პროფესიული ცოდნა და ის ტექნიკური საშუალებებიც, რომლებსაც იგი იყენებს დანაშაულის კვალის დაფარვისათვის. მაგალითად, ზეინკალი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ძვირფასი ნივთების დასამალად ამჯობინებს თავის საცხოვრებელ ბინაში ან სარდაფის კედლებში მოაწყოს სპეციალური სამალავები ცეცხლგამძლე კარადების სახით. დურგალი — კარადებსა და ხის ნაკეთ ავეჯში აკეთებს ისეთ შეუმჩნეველ სამალავებს, როგორიცაა კარადის უჯრების ორმაგი ჩარჩოები, სკამების ან მაგიდის ფეხების გაბურღვა და მასში ძვირფასი ნივთების გადამალვა და სხვა. მაგალითად, ერთ-ერთი ბინის ჩხრეკის დროს ხის სკამის ოთხივე ფეხიდან ამოღებული იქნა 900 გრამი ოქროს სხვადასხვა ძვირფასი ნივთი. მკვლეელი დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით გვამს ანაწევრებს. მიწაში ფლავს, წვავს, აწყობს უბედური შემთხვევის ან თვითმკვლელობის ინსცენირებას და სხვ. მაგალითად, ერთ-ერთმა დამნაშავემ მოკლა რა მასთან მისული სტუმარი, ღამით თავის ბაღში გათხარა მიწა. შიგ ჩამარხა და შენიღბვის მიზნით ზემოდან ხე დარგო. დილით კი დანაშაულებრივი კვალის სრული წაშლის მიზნით, ბაღის მორწყვა დაიწყო. მეორე შემთხვევაში, დამნაშავემ მოკლა თავისი ცოლი, ღამით ავტოფარეხის წინ გათხარა მიწა და შიგ ჩამარხა. მეორე დღეს კი მთელს ეზოში ასფალტი დააგო, ან კიდევ ცოლმა მოკლა ქმარი, საყვარელთან ერთად დაანაწევრა მისი გვამი, ჩააწყო კალათებში, გაიტანა ქალაქგარეთ და მიწაში ჩამარხა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კრიმინალისტი ცდილობს დანაშაულთა ჩადენის ხერხების ცნების ხელღვენიერ გაზრდას და მასში შეაქვს დანაშაულის სხვა გარეშე ობიექტური ფაქტორები. მაგალითად, როცა ვ. ა. ოვეჩკინი იძლევა დანაშაულთა ჩადენის ხერხების განმარტებას და მასში მთავარ განმსაზღვრელ მიზეზობრივ ფაქტორად, დამნაშავეის თვისებების გარდა, შეაქვს აგრეთვე ის გარეშე ფაქტორები, რამაც ხელი შეუწყო — და განაპირობა დანაშაულის ჩადენა, ჩემი აზრით, არასწორია.

მართალია, გარეშე ფაქტორები, მრავალ შემთხვევაში, გარკვეულ როლს ასრულებენ დამნაშავე პირის მიერ დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის დროს (მაგალითად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების არასათანადო დაცვა; უღრან ტყეში მონადირისათვის ახალგაზრდა ღამაში მანდილოსანის შეხვედრა, რომელმაც მას აღუძრა სურვილი მასთან სქესობრივი კავშირის დაპერისათვის და გააუბატიჟრა იგი და სხვ.). მაგრამ, ცხადია, ეს სულ სხვაა და იგი შეიძლება დანაშაულის ჩადენის ხერხების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად მივიჩნიოთ. ეს ისეთი ფაქტორებია, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მიდრეკილების მქონე პირებს ერთგვარად აღიზიანებს და გარკვეულადაც უბიძგებს დანაშაულის ჩადენისაკენ. მაგრამ, ცხადია, იგი არ შეიძლება გაავერთიანოთ დანაშაულთა ჩადენის ხერხების ცნებაში.

ასევე ნაკლებ დამაჯერებლად გვეჩვენება ა. ა. ხშიროვის მოსაზრება, რომლითაც თითქოს თანამდებობრივ და სამეურნეო დანაშაულში, სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით, დანაშაულის ჩადენისა და დაფარვის ხერხები და თვით მისი ჩადენის შესაძლებლობაც წინასწარ განისაზღვრება არა იმდენად დამნა-

შავისათვის ინდივიდუალური თავისებურებებით, რამდენადაც იმ ობიექტურ პირობებით, რომელშიც მომხადდა და ჩადენილ იქნა დანაშაული. ე. ი. ვიმედოვნებ, რომ თანამდებობრივი და სამეურნეო ხასიათის დანაშაულის ჩადენის ხერხების შერჩევაში უპირატესი როლი ეკუთვნის არა დამნაშავე პიროვნებას, არამედ დამოუკიდებლად არსებულ იმ ობიექტურ პირობებს, რომელშიც ფაქტობრივად იქნა ჩადენილი დანაშაული. ეს კი, ჩემი აზრით, არასწორი და ულოგიკოა. დანაშაულის ჩადენის მთელი მექანიზმისათვის აუცილებელ კომპლექსურ ღონისძიებათა წარმართვის მთავარი განმსაზღვრელია დანაშაულის ჩადენი პირის ინდივიდუალური თვისებები და არა ობიექტური პირობები ან სხვა გარეშე ფაქტორები. მაგრამ, ობიექტურად არსებულმა გარემომებამ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გარკვეულად შეუწყოს ხელი პირის დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას. მაგრამ იგი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს დამნაშავე პირთა მოქმედების წარმმართველი. დანაშაულის ჩადენისათვის პირი ეძებს მისთვის საჭირო ხელსაყრელ პირობებს და ამისათვის იგი ატარებს მოსამზადებელ ღონისძიებებს. მაგალითად, მექრთამეობის დროს იგი ეძებს ამა თუ იმ მოქმედების შესრულებით დაინტერესებულ პირს, უთანხმდება მას მისთვის სასურველი მოქმედების შესრულებაში ან ასეთი მოქმედების შეუსრულებლობაში ქრთამის მიცემა-აღებაზე, ქრთამის საგანზე, ქრთამის ოდენობაზე, მისი გადაცემის დროსა და ადგილზე და სხვ. მანამდე, მექრთამეობის ჩადენის ხერხებს განსაზღვრავს არა ობიექტური პირობები, არამედ პიროვნება ობიექტური პირობების გათვალისწინებით. ასევე განზრახ მკვლელობის დროს თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დამნაშავე არჩევს მისთვის ხელსაყრელ პირობებს და გარემოებებს. კერძოდ, არჩევს ადგილს თავის მსხვერპლზე თავდასხმისათვის და თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად არჩევს შესაბამის ხერხებს, ადგილმდებარეობას და ყოველივე ამის გათვალისწინებით ადგენს დანაშაულის ჩადენისა და მისი კვალის დაფარვის ერთიან მოდელს. მაგალითად, ორმა პირმა განზრახა თავიანთი ამხანაგის მოკვლა. ამ უკანასკნელს შესთავაზეს ტყეში საქეიფოდ წასვლა. იმ დროს, როცა შუა პურის ჭამაში იყვნენ და ცეცხლზე მწვადებს წვავდნენ, მას კამათი დაუწყეს, რა დროსაც ერთერთმა ცეცხლისკენ თავით დახრილ მსხვერპლს მძლავრად ჩაართყა კისერში ხანჯალი. შემდეგ გვამს ცეცხლი წაუკიდეს და ელოდნენ მის დაწვას.

დანაშაულის ჩადენისა და მისი დაფარვის წინასწარ შედგენილი მოდელი ზოგჯერ შეიძლება ნაწილობრივ შეიცვალოს კიდევ გაუთვალისწინებელი გარემოების აღმოცენებისა და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით და მას მოჰყვეს ახვა, ახალი დანაშაულის ჩადენაც. მაგალითად, ერთ-ერთი დაწესებულების მთავარი ინჟინერი, რომელიც მხილებულ იქნა დოკუმენტების გაყალბებით სახელმწიფო საკუთრების დიდი ოდენობით დატაცებაში, ღამით შეიპარა საგამოძიებო ორგანოების მიერ დალუქულ ოთახში და ცეცხლი წაუკიდა იქ არსებულ სარეგისტრაციო ყურნალებს, ზედღებულებს და სხვა მისი დანაშაულებრივი ქმედების მამხილებელ დოკუმენტებს, რა დროსაც მას თავზე წაადგა ღამის დარაჯი. იგი არ ელოდა მის გამოჩენას და არც განზრახული ჰქონდა მკვლელობის ჩადენა. მაგრამ შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვიტა მისი მოკვლა და ეს განზრახვა დაუყოვნებლივ სისრულეში მოიყვანა. შემდეგ კვლის დაფარვის მიზნით მოკლულის გვამს ცეცხლი წაუკიდა. ცხადია მოცემულ გარემო პირობებში შექმნილმა კონკრეტულმა სიტუაციამ მას გარკვეულწილად უბიძგა ახალი, მძიმე დანაშაულის ჩადენისაკენ, მაგრამ იგი არ შეიძლება მივი-

ჩნით ამ დანაშაულის ჩადენის ხერხების განმსაზღვრელად, რადგან სხვა შემთხვევაში მას შეეძლო დამალულიყო, გაქცეულიყო ან სხვა რამ ელოდა და მკვლელობა არ ჩაედინა. მაშასადამე, თვით ასეთ რთულ კონკრეტულ სიტუაციაში მოცემული დანაშაულის ჩადენის ხერხების განმსაზღვრელია არა ობიექტური პირობები, არამედ დანაშაულის ჩადენის ინდივიდუალური თვისებები.

დანაშაულის ჩადენისა და მისი კვალის დაფარვის ხერხების შერჩევას, დამნაშავე ავლენს თავის პირად თვისებებს, ჩვევებს, ცოდნას, სიმარჯვეს, ხასიათსა და სხვა. რომელთა შორის შემთხვევითი ხასიათის ფაქტორებთან ერთად, დანაშაულის ჩადენის პროცესში, თავს იჩენს მისთვის დამახასიათებელი ისეთი მყარი ჩვევა, რომელსაც შემდეგ სხვა დანაშაულის ჩადენის დროსაც იყენებს და თავის ხელწერას ტოვებს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ დამნაშავეს მიერ ერთხელ შემუშავებული ხერხი ყოველთვის მყარი და სტაბილური იყოს, დამნაშავეც ავითარებს და სრულყოფს დანაშაულის ჩადენის ხერხებს.

ამრიგად, დანაშაულის ჩადენის ხერხების კრიმინალისტური გაგება მოიცავს დანაშაულის ჩადენისა და მისი კვალის დაფარვის მთლიან მექანიზმს. დამნაშავე პირის მიერ შემუშავებულ იმ კომპლექსურ ღონისძიებათა ერთიანობას (მოქმედებას ან უმოქმედობას), რომელიც მიმართულია დანაშაულის მომზადების, დანაშაულის ჩადენისა და მისი დაფარვისათვის.

დანაშაულის ჩადენისა და დაფარვის ხერხების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ზოგჯერ შეიძლება მოგვევლინოს დანაშაულის ჩადენის იარაღიც, რომლის გამოყენებაც ხშირად დანაშაულის ჩადენი სუბიექტის თვისებებზეც მიგვითითებს. მაგრამ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს დანაშაულის ჩადენის იარაღი ყოველთვის თან სდევდეს ამა თუ იმ სახის დანაშაულის ჩადენას, დანაშაულის ჩადენის ხერხების შერჩევა-გამოყენებას. ცხადია, არა, მაგალითად, ქალის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით მასთან სქესობრივი კავშირის დასაჭერად. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დამნაშავეს არ სჭირდება მასზე ფსიქიური ზეგავლენისათვის სხვა რაიმე საგნის ან იარაღის გამოყენება. ასევე, ღრმა მდინარეში ან ზღვაში დახრჩობის მიზნით იმ პირის შეყვანისა და მიტოვებისთვის, რომელმაც ცურვა არ იცის. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დამნაშავეს სრულებითაც არ სჭირდება დამატებითი რაიმე საგნის ან იარაღის გამოყენება.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მრავალ შემთხვევაში დამნაშავე წინასწარ ქმნის არა მარტო დანაშაულის ჩადენის მოდელს, არამედ ქმნის და ამუშავებს მისი დაფარვის ხერხებსაც. გაუთვალისწინებელ შემთხვევაში კი, კონკრეტული გარემოების მიხედვით შექმნილი რთული სიტუაციის გათვალისწინებით, ქმნის ახალი, მისთვის გაუთვალისწინებელი დანაშაულის ჩადენისა და ამ დანაშაულებრივი ქმედების კვალის დაფარვისათვის საჭირო ისეთ ახალ მოდელს, რომლის გაუხსნელობაშიც იგი ღრმად და დარწმუნებული, ამის ნათელი მაგალითია ზემოთ მოტანილი შემთხვევა, როცა მთავარმა ინჟინერმა დოკუმენტების დაწვის დროს დარაჯი სიცოცხლეს გამოასალმა და კვალის დაფარვის მიზნით მისი გვამიც საბუღალტრო-სააღრიცხვო დოკუმენტებთან ერთად დაწვა.

დანაშაულთა ჩადენის ხერხები და საშუალებები მრავალფეროვანია. მათი მრავალსახეობის მიუხედავად, ყველა სახის დანაშაული დამნაშავე პირის სუბიექტური თვისებებისა და დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმის გათვალისწინებით შეიძლება დაგვით შემდეგ ჯგუფებად:

1. დანაშაული, რომელთა ჩადენა შესაძლოა ზეპირსიტყვიერებით ან წერილობით (მაგალითად, მუქარა, შეურაცხყოფა, ცილისწამება, გამოძალაფე, შეგნებულად ცრუ დასმენა, პირის წაქეზება დანაშაულის ჩადენაში და სხვ.);

2. დანაშაული, რომელთა ჩადენა შეიძლება მოხდეს დამნაშავის მიმიკით, ექსტრაკულაციით (მაგალითად, გარყვნილი ქმედობის ჩადენა, ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ან საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამომხატველი მოქმედების ჩადენა და სხვ.);

3. დანაშაული, რომელთა ჩადენა შეიძლება მოხდეს პირის უმოქმედობით ან თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით (მაგალითად, დანაშაულის განუცხადებლობა, პირის განსაცდელში მიტოვება, პირისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ, დანაშაულებრივი დაუდევრობა და სხვ.);

4. დანაშაული, რომელთა ჩადენა ხდება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, მისი მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით (მაგალითად, ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერა მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, თაღლითობა, სახელმწიფო ქონების გატაცება თაღლითობით და სხვ.);

5. დანაშაული, რომელთა ჩადენა შესაძლებელია პირის აქტიური მოქმედებით ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების გარეშე (მაგალითად, ქურდობა, სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია, მამათმავლობა, აზარტული თამაში და სხვ.);


6. დანაშაული, რომელთა ჩადენა ხდება პირის ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით, დანაშაულის ჩასადენად სპეციალურად მომარჯვებული იარაღის გამოყენებით ან მის გარეშე (გაძარცვა, ყაჩაღობა, გამოძალაფე, განზრახ მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, ცემა და წამება, გაუპატიურება, მამათმავლობა ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ ან ფიზიკური ძალის გამოყენებით, მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით და სხვ.);

დანაშაულთა ჩადენის ხერხების ზემოაღნიშნული ზოგადი კლასიფიკაცია ამომწურავი არ არის. მათი რიცხვი, დანაშაულთა ჩადენის მექანიზმისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების მიხედვით, შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს. ასევე მრავალფეროვანია ერთიდაიგივე კატეგორიის დანაშაულთა ჩადენის მექანიზმიც. მაგალითად, ცნობილია, რომ მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს ცეცხლსასროლი იარაღით; სიცოცხლისათვის საშიშ ორგანოებში ბლავი ან ბასრი იარაღით სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანების მიყენებით; მატარებლიდან ან სხვა სახის სწრაფმავალი სატრანსპორტო საშუალებებიდან ძირს გადმოგდებით, საწამლავის მიცემით, პირის განსაცდელში მიტოვებით და სხვ. სხეულის განზრახ დაზიანება ცემით, დაზარალებულის მიმართ სხეულის დასაზიანებლად რაიმე საგნის გამოყენებით ან მის გარეშე და სხვ. მაგალითად, პირთან აღსაზრდელად იმყოფებოდა მისივე ნათესავი მცირეწლოვანი გოგონა, ამ უკანასკნელს ბანაობის დროს, გაბრაზებულმა ჯერ სცემა; შემდეგ ხელი ჩაუყვო სასქესო ორგანოში და საქალწულო აპკის მთლიანობა დაურღვია. მართალია, იგი სასამართლოში განმარტავდა, თითქოს ბავშვს საქალწულო აპკი ჩაბანის დროს შემთხვევით დაუზიანდა, მაგრამ მისი ეს ჩვენება სასამართლომ არ გაიზიარა და იგი მართებულად დასაჯა საქართველოს სსკ 112-ე მუხლის პირველი ნაწილით და 116-ე მუხლის მეორე ნაწილით.



გამოძიების პროცესში დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და დანაშაულებული
 რივი ქმედობის კვალის დაფარვის მიზნით გამოყენებული ტექნიკური საშუალებე-
 ბების, ხერხებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნეს
 შემთხვევის ადგილისა და დოკუმენტების დათვალიერებით, ჩხრეკით, მოწმის,
 დაზარალებულის, ეკვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვით; ექსპერტიზის
 ჩატარებით, შემოწმებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებით;
 აგრეთვე დაზარალებულის, ეკვმიტანილისა და ბრალდებულის პიროვნების
 შესწავლით.

ამრიგად, დანაშაულის ჩადენის ხერხების გამოკვლევა და მისი მთლიანი
 მექანიზმის დადგენა დანაშაულთა გახსნის მეთოდის ერთ-ერთი მთავარი, ცუ-
 ტრალური საკითხია.



დავით ცინცაძე

საზოგადოებრივობის თანადგომა და მხარდაჭერით

საქართველოს რესპუბლიკის განვითარე-
 ბის თანამედროვე ეტაპზე არანაშუალოდ გაიზარ-
 და საზოგადოების როლი დამანაშავეობათა წი-
 ნააღმდეგ ბრძოლაში. მზრომელთა ფართო მასე-
 ბი აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ყოველი
 სახის სამართალდარღვევათა გამომუშავებაში,
 თავიდან აცილება და აღკვეთაში.

რესპუბლიკის თითოეულმა მოქალაქემ ღრმად
 უნდა შეიგნოს, რომ დამანაშავეობასთან ბრძოლა
 მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება წარმატებით
 თუ ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ერთ-
 სულგნად დაირაზმება მის წინააღმდეგ. ცხადია,
 ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარია
 არა დამანაშავის მკაცრად დასჯა, არამედ ის, რომ
 დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დაჩქის
 გამოუმუშავებელი.

დღეს, როდესაც რესპუბლიკაში საგრძნობ-
 ლად იზრდება საშიშ დანაშაულთა რიცხვი, სა-
 ვიროს მიუწყოს სამართალდამცავი ორგანოების
 და საზოგადოებრივობის ერთობლივი, საყოველ-

თაო-სახალხო უკომპრომისო ლაშქრობა გან-
 საკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პი-
 რებისა და ორგანიზებული ჯგუფების წინააღ-
 მდეგ ხალხის, ფართო მასების დახმარების გა-
 რეშე სამართალდარღვევათა აღმოფხვრა და თა-
 ვიდან აცილება შეუძლებელია.

თუ დღეს საქართველოში საშიშ დანაშაულ-
 თა, მათ შორის, დამაშინებელ გარემოებებში
 განზრახ მკვლელობათა საქმეების გარკვეული
 ნაწილი გაუხსნელი გვაქვს, ეს, უწინარესად, გა-
 მოწვეულია საზოგადოების ინერტულობითა და
 პასიურობით. საზოგადოების წარმომადგენლებმა
 უმეტეს შემთხვევაში იციან თუ ვინ არის დანა-
 შაულის ჩამდენი პირი ან პირები, მაგრამ დუ-
 მილს ამჯობინებენ ამის შესახებ და არაფერს
 ატყობინებენ სამართალდამცავ ორგანოებს, რის
 გამოც ღრმად არ ხდება დანაშაულის გახ-
 სნა.

დანაშაულის ზრდა საქართველოში განაპირო-
 ბა უაღრესად რთულმა ოპერატიულობა და საზო-

გადგობრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ, გაჩანაგებულმა ეკონომიკამ, სამაჩაბლოში კრემლის მიერ გაჩაღებულმა ომმა, გარეული თუ შინაგანი მტრების მომრავლებამ, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების თარეშმა.

მოქმედი კანონმდებლობა ითვისების წინებს სპეციალურ ნორმას საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ დანაშაულის გამომწვევებებში მონაწილეობისათვის. მაგალითად, საქართველოს კრესტის 128-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიების წარმოებისას გამოძიებელმა ფართოდ უნდა გამოიყენოს საზოგადოებრიობის დახმარება დანაშაულის გამოსაშუქებლად და მისი ჩამდენი პირების მოსაძებნად, აგრეთვე, დანაშაულის ხელის შემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენად და ასაცილებლად.

საზოგადოების მონაწილეობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ხელს უწყობს გამოძიების სრულად, ყოველმხრივ, ობიექტურად და დროულად ჩატარებას. ამავ დროს იგი წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას.

საზოგადოებრიობის მონაწილეობა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში ხელს უწყობს ყველა დასამტკიცებელი გარემოების სრულად, ყოველმხრივ, სწრაფად და ობიექტურად დადგენას, გამოძიების ვადების შემცირებას, ამაღლებს სამართალდამცავი ორგანოების აღმზრდელობით შემოქმედებას, ხელს უწყობს დამნაშავეს დროულად გამოსწორებას, აუღიბებს მოქალაქეობრივ თვითშეგნებას, განამტკიცებს მშრომელთა ფართო მასებისა და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთკავშირს, ქმნის ქვეყნის მმართველობაში მშრომელთა ჩაბმის საუკეთესო პირობებს.

სამართალდარღვევათა გახსნასა და თავიდან აცილებაში სამართალდაცვით ორგანოებს არსებითი ხასიათის აქტიურ დახმარებას უნდა უწყევდნენ სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, გაერთიანებები და ასოციაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციების დახმარება სამართალდამცავი ორგანოებისადმი, ჭრჭრებით, ფორმალური ხასიათისაა, ზოგჯერ, პირიქით, ხელისშემშლელიც კი. ამ ორგანიზაციების ზოგიერთი წარმომადგენელი დროულად არ აწვდის ან საერთოდ არ აწვდის სამართალდამცავ ორგანოებს სათანადო მასალებს მათ მიერვე კოლექტივში გამოშუქავებულ დანაშაულობათა შესახებ, ხელს უწყობს დამნაშავეს მიმადგას, სპობს შტაკიცებულებებს, იძლევა ცრუ ჩვენებებს, ფარავს დანაშაულის კვალს, არ მიმართავს ქმედით ღონისძიებებს გამოვლენილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილებისათვის.

ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ბოროტმოქმედებათა, მათ შორის, განსაკუთრებით სწრაფად დანაშაულობათა ზრდას, რაც ხალხის სამართლიან აღშფოთებას და გულისწყრომას იწვევს.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა საქმიან კონტაქტებს უნდა ამყარებდნენ შრომით კოლექტივებთან. ისინი სისტემატურად უნდა გამოდიოდნენ წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების წევრთა წინაშე; აწვდიდნენ ინფორმაციას დამნაშავეების შესახებ რეგიონში; აწყობდნენ იურიდიულ თემებზე საუბრებს, მოხსენებებს, ლექციებს; განმარტავდნენ მოქმედი კანონებს პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მიმართონ მოსახლეობას თხოვნით — შეატყობინონ ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით მათთვის არის ცნობილი, დახმარება გაუწიონ დამნაშავეთა ძებნასა და დაკავებაში, დატაცებულის ამოცნობაში.

საგამოძიებო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ მოსახლეობის დახმარებით არც თუ იშვიათად ხდება იმ პირთა გამოვლენა, რომელთაც მიდრეკილება აქვთ ჩაიდიონ სამართალდარღვევა. ბევრი შეჩერებული მძიმე დანაშაულის სისხლის სამართლის საქმე (შვედლობა, გაუპატიურება და ა. შ.), შემდგომში განახლებულ და გამოძიებულ იქნა გამოძიებლის მიერ ადგილობრივი პირობების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის, საზოგადოებრიობის წარმომადგენლების არსებითი დახმარების შედეგად. მათი მონაწილეობა დასაშვებია ისეთ რთულ საგამოძიებო მოქმედებათა განხორციელებაში როგორცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება, ამოცნობა, საგამოძიებო ექსპერტიზა და ა. შ. ზოლო სასამართლოებში მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში აქტიურად მონაწილეობენ მსაჯულები, საზოგადოებრივი ბრალმდებლები და საზოგადოებრივი დამცველები.

ქართველი ხალხის დიდ შეშფოთებას იწვევს კრიმინალური ქრონიკა, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი სისტემატურად აწვდის მოსახლეობას პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით. შემადრწუნებელია, როცა ქართველი კაცია სასიკვდილოდ ხელს აღმართავს მოყვასის მიმართ, როცა ძმთა შორის იღვრება სისხლი.

ეროვნული პარლამენტი ყველაფერს აკეთებს, რათა რესპუბლიკაში შეიქმნას სტაბილური მდგომარეობა, აღმოფხვრას დამნაშავეობა, მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელი იქნება თუ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა არ დაირაზმა ეროვნული პარლამენტის გარშემო.

სამართალდარღვევათა შემთხვევების აღმოფხვრის საქმეში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენი-

გება კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას. კანონს უყოყმანოდ და უმწიკვლოდ უნდა ასრულებდეს ყველა: სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული მოქალაქეები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 15 ნოემბერს მიიღო უდიდესი მნიშვნელობის დადგენილება „ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ“ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში დამნაშავეობამ საგანგაშო სახე მიიღო. მკვეთრად გაიზარდა მკვლელობის, ყაჩაღობის, ძარცვის, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულობათა რაოდენობა, მათ შორის, ორგანიზებულ დანაშაულობათა შემთხვევები, უზენაეს ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი, შექმნილია დაუსტელობის ატმოსფერო, მოშლილია სახელმწიფო დისციპლინა და ა. შ. ყოველივე ეს კი ხერხი უნდა საფრთხეს უქმნის საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებების დაცვასა და სამოქალაქო მშვიდობას, რესპუბლიკაში ასეთი მორალურ-სამართლებრივი ვითარება განსაკუთრებით მოუთმენელია დღეს, როცა რეალურად დგას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ამოცანა. ამ დადგენილების საფუძველზე უკვე მიღებულია ამის სტიის მუშაური აქტი, მზადდება წინადადებანი სამართალდამცავი ორგანოების სისტემის რეფორმის და მოქმედ მოქველდებულ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რაც ნაწილობრივ უკვე განხორციელდა.

საგანგაშო რესპუბლიკაში დანაშაულის ზრდის ტენდენციის ფაქტი, მაგალითად, გახულ წელს რეგისტრირებული აყო 11678 დანაშაული, რაც 88,8 პროცენტით მეტია 1989 წელთან შედარებით. დანაშაულის ზრდით დაიწყო მიმდინარე წელიც. მხოლოდ იანვრის თვეში რეგისტრირებულია 1108 დანაშაული. ეს კი 890 ერთეულით ანუ 5 პროცენტით მეტია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. ასევე გახშირდა განზარაბ მკვლელობათა შემთხვევები. 1990 წელს 270 ასეთი შემთხვევა მოხდა, რაც წინა წელთან შედარებით 85 ერთეულით ანუ 80,4 პროცენტით მეტია. გაუხსნელი დარჩა 45 მკვლელობის საქმე. განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ზრდა.

არის შემთხვევები, როცა დამნაშავის მიმართ საზოგადოებრიობა მოიხსოვს მკაცრს სსტელების გამოყენებას, ზოგჯერ კი, რაც მეტად სამწუხარია, თვის უსწორდებათ მიმედ დანაშაულის ჩამდენ ბოროტმოქმედს. მაგალითად, გახული წლის 24 ნოემბერს ყვარლის რაიონის სოფელ

გრემში მოხდა მკვლელობა სტუმარ, მოკლული მასპინძელმა. ამ ფაქტით აღფოთებულია და ახლოებით 250 თანახოფდელი შეიჭრა მილიციის სამორიგო ნაწილში, ხელში ჩაიგდო მკვლელი და ჩაქოლა იგი.

არის შემთხვევები, როცა მოქალაქემ იცის, რომ უკვე მოხდა ან მზადდება დანაშაული, მაგრამ იგი არ ატყობინებს სამართალდამცავ ორგანოს. პირიქით, ზოგჯერ ენმარება კიდევ ბოროტმოქმედს დანაშაულის დაფარვაში. ასეთ მოქალაქეებს (თუ ღირსნი არიან ისინი ამ საპატიო სახელის) იწვევდება, რომ დანაშაულის განუცხადებლობისა და დაფარვისათვის მათ მიმართ აღმძვრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და საქადრისადაც დაისტებთან.

საზოგადოებრიობის დიდ აღფოთებას იწვევდა და იწვევს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა არსებობა, დღეს ყველაფერი კეთდება მათ სალიკვიდაციოდ, რასაც საზოგადოებრიობის ყოველმხრივი თანადგობა და მხარდაჭერა ტირდება.

გარდამავალ პერიოდში მკვეთრად უნდა ამაღლდეს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურა, რაც, სამწუხაროდ, ჭრ კიდევ დაბალია. ამაზე მიუთითებს ის, რომ ზოგიერთმა მოქალაქემ არ იცის მოქმედი კანონების ელემენტარული მოთხოვნებიც კი. ამ მიმართულებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესპუბლიკურ და ადგილობრივ განუეთებში დავნერგოთ რუბრიკები სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალურ ჩაითხებზე, ხოლო ტელევიზიაში სისტემატურად გააიცეს ციკლები კანონმდებლობისა და სამართლის თემებზე. ასეთი ღონისძიებები მოსახლეობას გათავითცნობიერებს სამართლისა და კანონმდებლობის აქტუალურ პრობლემატიკაში, აამაღლებს მოქალაქეთა სამართლებრივ კულტურას რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას სწორი საზოგადოებრივი აზრი იმის თაობაზე, რომ ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ყოველად შეუთავსებელია დამნაშავეობასთან, რომ შექმნილი მიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის საჭიროა გაერთიანება, კონსოლიდაცია — ერთადღერთი სწორი გზა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობისაკენ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ საქვეყნოდ განაცხადა: „ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას: მართალია ჩვენ გამოვაცხადეთ ეროვნული შერიგება და შემწყნარებლობა, გამოვაცხადეთ, რომ არავის განვიკითხავთ წარსული ცოდვებისათვის, მაგრამ ვინც ამიერიდან დაუპირისპირდება დღევანდელი განახლების პროცესს, ისევე ეროვნულად და საბოტაჟით გაამწვავებს ისედაც გამწვავებულ ვითარებას. პასუხს აგებს ერისა და კანონის წინაშე“.

პირობი ნაღარევიშვილი

სახელმწიფოსა და საგარეო ნაკრძოების ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში

ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი განსაკუთრებით დიდი ყურადღების საგანია მსოფლიოს შრავალი ქვეყნის სამეცნიერო წრეებში, თუმცადა სახელმწიფოსა და საგარეო წარმოშობის საკითხს ისტორიული და ისტორიულ-იურიდიული მეცნიერების ყურადღება XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც არ აკლდა.

სახელმწიფოს წარმოშობაზე მასალების მოძიებაში ტროიკული აფრიკიდან, სამხრეთ ამერიკიდან და ა. შ. მეცნიერების წინაშე დააყენა საკითხი ხელახლა გააზრებისათვის სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიული გზები. მართლაც, როგორც ლ. ე. კუბბელი აღნიშნავს, აფრიკის ბლბთა ისტორიული გამოცდილება, რომელიც მათ სოციალურ სტრუქტურასა და კულტურაში აღბეჭდილი, ხშირად საშუალებას გვაძლევს უკეთ წარმოგადგინოთ, უკეთ გავიგოთ, თუ როგორ მიმდინარებდა კაცობრიობის ისტორიული ევოლუცია, მათ შორის საზოგადოების მართვის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებაც.

აფრიკული მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანასა და გააზრებაში დიდი როლი შეასრულეს ინგლისელმა მეცნიერმა ედუარდ ევანს-პრიჩარდმა და მისმა ნიჭიერმა კოლეგამ ა. რ. რედკლიფ-ბრაუნმა.

ედუარდ ევანს-პრიჩარდი (1902 — 1978) ითვლება ე. წ. სოციალური ანთროპოლოგიის მეცნიერების შემქმნელად დიდ ბრიტანეთში. ამასთანავე ხსენებულმა მკვლევარმა ცალკე სუბდისციპლინად ჩამოაყალიბა პოლიტიკური ანთროპოლოგია. დიდი იყო ევანს-პრიჩარდის ზეგავლენა ეთნოგრაფიის მეცნიერების განვითარებაზე, იდეალისტურ მიმართულებებში მეცნიერების კლასიკოსად.

ევანს-პრიჩარდის ნაშრომებს დადებითად გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიკოსები და ეთნოგრაფებიც; მათ მხედველობაში მიიღეს ევანს-პრიჩარდის მიერ შეგროვებული მასალები, აგრეთვე მის მიერ მიღებული სამეცნიერო დასკვნები. სამეცნიერო მიმოქცევაში აფრიკული, აზიური, ამერიკული, ოკეანის მასალების შემოსვლამ გამოიძღრა ჩვენი ცოდნა პირველყოფილ და აღრქალასობრივ საზოგადოებათა შესახებ.

1940 წელს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ნაშრომების კრებული „აფრიკული პოლიტიკური სისტემები“, რომლის რედაქტორები იყვნენ ე. ევანს-პრიჩარდი და მ. ფორტესი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თეორიული ხასიათის წერილი, რომელიც წინასიტყვაობის სახით ერთვის ხსენებულ კრებულს და ეკუთვნის ცნობილ ბრიტანელ ანთროპოლოგს ა. რედკლიფ-ბრაუნს. ავტორის აზრით, პირველყოფილი საზოგადოების წიაღში პოლიტიკური სტრუქტურის წარმოშობა გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური, წინაპირობითი, იდეოლოგიური და კულტურული პროგრესის შედეგია; კრებულში მოთავსებული მასალებიდან ჩანს, რომ აფრიკაში არსებობდნენ ისეთი ეთნიკური ერთობანი, რომლებიც არავითარ შემთხვევაშიც არ შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფოებად, ცენტრალურ პოლიტიკურ სტრუქტურებად, მაგრამ მათ წიაღში უკვე მოცემული იყო ასეთი პოლიტიკური სტრუქტურის წარმოშობის აუცილებლობა.

რედკლიფ-ბრაუნის აზრით, თვით საკრალური ინსტიტუტები შესწავლილი უნდა იქნეს როგორც სოციალური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი.

სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიულ მასალებს. ა. ბ. ვენგეროვმა, ლ. ე. კუბბელმა და ა. ი. პერსიციამ ორი მძიმეწინავე მეცნიერების — სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია და ეთნოგრაფია უფრო მჭიდროდ დააკავშირეს ერთმანეთთან. მათი აზრით, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა შეადგენს როგორც სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერების, ასევე ეთნოგრაფიის საგანს.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის პრობლემას სწავლობს მეტწილად წერილობითი წყაროების საფუძველზე, ხოლო ეთნოგრაფია — ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. ეთნოგრაფები ხშირად უშუალოდ აკვირდებიან ხეივანულ პროცესს. გამოიყენება აგრეთვე ექსტრაპოლაციის მეთოდიც — ძველი კულტურის, როგორც ისტორიული მოვლენის ერთ ნაწილზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნა ვრცელდება მის მეორე ნაწილზეც.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. განსაკუთრებით ხანგრძლივია ე. წ. „პირველი სახელმწიფოების“ წარმოშობა, მაგალითად, ძველი ეგვიპტის, ძველი ბაბილონის ან შუმერისა სახელმწიფოსი, ხადაც სავარაუდოა კლახებისა და სახელმწიფოს წარმოშობა რაიმე გარეგანი იმპულსების გარეშე.

წინაქლასობრივი და ადრექლასობრივი საზოგადოების ისტორია ემთხვევა უმწერლობო ხანას, ამდენად მათი შესწავლისათვის უმთავრები მნიშვნელობა სწორედ ეთნოგრაფიულ მასალებს უნდა მიენიჭოს.

სამართლის ისტორიისა და ეთნოგრაფიული მასალების განხილვა-გამოკვლევის შედეგად მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მხოლოდ მასშტაბით პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოქმნის პროცესი მეტად მრავალფეროვანი იყო და რომ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა დამოკიდებული იყო ამა თუ იმ საზოგადოების არსებობის ბუნებრივ, სამეურნეო-კულტურულ, დემოგრაფიულ და სხვა პირობებზე. ამასთან ერთად, ხსენებული მასალების მიხედვით, აშკარად ჩანს პოლიტოგენეზისა და კლასთა წარმოშობის პროცესის ორგანული კავშირის ტენდენცია. თვით კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საფუძველი ისეთი უნივერსალური მოვლენა იყო, როგორცაა კერძო საკუთრება და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

დამწერლობის არსებობა მხოლოდ მაღალგანვითარებული კლასობრივი საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი. მკვლევართა ნაწილი საფუძველიანად ფიქრობს, რომ საზოგადოების სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ყოველთვის თან პრახლავს დამწერლობის შექმნის აუცილებლობა. ჯაფარიკაში, იორუბას ქალაქი-სახელმწიფოები, ბენინი, მონომოტაპის „იმპერია“ და სხვები, სოციალური თვალსაზრისით მაღალგანვითარებულად აღიარა ისტორიულმა მეცნიერებამ, მაგრამ ისინი დამწერლობას არ იცნობდნენ. ამავე დროს ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ზემოხსენებული აფრიკული გაერთიანებანი ადრეული სახელმწიფოები იყვნენ.

ფრიდრიხ ენგელსს, რომელიც თავისი დროის საუკეთესო მკვლევარებს ეყრდნობოდა, გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ კლასები და ბატონობა-მომჩილებითი ურთიერთობა შეიძლება წარმოშობილიყო ორი გზით.

როგორც აღმანიები თავდაპირველად ცხოველთა სამეფოდან (ამ ცნების ვიწრო გაგებით) გამოდიან, ისტორიაშიც ისე შედიან: ჯერ ისევ ნაბეგრად ცხოველები, ველურები, ისინი ჯერ კიდევ უილაქონი არიან ბუნების ძალების წინააღმდეგ ჯერ კიდევ ვერ იცნობენ თავიანთ საკუთარ ძალებს, ამიტომ ისინი ღარიბები არიან როგორც ცხოველები და მათზე ბევრად მეტს როდი აწარმოებენ. გაბატონებულია ერთგვარი თანასწორობა ცხოვრების პირობებში, ხოლო ოჯახის მეთაურებისათვის აგრეთვე ერთგვარი თანასწორობა საზოგადოებრივ მდგომარეობაში, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი კლასების უქონლობა, რაც შემდეგ კულტურული ხალხების ბუნებრივად აღმოცენებულ, მიწათმოქმედ თემებში გრძელდება. თითოეულ ასეთ თემში იმთავითვე გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესები არსებობს, რომელთა დაცვა ცალკე პირებს უნდა დაეკისროს, თუნდაც მთელი საზოგადოების მეთვალყურეობა, შუღლის დაცვობა, რეპრესიული წომეების მიღება იმის წინააღმდეგ, რომ ცალკე პირმა არ გადააჯარბოს თავის უფლებებს, მოარწყვის მეთვალყურეობა — განსაკუთრებით ცხელ ჭვევებში, ხოლო; პირველყოფილ ველურ მდგომარეობაში რელიგიური ფუნქციები. ასეთი თანამდებობის პირები ყოველ ეპოქაში გვხვდებიან პირველყოფილ თემებში. მაგალითად, უძველეს გერმანულ სამარკო თემებში, ხოლო დღეს კიდევ — ინდოეთში.

ისინი, რასაკვირველია, ერთგვარად უფლებამოსილი არიან და სახელმწიფო ხელისუფლების ჩანახაბს წარმოადგენენ. საწარმო ძალები თანდათან იზრდება, ხშირი მოხახლეობა აქ შექმნის

ხერთო ინტერესებს, ერთიმეორის ხაწინააღმდეგო ინტერესებს ცალკე თემებს შორის უკვე
ელთა დაჭკუფება დიდ ერთეულბად თავის მხრივ იწვევს შრომის ახალ დანაწილებას, რკანბლო
ების შექმნას ხერთო ინტერესების დასაცავად და გამოთიავი ინტერესების დასათრგუნავად. ეს
ორგანოები, რომლებსაც, როგორც მთელი ჭკუფის ზოგადი ინტერესების წარმომადგენლებს
თითოეული განცალკევებული თემის მიმართ განსაკუთრებული, ხოლო გარკვეულ პირობებში
თვით ანტაგონისტური მდგომარეობა უჭირავთ, ჩქარა კიდევ უფრო დამოუკიდებელი ხდებიან,
ნაწილობრივ საზოგადოებრივ თანამდებობათა მეშვედრეობით გადაცემის გამო, რაც თითქმის
თავისთავად მყარდება იმ ქვეყანაში, სადაც ყოველივე სტიქიურად ხდება, ნაწილობრივ იმის გა-
შო, რომ სხვა ჭკუფებთან სწირი კონფლიქტების დროს იზრდება ამ ორგანოების აუცილებ-
ლობა“.¹

ფრ. ენგელსს და მისი თანამედროვე ისტორიკოსების ნაწილს კარგად ესმოდათ, რომ პირ-
ველყოფილ თემებში არსებობდა გარკვეული ხერთო ინტერესები, რომელთა დაცვასაც „ცა-
ლკე პირს“ ან ცალკე პირებს აკისრებდნენ.

რელიგიური ფუნქციები, მორწყვის მეთვადყურეობა, თემის წევრთა შორის შუღლის დაც-
ხრობა, რეპრესიული ზომების მიღება წესრიგის სერიოზულ დამარღვევთა წინააღმდეგ ევალდებო-
დათ თემის მიერ არჩეულ საზოგადოებრივი თანამდებობის მატარებელ პირებს. როცა ერთი თე-
მის ინტერესები ეწინააღმდეგებოდა მეორისას და მათ შორის კონფლიქტიც მოსალოდნელი ხდე-
ბოდა, საქირო და აუცილებელი იყო შუღლის დაცხრობა. ფრ. ენგელსის აზრით, ასეთი თანამ-
დებობის პირების სახით ჩვენს წინაშეა „სახელმწიფო ხელისუფლების ჩანახახი“.

პირველყოფილი საზოგადოებისათვის აუცილებელი მართვის ორგანოები თანდათანობით,
საზოგადოებრივ თანამდებობათა მეშვედრეობით გადაცემის გამო, რაც სტიქიურად ხდება,
ქერ საზოგადოებისაგან ასე თუ ისე უმნიშვნელო დამოუკიდებლობას იძენენ, ხოლო შემდეგ,
დროთა ვითარებაში, ძლიერდებიან და საზოგადოებაზე ბატონობასაც კი აღწევენ. როგორც
ფრ. ენგელსი აღნიშნავდა „თანდათან თავდაპირველი მოსამსახურე ხელშეწყობ პირობებში
ბატონად იქცა“.

ცხადია, ისტორიკოსების კვლევამ შეიძლება გვიჩვენოს, თუ „გარემოების მიხედვით“ სა-
ზოგადოებაზე გაბატონებული ორგანოები როგორ შეიძებოდა გადაქცეულიყვნენ აღმოსავლენ-
თის დესპოტად ან სატრაპად. ბერძნული ტომის მთავრად ან კელტების კლანის შეფად, „რა-
მდენად იყენებდა იგი ამ გარდაქმნაში ძალმომრეობასაც და როგორ შედუღდნენ ბოლოს ცალ-
კე პირები, რომლებმაც ბატონობას მიაღწიეს, ცალკე კლასებად“.² ფრ. ენგელსის აზრით, „პოლ-
იტკურ ბატონობას ყველგან საზოგადოებრივი თანამდებობის შესრულება ედო საფუძვლად.
პოლიტიკური ბატონობაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო მტიკად, როცა ამ თავის საზოგადო-
ებრივ ფუნქციას ასრულებდა“. კრამდენი დესპოტი გაჩენილა და აღუბუხლა სპარსეთსა და ინ-
დოეთში და თითოეულმა მათგანმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, მდინა-
რების ხეობათა მორწყვის ერთობლივი მომწესრიგებელი იყო, მრურწყავად იქ შეუძლებელია
მიწათმოქმედება“.

ცხადია, იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ თვით აღმოსავლეთის დესპოტებსაც კი საზოგა-
დოებაში დადებითი ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ
ისინი მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველები იყვნენ, მაგრამ ცდილობდნენ ეზრუ-
ნათ ხალხის ინტერესებზე. რივი მეცნიერების ნაშრომებში, როგორც წესი, არ არის ერთმანე-
თისაგან გამიჯნული ის ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებრივი თანამდებობის მქონე პირს
გაჩნდა კლასებისა და სახელმწიფოს წარმომოხამდე და ის ძალაუფლება, რომელიც სახელმ-
წიფო მოხელეს გააჩნია უკვე კლასებისა და სახელმწიფოს წარმომოხის შემდეგ. ზოგიერთი
მკვლევარის აზრით, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების შე-
მდედვაც მმართველ და სამართავ სოციალურ ფენებს შორის ხდება შრომის დანაწილება, მმარ-
თველთა ორგანიზატორული მოღვაწეობა იცვლება უშუალო მწარმოებელთა საქმიანობაზე. მმა-
რთველი ზედაფენები „ექსპლუატაციას უწევენ უშუალო მწარმოებელ მშრომელთა ფენებს და
პირიქით, ეს „ურთიერთ ექსპლუატაცია“ ხდება მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის.

ცხადია, ასეთ შეხედულებას ხევრი არაფერი აქვს ხერთო ფრ. ენგელსის მიერ გამოთქმულ
მოსაზრებასთან ხელისუფალთა დადებითი ფუნქციების შესახებ აღმოსავლეთში. მაგრამ ხელისუ-
ფალთა და მოსახლეობის სამართავი ფენების ურთიერთდამმართველობის და ურთიერთექსპლუატა-
ციის იდეას მრავალი მკვლევარი იზიარებს.

ფრ. ენგელსის აზრით, კლასთა წარმომოხის პროცესის გვერდით „მიორც ხდებოდა“ —

¹ ფრ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, 1952, გვ. 211 — 212.

საწარმოო ძალთა განვითარებით გამოწვეული სტიქიურად აღმოცენებული „დანაწილება“ შრომა-სა...

მიწათმოქმედ ოჯახებს „ერთი დღის განსაზღვრულ საფებურზე“ საშუალება მიეცათ მუშახელი მოეყვანათ გარდა. „ეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში ხდება, სადაც საერთო მიწათმფლობელობა უკვე დაშლილი იყო ან სადაც, ყოველ შემთხვევაში, მიწის ძველებურმა საერთო დამუშავებამ ადგილი დაუთმო მიწის ცალკე ნაკვეთების დამუშავებას სათანადო ოჯახების მიერ“.²

ცხადია, ეს მხოლოდ მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, როცა ადამიანის სამუშაო ძალას ქა-რბი პროდუქტის შექმნა შეეძლო. გაჩნდა საშუალება მეტი სამუშაო ძალის შესანახად და აგრე-თვე გამოსაყენებლად, ე. ი. „სამუშაო ძალამ ღირებულება შეიძინა“. ამოჩნდა ადამიანის მი-ერ ადამიანის უკლდვის, მისი ნაღვავის მითვისების შესაძლებლობა — მონობა მართებულია და ისტორიული მასალებით მტკიცდება ფრ. ენგელსის მოსაზრება, რომ პირველად მონობამ გახდა შესაძლებელი შრომის დაწესება და მის შტაბით მიწათმოქმედებასა და მრეწველ-ობას შორის, და ამით ნიადაგი მოუშადა როგორც ანტიკურობას, ფეოდალიზმს, ასევე თანამედ-როვე ცივილიზებულ მსოფლიოსაც.

მაშასადამე, ფრ. ენგელსის აზრით, კლასების წარმოშობის ორი მთავარი გზა არსებობდა:

- 1. საზოგადოებრივ თანამდებობათა ფუნქციების მონოპოლიზაციის მეშვეობით;
- 2. წარმოების საშუალებათა მონოპოლიზაციის გზით, რასაც თან ხდევდა მეცაკუთრეთა და არამეცაკუთრეთა შორის ბატონობა-მორჩილებითი ურთიერთობის დამყარება, აშკარა ქონებრი-ვი უთანასწორობის დამკვიდრება.

მკვლევარები მართებულიად მიუთითებენ, რომ ორივე შემთხვევაში კლასების წარმოშობის პროცესის საფუძველად რჩებოდა ნაშთი პროდუქტების მითვისება. თავისთავად საზოგადოებრივ თანამდებობრივი ფუნქციის მონოპოლიზაცია, როდესაც იგი, როგორც ასეთი, მუდმივ მოსაქ-მეობად ხდებოდა, ყოველთვის და აუცილებლად იწვევდა მატერიალურ წარმოებაში იმ პირის ფიზიკურად მონაწილეობის შემცირებას, ვინც მართვის ფუნქცია ხელთ იგდო. ამასთან დაკავში-რებით მკვლევარი ლ. ე. კუბნელი მართებულიად მიუთითებს, რომ ჩვენი დღევანდელი ცოდნის დონის მიხედვით მსოფლიო ისტორიული მასშტაბით, საზოგადოებრივ-თანამდებობრივი ფუნქ-ციების მონოპოლიზაცია, როგორც ცივილიზაციისა და კლასწარმოქმნის პროცესის ხელშემწ-ყობი ფაქტორი, უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე უშუალოდ საწარმოო საშუალებათა მონოპო-ლიზაციის საფუძველზე წარმოშობილი ნაშთი პროდუქტის მითვისება.

კლასების წარმოშობა-ჩამოყალიბების პროცესის პარალელურად მასთან ორგანულ კავშირ-ში მიმდინარეობდა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა.

პოლიტიკური წარმოშობის პროცესი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა მექანიზმი თამაშობდა სა-ხელმწიფოს წარმოშობაში. გადამწყვეტ როლს მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, თუ რა სოციალურ-პროფესიული ფენისაგან უალიბდებოდა გადაბრუნებული კლასი და მისი მოთავენი. სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში შესაძლებელი იყო ისეთი ვითარება, როდესაც პირ-ველყოფილი და კლასობრივი საზოგადოების საწყისები მდგრადი წონასწორობის ვითარებაში იყო. როგორც ისტორიკოსები, ისე ეთნოგრაფები აღიარებენ ისტორიული განვითარების ასეთი საფეხურის არსებობას. ზოგი მკვლევარი მას დუალიზტურ საზოგადოებას ეძახის, ზოგიც ნახე-ვარსახელმწიფოს და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად პოლიტიკური წარმოშობის სახელმწიფოს ვარიანტია გა-მყოფი, რომელთაც პირობითი უწოდებენ სახელმწიფოს წარმოშობის სახედრო. არისტოკ-რატული და პლუტოკრატული გზებს.³

სახელმწიფოს წარმოშობისას, ისევე როგორც კლასების წარმოშობისას, იშვიათად ხდება, რომ განვითარების ერთი გზა ხვდა გზასთან ან გზებთან არ იყოს გადახლართული, მაგრამ უთ-უოდ ერთ-ერთი მთავანი იქნება მთავარი, განმსაზღვრელი, დომინანტი.

ეთნოგრაფიული და ხვდა მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სახელმწიფოს წარ-მოშობის პროცესში სახედრო-დემოკრატული ურთიერთობანი სახელმწიფო-პოლიტიკურ ორ-განიზაციაში უშუალოდ კი არ გადაიზრდება, არამედ სახედრო-ეგრარული სტრუქტურის მე-შვეობით. დადგინდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობას წინ უძღოდა წინარეხს-ელმწიფო ხელისუფლება, ხელაღის ძალაუფლება.

² იქვე, გვ. 213.

См.: Ю. Б. Бромлей, А. И. Першиц — Фридрих Энгельс и современные проблемы первобытной истории. «Вопросы философии», 1984, № 4.

პავიან კუნძულებზე და ტონგაზე, აგრეთვე მელანეზიის პაპუასთან ტომებში შეტრფილი ეთნოგრაფიული მასალებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება საზოგადოებრივი ძალაუფლების სახელმწიფოდ, პოლიტიკურ ძალაუფლებად გადაქცევა. თანაც სახელმწიფო ძალაუფლების გაფორმების პროცესი, როგორც წესი, კლასების წარმოქმნა-განვითარების პროცესის თანმდევია.

ამასთან ერთად, შეიძლება საქმე გვქონდეს გამოჩვეულებრივად, როდესაც რთული ადგილობრივი პირობების შევავლენით სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობის პროცესმა შესაძლოა გაუსწროს კლასების წარმოშობის პროცესის ტემპებს. მაგრამ ამასთან ერთად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც წესი, 'კლასებისა' და სახელმწიფოს წარმოშობა ერთიანი პროცესია, ხედავ წამყვანი ფაქტორია კლასების წარმოქმნა და კლასთა შორის წინააღმდეგობების გამწვავება.

როგორც წესი, სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში ყოველთვის გადამწყვეტი იყო შინაგანი, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები; თუმცა, ომები, დამპყრობა და სხვა, ცხადია, გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ხსენებულ პროცესზე.

„ეთნოგრაფიული მონაცემები მრწამსდნენ, რომ სიმდიდრის დაგროვება, პირველ რიგში, გვარისა და ტომის მეთაურთა და ბელადთა ოჯახებში ხდებოდა. უკვე წინაინსტიტუტი ხანის ევკლიტელთა სამარხებში დაცულ ნივთებს აქვთ საყურთების აღმნიშვნელი დამდეგი და ამ დამდეგებს უდავოდ ოჯახური და არა გვაროვნული მნიშვნელობა აქვთ...“⁴

გვაროვნული არისტოკრატის ან საერთოდ მდიდართა გაბატონებას პირველყოფილი საზოგადოების წიაღში საქმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე შიშავდა. „სოციალური დაშლა წარმოშობდა სოციალურ წინააღმდეგობებს. დიდებულითა სიმდიდრე და პრივილეგიები საპირობადნენ დაცვას ღარიბებისა და მონების ხელყოფისაგან. ტრადიციული გვაროვნულ-ტომობრივ ორგანოები, რომლებიც დემოკრატის სულით იყო გამსჭვალული, ამისათვის აღარ გამოდგებოდა. მათ ადგილი უნდა დაეთმოთ ძალაუფლების ორგანიზაციის ახალი ფორმებისათვის“⁵.

სახელმწიფოსთან ერთად ჩნდება საჯარო ხელისუფლება, გადასახადები, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის საჭირო ისეთი საშუალება, როგორცაა სამართალი.

ზოგიერთი მკვლევარი სამართალში ხედავს სოციალური რეგულაციის თავდაპირველ ფორმას. მათი აზრით, სამართალი არსებობდა წინაკლასობრივ საზოგადოებაშიც. დასავლეთის რიგი მეცნიერები ამჟამადაც წერენ პირველყოფილი სამართლის შესახებ. სოციალური განვითარების რადონის საზოგადოებასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, კონფლიქტის მოგვარება ხდება ან თვით მოღვე მხარეთა შიგნით მისამდე მხარის მონაწილეობის გარეშე ან მისამდე მხარის მონაწილეობითა და მსჯავრით. ამასთან, ამ შესამდე მხარეში იგულისხმება როგორც პირველყოფილი გვარისა თუ თემის მეთაური, ასევე ე. წ. „სამხედრო დემოკრატის“ ხანის ბახილევის, აგრეთვე სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების მონაშართლე მხაჩული.

ამასთან ერთად, ერთმანეთისაგან არ არის განსხვავებული წინაობრივი და სამართლებრივი ნორმები. მორალური ნორმების შესრულება ხდება საზოგადოებრივი აზრის, აგრეთვე რელიგიური მოტივების შევავლენით, სახელმწიფო-იძულებითი ღონისძიების გამოყენების გარეშე, მაშინ, როდესაც სამართლებრივი ნორმების განხორციელება სახელმწიფოს შემოქმედებით არის უზრუნველყოფილი.

მეცნიერება უკვე ერთმანეთისაგან ანხვავებს ადრინდელ სამართალსა და წინარესამართალს.

თუ რა უნდა ვიგულისხმოთ წინარესამართლის ცნებაში, ამის შესახებ ჰერ კიდეც არ არის საერთო აზრი გამოუმუშავებული, მაგრამ-მისაღებად ჩანს ა. ბ. ვინგეროვის, ლ. ე. კუბხელის, ა. ი. პერშიცის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც წინარესამართალი ესაა იმ ნორმების ერთობალობა, რომელიც პირველყოფილი ერთადშერწყმული ნორმების დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა, ნაწილობრივ ნორმატიული ინოვაციის შედეგადაც. წინარესამართალი მოიცავდა კლასების წარმოქმნის ეპოქისათვის დამახასიათებელ ყველაზე მნიშვნელოვან ხავალდებულ ქცევებს წესთა ფართო სპექტრს — საწარმოო, სოციალური და საყოფაცხოვრებო ხანიათისას.

ერთ დროს რელიგიური, მორალური, საწარმოო და სხვა ხანიათის ნორმები ერთმანეთთან იყო შერწყმული. შემდეგ, თანდათან მოხდა მათი ერთმანეთისაგან გამოქცევა. ძველ საქართველოში ასეთი ნორმების აღმნიშვნელი სიტყვები იქნებოდა: წესი, რიგი, ჰერი, ხეული, „რიგი“ ზოგადი ნორმის მნიშვნელობით ჩანს „მორიგე“ ღმერთის ცნებაში. ამ ღმერთის სახელს ატარებ

⁴ ა. ბ. პერშიცი, ა. ლ. მონგაიტი, ვ. პ. ილექსევი, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია ნაბ. 1986, გვ. 282.

⁵ იქვე, გვ. 297-298

ბდა კვირის ერთ-ერთი დღე — შაბათი. ძველქართულად მორიგე „სავალდებულო“ ქცევის წესების — „რიგის“ დამდგენად იფულისჩმებოდა „მორიგე ღმერთი“.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, წინაკლასობრივი საზოგადოების ნორმებიდან და შეერენციაციის გზით, თანდათან გამოიკვეთა ქცევის იმ წესების, ნორმების სისტემური ერთობლიობა, რომლებიც მისაღები იყო კმანდაობის პროცესში მყოფი კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოსათვის. ამ შეხედულებას ის ნაკლი გააჩნია, რომ არ ითვალისწინებს წინარესამართლის წიაღში მომხდარ ინოვაციებს, იმ ახალი ქცევის წესებს, რომლებმაც თანდათან შემოაღწიეს მასში.

მეორე შეხედულების მიხედვით, წინარესამართალი იმდენად რთული მონორმების დაშლისა და დიფერენციაციის გზით კი არ წარმოიშვა, არამედ ახალი, შესასრულებლად ყველასათვის სავალდებულო ისეთი ქცევის წესების შემოღებით, რომელნიც აუცილებელი იყო მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხელისნობის ორგანიზაციისათვის. მაგრამ ამ შეხედულებასაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, მათი აზრით, წინარესამართალი არ იყო მხოლოდ წარმოების ორგანიზაციის ამსახველი ნორმების კრებული. ის უხვად შეიცავდა სოციალური, ეოფიითი ხასიათის ნორმებსაც.

განვითარების პროცესში სამართალი ემიჯნებოდა რელიგიურ ნორმებს. თავის დროზე ცნობილი მეცნიერები (ჟ. ლებხოვი, ე. ტელიორი, გ. ვ. პლენხანოვი და სხვ.) ფიქრობდნენ, რომ რელიგია და მორალი (ზნეობა) თავდაპირველად ერთმანეთისაგან განცალკევებულად არსებობდა და განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე ზდებოდა მათი დაკავშირება. ეს მოსაზრება სამართლიანად გააკრიტიკა ა. ა. ტოკარევმა. შეცდომის საფუძველი იმაში მდგომარეობდა, რომ მკვლევარები პირველყოფილ საზოგადოების წიაღში ეძებდნენ XIX საუკუნის ევროპისათვის დამახასიათებელ ზნეობრივ ცნებებს. ამასთან ერთად, ვერც ცივილიზებული საზოგადოების რელიგიას ვიპოვით წინაკლასობრივი განვითარების დონეზე მდგომ ტომებში, მაგრამ ყველა პირველყოფილ, ჩამორჩენილ ხალხში მორალური ნორმები და მორალური აკრძალვები ზებუნებრივი არსების ხანჭვიებით იყო განმტკიცებული. ზნეობრივი ნორმების დაწესება მიეწერებოდა ღმერთებს, სულებს, ნახევარღმერთებს, გმირებს და ა. შ.

როდესაც სამართალს რელიგიური საბურველი ჩამოხცილდა, მისი განხორციელების უზრუნველყოფა იდეოლოგიურ-სამართლებრივი აღზრდის მეთოდით გაძენდა და სახელმწიფო ზემოქმედების მეშვეობით ხორციელდებოდა.

ძველი ინდური (ინდუსთა) სამართლის სპეციალისტთა აზრით, სახელმწიფოებრივი იძულება არ შეიძლება ჩაითვალოს ძველი ინდოეთის ე. წ. „ტრადიციული“ საზოგადოების სინამდვილეში სამართლებრივი ნორმების შენარჩუნების უზრუნველყოფის მთავარ საშუალებად. რამდენადაც იდეოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები სამართლებრივი ნორმების მოქმედების ეფექტიანობას იმდენად ძლიერს ზდიდნენ, რომ რაც შემთხვევებში სახელმწიფოებრივი იძულების გამოყენების საჭიროების საკითხი საერთოდ არ წამოიჭრებოდა. საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე შინაგანი, სარწმუნოებრივი იძულება გაცილებით დიდ როლს ასრულებდა, ვიდრე გარეგანი, სახელმწიფოებრივი.

ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა ერთიანი, დიალიქტიკური პროცესი იყო, რომელსაც თავის მხრივ კლასების წარმოშობა-განვითარება განაპირობებდა. სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური პროგრესი რთულ და ერთიან ნაკადად არის წარმოადგენილი მსოფლიო ისტორიაში.



საქართველოს რესპუბლიკის კანონი

ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის, გაძლიერებისა და საქართველოს რესპუბლიკის ზოგადი საანონმედალო აქტი ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10).

- 1. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 165-ე მუხლი.
- 2. 169^ა მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 169^ა. ვაჭრობის წესების დარღვევა

დადგენილი წესების დარღვევით სახელმწიფო სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობებიდან, ბაზებიდან, დამხმარე ნაგებობებიდან საქონლის გაყიდვა, აგრეთვე საქონლის გადამალვა, ჩადენილი სახელმწიფო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

იგივე მოქმედება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან არაერთგზის, ანდა დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ანდა გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ანდა ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

დადგენილი წესების დარღვევით სახელმწიფო სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობებიდან, ბაზებიდან, დამხმარე ნაგებობებიდან საქონლის გაყიდვა, აგრეთვე საქონლის გადამალვა, ჩადენილი სახელმწიფო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების (ორგანიზაციების) და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნასამართლავი იყო ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით“

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის დიდ ოდენობით გაყიდვად და გადამალვად ჩაითვლება არანაკლებ ხუთასი მანეთის ღირებულების კვების პროდუქტების და არანაკლებ ორი ათასი მანეთის ღირებულების სხვა საქონლის გაყიდვა და გადამალვა, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად — არანაკლებ ორი ათას ხუთასი მანეთის ღირებულების კვების პროდუქტების და არანაკლებ ათი ათასი მანეთის ღირებულების საქონლის გაყიდვა და გადამალვა.

3. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 169⁶ და 169⁷ მუხლები:

„**მუხლი 169.⁶ ფასების ხელოვნურად გაზრდა და მაღალი ფასების შენარჩუნება**

სახალხო მოხმარების საქონელზე ფასების ხელოვნურად გაზრდა და მაღალი ფასების შენარჩუნება გადამყიდველების ან სხვა პირების მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან ძალადობით ან ასეთის გამოყენების მუქარით. —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ჯარიმით ათი ათას მანეთამდე“.

იგივე ქმედება, ჩადენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ. —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან ჯარიმით ათი ათას მანეთამდე“.

მუხლი 169.⁷ უკანონო სავაჭრო საქმიანობა

უკანონო სავაჭრო საქმიანობა ე. ი. საქონლის შესყიდვისა და გაყიდვის გარიგების განხორციელება დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე, სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდება მოგების მიღების მიზნით, თუ ეს მოქმედება ჩადენილია ვაჭრობის სფეროში წესების დარღვევისათვის აღმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ან წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ანდა დიდი ოდენობით მოგების მიღების მიზნით. —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოგების მიღების მიზნით, ანდა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ. —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან ჯარიმით თხუთმეტი ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების, ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით“.

შენიშვნა: სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის არიდებით დიდი ოდენობის მოგებად ჩაითვლება თანხა არანაკლებ სამი ათასი მანეთისა, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად — არანაკლებ თხუთმეტი ათასი მანეთისა.

4. 229 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 229. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექენა და გასაღება**

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექენა ან გასაღება. —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებ-

ლი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციით“.

5. 81 მუხლის მეორე ნაწილსა და 44-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სპეკულაცია (165-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“ შეიცვალოს სიტყვებით „ვაჭრობის წესების დარღვევისათვის (169^ა მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“.

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 126-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „165-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით“ და 169^ა“;

მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „165-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით“, ხოლო სიტყვების „169-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „169^ა მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 169^ბ და 169^ვ მუხლებით“.

2. მე-400 მუხლში სიტყვების „169^ა მუხლით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „169^ბ მუხლის პირველი ნაწილით“.

III. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხლი 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 153-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 153. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების მიერ ვაჭრობის წესების დარღვევა“

მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული საგაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ან კოოპერატივებში დადგენილი საცალო ფასების გადამეტებით იმ საქონლის გაყიდვა, რომელიც გამოყოფილია საბაზრო ფონდიდან ან შექმნილია საცალო ქსელში, —

გამოიწვევს ფასების აწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირის დაჯარიმებას ათას მანეთამდე, ამ საქონლის კონფისკაციით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათას მანეთამდე, ამ საქონლის კონფისკაციით“.

2. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 159-ე მუხლი.

3. 205-ე მუხლში რიცხვები „143-153“ შეიცვალოს რიცხვებით „143-152“).

4. 208-ე მუხლში რიცხვის „142-ე“ შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე“.

5. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„153-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს შეადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, საგადა-

სახადო ინსპექციის თანამდებობის პირები ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები“
6. 252-ე მუხლის მეორე ნაწილში რიცხვი „159-ე“ შეიცვალოს რიცხვით „153-ე“.

7. 262-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს რიცხვი „159-ე“ და რიცხვის „45-ე“ შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე“.

8. 269-ე მუხლში რიცხვი „159-ე“ შეიცვალოს რიცხვით „153-ე“.

9. 279-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს რიცხვი „159-ე“ და რიცხვის „142-ე“ შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე“.

10. 295-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს რიცხვი „159-ე“ და რიცხვის „142-ე“ შემდეგ დაემატოს რიცხვი „153-ე“.

IV. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 15 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლისა და „წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე“.

V. შეწყდეს წარმოებით საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოებში არსებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეები და მოსამართლეთა წარმოებაში არსებული საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები.

გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები.

VI. ეს კანონი სამოქმედოდ იქნეს შემოღებული გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაფხვირისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკაში „მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სასამართ-

ლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ“ (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 2 თებერვლის ბრძანებულების პირველი მუხლი (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ. № 2, მუხ. № 32).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაძი ასათიანი.
თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.



დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის დადგენილებით

დაჯულება

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების შესახებ

თავი I

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

მუხლი 1. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისმგებაში ბრალეული მოქმედების ან უმოქმედობის გამო:

- 1) სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის დარღვევისათვის;
- 2) სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;
- 3) სახელის გამტეჯი საქციელისათვის.

მუხლი 2. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების კომპეტენცია

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია
განიხილავს საქმეებს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 3. დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება

დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების მიმართ;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ;

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეების, თავმჯდომარეთა მოადგილეების, წევრებისა და საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეებს — შესაბამისი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების მიმართ;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს — შესაბამისი სასამართლოების წევრებისა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრებს — შესაბამისი რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ.

მუხლი 4. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადები

მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს გადაცდომის გამოვლენის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, სამსახურებრივი შემოწმების დროისა და საბატიო მიზეზით მოსამართლის სამუშაოზე არყოფნის ჩათვლელად, მაგრამ არა უგვიანეს ერთი წლისა გადაცდომის ჩადენის დღიდან.

მუხლი 5. დისციპლინური საქმის აღძვრის წესი

დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირი წინასწარ ამოწმებს მასალებს, რომლებიც მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძვლებს შეეხება, და მოითხოვს მისგან წერილობით ახსნა-განმარტებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს გამოაქვთ დადგენილება დისციპლინური საქმის

აღძვრის შესახებ, ბოლო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მენეჯერები გამოსცემენ ბრძანებას.

დადგენილებასა და ბრძანებაში უნდა აღინიშნოს დისციპლინური საქმის აღძვრის წინასწარი შემოწმებით დადგენილი საფუძველი. დადგენილება ან ბრძანება სათანადო მასალებთან ერთად განსახილველად ეგზავნება მოსამართლეთა შესაბამის საკვალიფიკაციო კოლეგიას.

დისციპლინური საქმის მასალების საკვალიფიკაციო კოლეგიაში გადაგზავნამდე მათ უნდა გაეცნოს მოსამართლე, რომლის მიმართაც იგი აღძვრა. ამასთან, მოსამართლეს უფლება აქვს წარადგინოს დამატებითი ახსნა-განმარტებანი ან აღძვრას შეამდგომლობა საქმის დამატებით შემოწმების შესახებ.

მუხლი 6. დისციპლინური საქმის გამოთხოვა

დადგენილება ან ბრძანება დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ შეიძლება გამოითხოვოს საქმის აღმძვრელმა პირმა საკვალიფიკაციო კოლეგიაში საქმის განხილვის დაწყებამდე.

მოსამართლეს, რომლის მიმართაც დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების ან ბრძანების გამოთხოვა ხდება, უფლება აქვს მოითხოვოს საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ საქმის არსებითი განხილვა.

მუხლი 7. საქმის მომზადება საკვალიფიკაციო კოლეგიაში განსახილველად

საქმის განხილვამდე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლის დამატებითი შესწავლა, რასაც კოლეგიის თავმჯდომარე ავალებს კოლეგიის ერთ-ერთ წევრს, ამასთან თუ საჭიროა, ხდება დამატებითი მასალებისა და საბუთების, აგრეთვე იმ სასამართლო საქმეების გამოთხოვა, რომელთა განხილვის დროს მოსამართლემ დაუშვა კანონის დარღვევა.

მუხლი 8. საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობა დისციპლინური საქმის განხილვის დროს

საკვალიფიკაციო კოლეგია დისციპლინურ საქმეებს განიხილავს მის წევრთა არანაკლებ ნახევრის შემადგენლობით. საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც წყვეტს კოლეგიის მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

მუხლი 9. დისციპლინური საქმის განხილვის ვადები

დისციპლინური საქმე განიხილება საკვალიფიკაციო კოლეგიაში მისი შემოსვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

მუხლი 10. საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომის მონაწილე პირები

საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვისას დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის დასწრება აუცილებელია; არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე განიხილება მის დაუსწრებლად.

საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს დისციპლინური საქმის აღმძვრელ თანამდებობის პირს ან მის წარმომადგენელს.

მუხლი 11. დისციპლინური საქმის განხილვის წესი

თავმჯდომარე სხდომას გახსნილად აცხადებს და აცნობს დამსწრეთ საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობას. მოსამართლეს შეუძლია საქმის გან-

ხილვამდე საკვალიფიკაციო კოლეგიის წევრებს მისცეს აცილებდა, რაც უნდა განიხილოს კოლეგიის შემადგენლობამ.

დისციპლინური საქმის განხილვა იწყება კოლეგიის თავმჯდომარის ან ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, დისციპლინური საქმის აღმძვრელ პირს უფლება აქვს გამოთქვას თავისი აზრი. მოსამართლის ახსნა-განმარტების მოსმენა აუცილებელია.

სხდომის მსვლელობის დროს დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს ნებისმიერ მომენტში განაცხადოს შუამდგომლობა ან მისცეს დამატებითი ახსნა-განმარტება. კოლეგიის შეხედულებით შეიძლება მოსმენილ იქნეს როგორც მოსამართლის, ასევე კოლეგიის ინიციატივით მოწვეულ სხვა პირთა ინფორმაციები, გამოქვეყნდეს დოკუმენტები და გამოკვლულ იქნეს საქმეში არსებული დამატებით წარმოდგენილი სხვა მასალები.

გადაწყვეტილება გამოაქვთ სათათბირო ოთახში.

კოლეგიის სხდომაზე წერენ ოქმს.

მუხლი 12. გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე

საკვალიფიკაციო კოლეგიას შეუძლია გამოიტანოს შემდეგი გადაწყვეტილებანი:

— დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ;

— დისციპლინური საქმის შეწყვეტის შესახებ;

— დისციპლინური საქმის მასალების იმ ორგანოსათვის გადაცემის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია დასვას საკითხი მოსამართლის გაწვევის ან მის მიმართ სისჯლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

კოლეგიას შეუძლია შემდეგი სახის დისციპლინური სასჯელის დადება:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური.

სასჯელის დადებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი და მისი შედეგები, გადაცდომის სიმძიმე, მოსამართლის პიროვნება და მისი ბრალის ხარისხი.

საკვალიფიკაციო კოლეგია დისციპლინურ საქმეს შეწყვეტს:

— მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის დაუსაბუთებლობის გამო;

— დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვადების გასვლის შემთხვევაში;

— დისციპლინური სასჯელის დადების მიზანშეუწონლობის დროს, იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია მასალების მხოლოდ სხდომაზე განხილვით შემოფარგვლა.

საკვალიფიკაციო კოლეგიების გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 13. გადაწყვეტილების გამოტანის წესი

გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე მიიღება განხილვის მონაწილე კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობით; ჩამოყალიბდება წერილობით: მას ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კოლეგიის წევრები.

კოლეგიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას და დარჩა უმცირესობაში, ხელს არ აწერს კოლეგიის გადაწყვეტი-

ლებას და წერილობით ჩამოაყალიბებს თავის განსაკუთრებულ აზრს, რომელიც საქმეს თან ერთვის.

გადაწყვეტილებას დისციპლინურ საქმეზე აცხადებენ საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომაზე.

მუხლი 14. გადაწყვეტილების შინაარსი

დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს: კოლეგიის დასახელება, მისი შემადგენლობა, საქმის განხილვის ადგილი და დრო; დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის სახელი, მამის სახელი, გვარი და თანამდებობა; დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის თანამდებობა და გვარი; საქმის გარემოებანი; მოსამართლის ახსნა-განმარტება და მისი პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები; მიღებული გადაწყვეტილების მოტივირება მტკიცებულებათა მითითებით; დისციპლინური სასჯელის ზომა ან დისციპლინური საქმის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 15. გადაწყვეტილების პირის გაგზავნა

დისციპლინურ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების პირი მისი მიღებიდან სამი დღის ვადაში გაეგზავნება მოსამართლეს, რომლის მიმართაც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმის აღმძვრელ პირსა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს.

გადაწყვეტილების პირი ერთვის მოსამართლის პირად საქმეს.

მუხლი 16. დისციპლინური საქმის განახლება

თუ ორგანო, რომლის წინაშეც საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაყენებულა მოსამართლის გაწვევის ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი, ვერ ნახავს საამისო საფუძველს, მაშინ დისციპლინური საქმე დაუბრუნდება საკვალიფიკაციო კოლეგიას და განახლდება. კოლეგიის პირვანდელი გადაწყვეტილების გამოტანიდან მასალების დაბრუნებამდე გასული დრო არ შედის ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადებში.

მუხლი 17. დისციპლინური სასჯელის მოხსნა

თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ითვლება დისციპლინური სასჯელის არმქონედ.

დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის წარდგინებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით დისციპლინური სასჯელის დამდებ საკვალიფიკაციო კოლეგიას შეუძლია სასჯელის დადების დღიდან არანაკლებ ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ვადამდე მოხსნას სასჯელი მოსამართლის უმწიკვლო ყოფაქცევისა და თავისი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის.

თავი II

მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევა და ვადამდე გათავისუფლება

მუხლი 18. მოსამართლისა და მსაჯულისათვის უფლებამოსილების ვადამდე ჩამორთმევა

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის

უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებსა და მსაჯულებს შეიძლება ვადაძღვე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის ან მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი, სახელის გამტეხი საქციელისათვის, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებსა და მსაჯულებს გაიწვევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს, წევრებს და მსაჯულებს გაიწვევენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და წევრებს, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ვადაძღვე ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ვადაძღვე ათავისუფლებენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს გაიწვევს მისი ამრჩევი ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს გაიწვევს იმ შრომითი კოლექტივის მოქალაქეთა კრება, რომლებმაც ისინი აირჩიეს.

მუხლი 19. გაწვევის (ვადაძღვე გათავისუფლების) საკითხის აღძვრის უფლება

გაწვევის (ვადაძღვე გათავისუფლების) საკითხის აღძვრის უფლება აქვთ: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილეების მიმართ;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეებს — შესაბამისი უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების მიმართ;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების, წევრებისა და მსაჯულების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და მსაჯულების, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებისა და მსაჯულების მიმართ კანონის უხეში დარღვევისა და მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი, სახელისგამტეხი საქციელისათვის;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით — შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ყველა

სასამართლოს მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით — შესაბამისი რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა და მსაჯულთა მიმართ კანონის უხეში დარღვევისა და მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი, სახელისგამტეხი საქციელისათვის;

შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეთა კრებებს — მათ მიერ არჩეული რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულების მიმართ მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი, სახელისგამტეხი საქციელისათვის.

მუხლი 20. გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ საკითხის აღძვრის წესი

ბირი, რომელიც აღძრავს საკითხს გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ, ორგანიზაციას უწევს იმ მასალების შესწავლის საქმეს, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ საკითხის დაყენებას, აცნობებს მოსამართლეს ან მსაჯულს მათი გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) საკითხის აღძვრისა და მოტივის შესახებ და მოითხოვს წერილობით ახსნა-განმარტებას.

მასალები, რომელთა საფუძვლზეც აღძრა მოსამართლის გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) საკითხი, დასკვნისათვის გადაეგზავნებათ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრების მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების წევრებისა და შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

მუხლი 21. მოსამართლეთა და მსაჯულთა გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ წარდგინების შეტანის წესი

წარდგინება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებისა და მსაჯულების გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, წარდგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების და მსაჯულების გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

წარდგინება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების წევრებისა და მსაჯულების გაწვევის (ვადამდე გათავისუფლების) შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად

შეაქვთ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების წევრებისა და შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლო იუსტიციის უზენაესი საბჭოებში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

წარდგინება საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა ვადამდე გათავისუფლების შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში.

წარდგინებას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა ვადამდე გათავისუფლების შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის აზრის გათვალისწინებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები წარადგენენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებში.

წარდგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულების გაწვევის შესახებ შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში, რომელმაც ისინი აირჩია.

წარდგინება საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულების გაწვევის შესახებ შეაქვს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეს მსაჯულის შრომით კოლექტივში სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულის გაწვევის შესახებ წარდგინებას განიხილავენ შრომითი კოლექტივის კრებაზე სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს მსაჯულად. გადაწყვეტილებას მსაჯულის გაწვევის შესახებ იღებენ ღია კენჭისყრით ხმის უმრავლესობით. კრებაზე მსაჯულის დასწრება, რომლის გაწვევის საკითხიც წყდება, სავალდებულოა.

მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენს უფლებამოსილების ვადამდე ჩამორთმევის დამოუკიდებელ საფუძველს.

მუხლი 22. მოსამართლეებისა და მსაჯულების ვადამდე გათავისუფლების საფუძველები

მოსამართლეები და მსაჯულები თავიანთი მოვალეობების შესრულებისაგან შეიძლება ვადამდე გათავისუფლდნენ:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის მუშაობის გაგრძელებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მათი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო;

პირადი სურვილით.

მუხლი 23. ვადამდე გათავისუფლების წესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და მსაჯულებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს, წევრებსა და მსაჯულებს ვადამდე გათავისუფლებს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები;

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს და წევრებს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ვადამდე ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი;

ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ვადამდე ათავისუფლებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები.

წარდგინება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებისა და მსაჯულების ვადამდე გათავისუფლების შესახებ შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. სხვა მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ — სასამართლოების თავმჯდომარეებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით; ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

წარდგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულის ვადამდე გათავისუფლების შესახებ შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში, რომელმაც იგი აირჩია.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულის ვადამდე გათავისუფლების შესახებ წარდგინება შეაქვს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეს მსაჯულის შრომით კოლექტივში სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებაზე საცნოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს მსაჯულად.



კონვენცია სამხედრო დანაშაულობებისადმი და
კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი
დანაშაულობებისადმი ხანდაზმულობის მიუღებლობის
შესახებ

1968 წლის 28 ნოემბერი*

მოცემული კონვენციის წევრი-სახელმწიფოები

ეყრდნობიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1946 წლის 13 თებერვლის 3(I) და 1947 წლის 31 ოქტომბრის 170 (II) რეზოლუციებს სამხედრო დანაშაულებათა გადაცემის და დასჯის შესახებ; 1946 წლის 11 დეკემბრის 95 (I) რეზოლუციას, რომელიც ადასტურებს ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მიერ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და ამ ტრიბუნალის განაჩენს; 1966 წლის 12 დეკემბრის 2184 (XXI) და 1966 წლის 16 დეკემბრის 2202 (XXI) რეზოლუციებს, რომლებშიც ნათლად არის დაგმობილი ერთი მხრივ, მკვიდრი მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების დარღვევა, როგორც დანაშაული, ჩადენილი კაცობრიობის წინააღმდეგ, და მეორეს მხრივ — აპარტიდის პოლიტიკა;

ეყრდნობიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1965 წლის 28 ივლისის 1074 D (XXXIX) და 1966 წლის 5 აგვისტოს 1158 (XLI) რეზოლუციებს სამხედრო დანაშაულისათვის დასჯის და იმ პირობა დასჯის შესახებ, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;

აღნიშნავენ, რომ არც ერთ სადღესასწაულო დეკლარაციაში, აქტსა თუ კონვენციაში, რომლებიც ეხება სამხედრო დანაშაულის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლოს წესით დევნას ან დასჯას, არ არის დებულება ხანგრძლივობის ვადის შესახებ;

თვლიან, რომ საერთაშორისო სამართლის შესატყვისად; სამხედრო დანაშაულობანი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს ყველაზე მძიმე დანაშაულს;

ეყრდნობიან რწმენას, რომ სამხედრო დანაშაულობათა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა ეფექტიანად დასჯა მნიშვნელოვანი ფაქტორია ამგვარ დანაშაულთა აღკვეთის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის, ხალხთა შორის თანამშრომლობის წახალისების და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში;

აღნიშნავენ, რომ სამხედრო დანაშაულობებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ჩვეულებრივი დანაშაულობებისათვის

* კონვენცია ძალაში შევიდა 1970 წლის 11 ნოემბერს. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რატიფიცირება მოახდინა 1969 წლის 11 მარტს.

გათვალისწინებული ხანგრძლივობის ვადის გამოყენება საშინაო სამართლებრივი ნორმებით იწვევს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის სერიოზულ შეშფოთებას. ვინაიდან, ხელს უშლის ამგვარ დანაშაულობათა ჩამდენი პირების სასამართლოს წესით დევნას და დასჯას;

ალიარბენ, რომ მოცემული კონვენციის მეშვეობით დროულია და აუცილებელი საერთაშორისო სამართალში დამკვიდრდეს პრინციპი — სამხედრო დანაშაულის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის არ არსებობს ხანგრძლივობის ვადა, ასევე დროულია და აუცილებელია ამ პრინციპის საყოველთაოდ გამოყენების უზრუნველყოფა;

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

მუხლი 1. ხანგრძლივობის ყოველგვარი ვადა მიუღებელია შემდეგი დანაშაულობების ჩადენისათვის:

ა) სამხედრო დანაშაულობანი, როგორც ისინი განსაზღვრულია ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებაში 1945 წლის 8 აგვისტოს და დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1946 წლის 13 თებერვლის 3 (I) და 1946 წლის 11 დეკემბრის 95 (I) რეზოლუციებით; ასევე „სერიოზული დარღვევები“, რომლებიც ნითითებულია ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებში ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ;

ბ) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, დამოუკიდებლად იმისაგან, ჩადენილია ის ომის თუ მშვიდობიანობის დროს და განსაზღვრულია 1945 წლის 8 აგვისტოს ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებაში და დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1946 წლის 13 თებერვლის 3(I) და 1946 წლის 11 დეკემბრის 95 (I) რეზოლუციებით; გაქვება შეიარაღებული თავდასხმის ან ოკუპაციის გზით, აგრეთვე აპარტიდის შედეგად მომხდარი არაადამიანური მოქმედებანი; გენოციდის დანაშაული, განსაზღვრული 1948 წლის კონვენციით გენოციდის დანაშაულის აღკვეთის და მისთვის დასჯის გამო, იმ შემთხვევებშიც, როდესაც ჩამოთვლილი მოქმედებანი არ წარმოადგენს იმ ქვეყნის საშინაო კანონმდებლობის დარღვევას, სადაც ისინი მოხდა.

მუხლი 2. 1 მუხლში მითითებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოცემული კონვენციის დებულებანი გამოიყენება სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების ან კეძო პირების მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს ან მონაწილეობა მიიღეს ამგვარ დანაშაულთა ჩადენაში, ან აქეზებდნენ მათ ჩასადენად, ან მონაწილეობდნენ შექმულებაში მათ განსახორციელებლად, მიუხედავად დანაშაულთა დასრულების ხარისხისა, ასევე სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც დაუშვეს აღნიშნულ დანაშაულობათა ჩადენა.

მუხლი 3. მოცემული კონვენციის წევრი-სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, მიიღონ ყველა შესაბამისი საშინაო საკანონმდებლო ან სხვა სახის ღონისძიება მიმართული იქითკენ, რომ საერთაშორისო სამართლის შესატყვისად შეიქმნას პირობები კონვენციის მეორე მუხლში მითითებულ პირთა გადაცემისათვის.

მუხლი 4. მოცემული კონვენციის წევრი-სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ თავიანთი კონსტიტუციური პროცედურის შესატყვისად მიიღონ ნებისმიერი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა კა-



ნონით ან სხვა სახით დადგენილი ხანგრძლივობის ვადა არ იქნეს გამოყენებული ამ კონვენციის პირველ ან მეორე მუხლებში მითითებული დანაშაულობებისათვის და დანაშაულები პირთა სასამართლოს წესით დევნისა და დასჯის დროს. იქ, სადაც აღნიშნული დანაშაულობებისადმი გამოიყენება ხანგრძლივობის ვადა, მისი გამოყენება უნდა გაუქმდეს.

მუხლი 5. მოცემული კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა 1969 წლის 31 დეკემბრამდე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი ნებისმიერი სპეციალიზებული დაწესებულების წევრი ან ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წევრი; ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის წევრი, ასევე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიწვია მოცემული კონვენციის წევრად.

მუხლი 6. მოცემული კონვენცია რატიფიცირდება. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 7. მოცემული კონვენცია მისამხრობად ღიაა მეხუთე მუხლში მითითებული სახელმწიფოებისათვის. დოკუმენტები მიმხრობის შესახებ შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 8. 1. მოცემული კონვენცია ძალაში შედის 90-ე დღეს. მას შემდეგ, რაც გენერალურ მდივანს შესანახად გადაეცემა მეათე სარატიფიკაციო სიგელი ან დოკუმენტი მიმხრობის შესახებ.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა მისი რატიფიცირება ან მიემხრო კონვენციას, იგი ძალაში შედის ამ სახელმწიფოს სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან მეათე დღეს.

მუხლი 9. 1. მოცემული კონვენციის ძალაში შესვლიდან 10 წლის შემდეგ ნებისმიერმა წევრმა-სახელმწიფომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანის სახელზე წერილობით გაგზავნილი შეტყობინებით შეიძლება ითხოვოს კონვენციის გადასინჯვა.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მიიღებს გადაწყვეტილებას აუცილებლობის შემთხვევაში რა ზომებია მისაღები ამგვარი თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 10. 1. მოცემული კონვენცია ინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადასცემს მეხუთე მუხლში მითითებულ ყველა სახელმწიფოს.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მეხუთე მუხლში მითითებულ სახელმწიფოებს აცნობებს:

a) მოცემული კონვენციის ხელმოწერის და 5, 6, 7 მუხლების შესაბამისად სარატიფიკაციო სიგელების ან მიმხრობის შესახებ დოკუმენტების შესანახად გადაცემის შესახებ;

b) მერვე მუხლის თანახმად მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ;

მუხლი 11. მოცემული კონვენცია, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩი-

ნური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტურია, დათარიღებულია 1968 წლის 26 ნოემბრით.

რის დასადასტურებლადაც სათანადოდ რწმუნებულმა ქვემოთხეხელისმომწერებმა, ხელი მოაწერეს მოცემულ კონვენციას.

მეხუთე და მეშვიდე მუხლების შესახებ სსრკ-მ გააკეთა შემდეგი განცხადება.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი აცხადებს, რომ სამხედრო დანაშაულობებისადმი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ხანგრძლივობის ვადის მიუღებლობის შესახებ კონვენციის მეხუთე და მეშვიდე მუხლების შესახებ სსრკ-მ გააკეთა შემდეგი განცხადებით სახელმწიფოს ხელი მოაწეროს ან მიემხროს მოცემულ კონვენციას, ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს“.

(სსრკ-ს მიერ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული მოქმედი ხელშეკრულებების, შეთანხმებების და კონვენციების კრებული. გამომშვება XXVI, მოსკოვი, 1978, გვ. 118-121; რუსულ ენაზე).

დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ

1967 წლის 14 დეკემბერი**

გენერალური ასამბლეა,

ეყრდნობა რა, თავის 1962 წლის 19 დეკემბრის 1839 (XVII), 1965 წლის 20 დეკემბრის 2100 (XX) და 1966 წლის 16 დეკემბრის 2203 (XXI) რეზოლუციებს, რომლებიც ეხება დეკლარაციას თავშესაფრის შესახებ;

ითვალისწინებს რა, კოდიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოს, რომელსაც გენერალური ასამბლეის 1959 წლის 21 ნოემბრის 1400 (XIV) რეზოლუციის შესახებ შეასრულებს საერთაშორისო სამართლის კომისია —


იღებს შემდეგ დეკლარაციას:

დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ

გენერალური ასამბლეა

აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით განცხადებული მიზნებია საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნება, ყველა ერს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება საერთაშორისო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემათა გადასაჭრელად. ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებებისადმი

** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1967 წლის 14 დეკემბრის 2312 (XXII) რეზოლუცია.



პატივისცემის გაღრმავება ყველასათვის რასის, სქესის, ენის და რელიგიის მიხედვით ნურჩველად;

ითვალისწინებს რა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, რომლის მეოთხე მუხლში ნათქვამია შემდეგი:

„1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თუ მას დევნიან, სხვა ქვეყანაში პპოვოს თავშესაფარი და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც დევნა ზორციელდება იმგვარი არაპოლიტიკური ხასიათის დანაშაულის ან ქმედებისათვის, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს და პრინციპებს“.

შეახსენებს აგრეთვე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 13 მუხლის მეორე პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

„ყოველ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარი“.

აღიარებს, რომ სახელმწიფოს მიერ თავშესაფრის მიცემა პირთათვის, რომელთაც საკმარისი საფუძველი აქვთ მიმართონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 14 მუხლს, წარმოადგენს მშვიდობიან და ჰუმანურ აქტს და არცერთმა სხვა სახელმწიფომ ეს მოქმედება არ უნდა ჩათვალოს არამეგობრულ ქმედებად.

რეკომენდაციას იძლევა, თავშესაფრის და ლტოლვილთა და აპატრიდთ* შესახებ არსებული სხვა აქტებისათვის ზარალის მიუყენებლად სახელმწიფოებმა ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ პრაქტიკაში იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

მუხლი 1. რომელიმე სახელმწიფოს მიერ თავშესაფრის მიცემა სუვერენიტეტის განსახორციელებლად პირთათვის, რომელთაც საფუძველი აქვთ მიმართონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 14 მუხლს, კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ პირთა ჩათვლით. პატივისცემით უნდა მოეპყროს ყველა სხვა სახელმწიფო.

2. თავშესაფრის მოთხოვნის და თავშესაფრით სარგებლობის უფლება არა აქვს პირს, რომლის მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ მას ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინაშე იმ საერთაშორისო აქტების მიხედვით, რომლებიც შემუშავდა ამგვარ დანაშაულთა ნორმების გათვალისწინებისათვის.

3. თავშესაფრის მიცემის საფუძვლიანობის შეფასება ეკისრება სახელმწიფოს, რომელიც თავშესაფარს აძლევს.

მუხლი 2. 1 მუხლის 1 პუნქტში მითითებულ პირთა მდგომარეობა სახელმწიფოთა სუვერენიტეტისათვის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპებისათვის ზიანის მიუყენებლად. უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ზრუნვის საგანს.

2. თუ რომელიმე სახელმწიფოს უჭირს ან ვეღარ აგრძელებს თავშესაფრის მიცემას, სახელმწიფოებმა ერთად ან ცალკე ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით, საერთაშორისო სოლიდარობის საფუძველზე, უნდა განიხილონ ზომები ამ სახელმწიფოზე დაკისრებული ტვირთის შესამსუბუქებლად.

* აპატრიდი — პირი მოქალაქეობის გარეშე.

მუხლი 8, 1. 1 მუხლის 1 პუნქტში მითითებული პირის მიმართ არ შეიძლება ისეთი ზომების გამოყენება, როგორცაა — საზღვრის გადაკვეთა პირის თქმა ან თუ იგი უკვე შევიდა ტერიტორიაზე, რომელზედაც ეძებს თავსაფარს, მისი გასახლება ან ძალდატანებით დაბრუნება რომელიმე ქვეყანაში, სადაც მას ელის შევიწროება.

გამონაკლისი ზემოხსენებული პრინციპიდან დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე ან მოსახლეობის დაცვის მიზნით, როგორც ეს ხდება ადამიანთა მასიური შემოსვლის დროს.

3. თუ რომელიმე სახელმწიფო მაინც თვლის, რომ ამ მუხლის I პუნქტში მითითებული პრინციპებიდან გამონაკლისის დაშვება გამართლებულია, მან უნდა განიხილოს მოცემული პირის სხვა სახელმწიფოში გადასვლის შესაძლებლობანი ან დროებითი თავშესაფრის მიცემით, ან სხვა გზით იმ პირობების საფუძველზე, რომლებსაც იგი ჩათვლის ხელსაყრელად.

მუხლი 4. სახელმწიფომ, რომელმაც მისცა თავშესაფარი, არ უნდა დართოს ნება თავშესაფრის მიმღებ პირებს აწარმოონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო მოღვაწეობა.

(ადამიანის უფლებები. საერთაშორისო დოკუმენტების კრებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნიუ-იორკი, 1976; გვ. 120-121. რუსულ ენაზე).

ქანევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის II დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ

1977 წლის 8 იანვარი*

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები

შეახსენებენ, რომ 1949 წლის 12 აგვისტოს ქენევის კონვენციითა მესამე მუხლში ჩამოყალიბებული ჰუმანიტარული პრინციპები საფუძვლად უდევს ადამიანის პიროვნულობის პატივისცემას არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში;

შეახსენებენ, რომ ადამიანის პიროვნულობას იცავს ადამიანის უფლებათა შესახებ არსებული საერთაშორისო დოკუმენტები;

* ოქმი ძალაში შევიდა. სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ რატიფიცირებულია 1984 წლის 4 აგვისტოს.

ხაზგასმით აღნიშნავენ ამგვარი შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა უკეთ დაცვის აუცილებლობას;

შეახსენებენ, რომ მოქმედი სამართლებრივი ნორმებით ვაჟთვალისწინებულ შემთხვევებში პიროვნებას იცავს ჰუმანურობის პრინციპები და საზოგადოებრივი შეგნების მოთხოვნები;

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

ნაწილი I

მოცემული ოქმის გამოყენების სფერო

მუხლი 1. გამოყენების ძირითადი სფერო

1. მოცემული ოქმი, რომელიც ავითარებს და ავსებს 1949 წლის 12 აგვისტოს უნევის კონვენციასა საერთო — მესამე მუხლს, არ ცვლის მისი გამოყენების არსებულ პირობებს და გამოიყენება ყველა შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც არ შედის 1949 წლის 12 აგვისტოს უნევის კონვენციასა [დამატებითი ოქმის მოქმედებაში, ეხება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთ (ოქმი I) და რომელიც ხდება მოლაპარაკებაში მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ ძალებსა და ანტისამთავრობო შეიარაღებულ ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის. ეს ჯგუფები იმყოფებიან პასუხისმგებელი სარდლობის ქვეშ, რომელიც ახორციელებს კონტროლს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს მუდმივი და შეთანხმებული საომარი მოქმედებანი და გამოიყენოს მოცემული ოქმი.

2. მოცემული ოქმი არ ეხება საშინაო წესრიგის დარღვევის შემთხვევებს და საშინაო დაძაბულობის მდგომარეობას — უწესრიგობებს, ძალადობის ცალკეულ და სპორადულ აქტებს და ანალოგიური ხასიათის სხვა აქტებს, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ შეიარაღებულ კონფლიქტებს.

მუხლი 2. ცალკეულ პირთა მიმართ გამოყენების სფერო

1. მოცემული ოქმი გამოიყენება ნებისმიერი განსხვავების გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა სტატუსის, ან სხვა კრიტერიუმის (შემდგომ ეწოდება „არახელსაყრელი განსხვავება“) საფუძველზე ნებისმიერი პირისადმი, რომელიც შეეხება პირველ მუხლში განსაზღვრულ შეიარაღებულ კონფლიქტს.

2. შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდგომ ყველა პირი, რომელმაც განიცადა თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა ამ კონფლიქტებთან დაკავშირებით, ასევე ის პირები, რომლებიც თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას განიცდიან იგივე მიზეზებით, თავისუფლების ამგვარი შეზღუდვის ან აღკვეთის პერიოდის დასრულებამდე სარგებლობენ მეტუთე და მეექვსე მუხლებში გათვალისწინებული დაცვით.

მუხლი 3. ჩაუბრუნება

1. მოცემული ოქმი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ეხება სახელმწიფოს სუვერენიტეტს ან მთავრობის ვალდებულებას, ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას ან აღადგინოს წესრიგი სახელმწიფოში, დაიცვას სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და ეროვნული ერთიანობა.

2. მოცემულ ოქმში არაფერი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ვგი ამართლებს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, პირდაპირ ან ფარულ ჩარევას მე იარაღებულ კონფლიქტში, ან მოლაპარაკებაში. მონაწილე იმ სახელმწიფოს საშინაო ან საგარეო საქმეებში, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი აქვს ამ კონფლიქტს.

ნაწილი II

პუნჯანური მოპყრობა

მუხლი 4. ძირითადი გარანტიები

1. ყველა პირს, რომელმაც შეწყვიტა უშუალო მონაწილეობა ან არ მონაწილეობს სამხედრო მოქმედებებში, დამოუკიდებლად იმისაგან, შეზღუდულია მისი თავისუფლება თუ არა, აქვთ უფლება პატივი ეცეს მათ პიროვნულ ღირსებას, შეხედულებებს და რელიგიურ წესებს; ნებისმიერ გარემოებაში მათ ეპყრობიან ჰუმანურად და ყოველგვარი არახელსაყრელი გარემოების საფუძველზე განსხვავების გარეშე, იკრძალება გაიცეს ბრძანება, რომ არავინ გადაარჩეს ცოცხალი.

2. ისე, რომ ზარალი არ მიადგეს ზემოჩამოთვლილ საერთო დებულებებს, ნებისმიერ დროს და ადგილზე იკრძალება და მუდამ აიკრძალება პირველ პუნქტში მითითებული პირების მიმართ შემდეგი ქმედებების ჩადენა:

a) სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის ხელყოფა, კერძოდ — მკვლელობა, ასევე სასტიკი მოპყრობა — წამება, დასახიჩრება ან სხეულის დაშავება;

b) კოლექტიური დასჯა;

c) მძევალთა აყვანა;

d) ტერორიზმის აქტები;

e) პიროვნული ღირსების შეურაცხყოფა, კერძოდ — დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა, გაუპატიურება, პროსტიტუციის იძულება, ან ნებისმიერი ფორმით უხამსი ხელყოფა;

f) დამონება და მონებით ვაჭრობა;

g) ძარცვა;

h) ზემოხსენებულ ქმედებათა ჩადენის მუქარა.

3. ბავშვები უზრუნველყოფილი არიან აუცილებელი მზრუნველობით და დახმარებით, კერძოდ:

a) ისინი იღებენ განათლებას, რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის ჩათვლით, მშობელთა სურვილის თანახმად, ან მშობლების არყოლის შემთხვევაში — იმ პირთა სურვილით, რომელთაც იკისრეს მათზე მზრუნველობა;

b) ყველა ღონე ხმარდება დროებით განცალკევებული ოჯახების შეერთებას;

c) არ შეიძლება შეიარაღებულ ძალებსა თუ ჯგუფებში თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვთა შეკრება, მათ ეკრძალებათ საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მიღება;

d) ამ მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ თხუთმეტი წლის ასაკამდე პირნი, რომელნიც მიუხედავად c ქვეპუნქტისა, მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში და ჩავარდნენ ტყვედ.

ე) აუცილებლობის შემთხვევაში, და რამდენადაც შესაძლებელია მშობლების ან მათზე მზრუნველი პირების თანახმად, მიიღება ზომები საომარი მოქმედების ზონიდან ბავშვების დროებითი ევაკუაციის თაობაზე უფრო უსაფრთხო რაიონში, ამასთან, უზრუნველყოფილია იმ პირთა თანხლება, რომლებიც პასუხს აგებენ მათ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე.

მუხლი 5. პირნი, რომელთა თავისუფლება შეზღუდული იყო

1. გარდა მეოთხე მუხლში მითითებული დებულებებისა, იმ პირთა მიმართ, რომელთა თავისუფლება შეიზღუდა შეიარაღებული კონფლიქტის გამო, დამოუკიდებლად იმისაგან, ინტერნირებულნი არიან ისინი თუ დაკავებულნი, დაცულ უნდა იქნეს, როგორც მინიმუმ, შემდეგი დებულებანი:

a) დაჭრილები და ავადმყოფები სარგებლობენ მეშვიდე მუხლში მითითებული დებულებებით განსაზღვრული მოპყრობით;

b) ამ პუნქტში მითითებული პირნი, ისე როგორც ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობა, მარაგდება სურსათით და სასმელი წყლით, უზრუნველყოფილი აქვთ პირობები ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ჰიგიენის დასაცავად, დაცულნი არიან მკაცრი კლიმატური პირობებისაგან და შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროებისაგან;

c) მათ ნებადართული აქვთ მიიღონ დახმარება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად;

d) მათ ნებადართული აქვთ აღასრულონ თავიანთი რელიგიური ადათები და სათანადო თხოვნის დროს, შესაძლებლობების მიხედვით, მიიღონ სულიერი დახმარება სასულიერო პირთაგან, რომელნიც ასრულებენ რელიგიურ ფუნქციებს;

e) სამუშაოს დაწყების შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფილი არიან იმგვარივე შრომის პირობებით და დაცვით, როგორითაც ადგილობრივი მოსახლეობა.

2. ისინი, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა პირველ მუხლში მითითებულ პირების ინტერნირების ან დაკავების გამო, შესაძლებლობათა ფარგლებში იცავენ შემდეგ დებულებებს მითითებულ პირთა მიმართ:

a) ერთად თავსდება მხოლოდ ერთი ოჯახის წევრი ქალები და მამაკაცები, სხვა შემთხვევებში ქალები და მამაკაცები იმყოფებიან ცალ-ცალკე შენობებში და ქალები არიან ქალთა უშუალო ზედამხედველობის ქვეშ;

b) მათ ნებადართული აქვთ გაგზავნონ ან მიიღონ წერილები და საფოსტო ბარათები, რომელთა რაოდენობა შეიძლება შეზღუდული იქნეს კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, თუ ისინი ამას აუცილებლად ჩათვლიან;

c) ინტერნირებული და დაკავებული პირების შეკრების ადგილები არ უნდა იმყოფებოდეს საომარ მოქმედებათა ზონების ახლოს; პირველ პუნქტში მითითებულ პირთა ევაკუაცია უნდა მოხდეს, თუ მათი ინტერნირების ან დაკავების ადგილები იმყოფება შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად პირდაპირი საშიშროების ქვეშ. ევაკუაცია უნდა მოხდეს საკმარისად უსაფრთხო პირობებში.

d) ისინი სარგებლობენ სამედიცინო მომსახურების უფლებით;

e) მათი ჯანმრთელობის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობისადმი და ხელშეუხებლობისადმი აკრძალულია ყოველგვარი ზარალის მიყენება რაიმე გაუმართლებელი მოქმედებით ან გაუთვალისწინებლობით. შესაბამისად იკრძალება მოცემულ მუხლში მითითებულ პირთ ჩაუტარდეთ ისეთი სა-

მედიცინო პროცედურები, რომელთაც არ ითხოვს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და რომლებიც არ შეესაბამება საყოველთაოდ მიღებულ სამედიცინო ნორმებს, მიღებულთ თავისუფალ პირთა მიმართ სამედიცინო თვალსაზრისით ანალოგიურ შემთხვევებში.

3. პირნი, როლებზეც არ ვრცელდება პირველი პუნქტის დებულებანი, მაგრამ რომელთა თავისუფლება იზღუდება შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებული შიზნებით, სარგებლობენ ჰუმანური მოპყრობით მეოთხე მუხლის და მოცემული მუხლის 1 ა) c) d) და 2 ბ) ქვეპუნქტების შესაბამისად.

4. თუ შიღება გადაწყვეტილება თავისუფლებაზე კვეთილ პირთა გათავისუფლების შესახებ, ის, ვინც ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს ვალდებულია მიიღოს ღონისძიებანი ამ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 6. სისხლის სამართლის წესით დევნა

1. მოცემული მუხლი გამოიყენება შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებული სასამართლოს წესით დევნისას და სისხლის სამართლის დამნაშავეთა დასჯისათვის.

2. სამართალდარღვევების ჩამდენ პირთა მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა და სასჯელის განსაზღვრა ხდება მხოლოდ იმ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებლობის და მიუმხრობლობის ძირითად გარანტიებს. კერძოდ:

ა) პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს ბრალდებულის დაუყოვნებლივ ინფორმირებას დანაშაულის დეტალების შესახებ, რომლებიც მას ბრალად ედება; ბრალდებული სასამართლომდე და სასამართლოს დროს უნდა სარგებლობდეს დაცვის ყველა არსებული უფლებით და საშუალებით;

ბ) სამართალდარღვევისათვის პიროვნების გასამართლება შეიძლება მხოლოდ პირადი სასამართლო პასუხისმგებლობის საფუძველზე;

გ) არც ერთი პირი არ შეიძლება დამნაშავედ იქნეს ცნობილი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, თუ ჩადენილი მოქმედება ჩადენის მომენტში არ ითვლებოდა დანაშაულად კანონის თანახმად. შეუძლებელია უფრო მაკარი სასჯელის დადება, ვიდრე იმისა, რომელიც გათვალისწინებულია მოცემული სისხლის სამართლის კანონმდებლობით; გარდა ამისა, თუ მოგვიანებით მიღებული იქნება უფრო მსუბუქი ფორმის სასჯელი, იგი ვრცელდება მოცემულ სამართალდარღვევაზეც;

დ) ყოველი პირი, რომელსაც წარდგენილი აქვს ბრალდება სამართალდარღვევაში, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი დანაშაული დადგენილი არ იქნება კანონის საფუძველზე;

ე) ყოველ პირს, რომელსაც წარდგენილი აქვს ბრალდება, შეუძლია დაესწროს მისი საქმის სასამართლოს წესით გარჩევას;

ვ) არც ერთ პირს ძალა არ უნდა დაატანონ ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ან ალიაროს საკუთარი თავი დამნაშავედ.

3. ბრალდების გამოტანისას გასამართლებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება სასამართლო ან სხვა წესით; ასევე ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც მას შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება.

4. სასიკვდილო განაჩენი არ გამოაქვთ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის დროს არ მიუღწევიათ 18 წლისათვის და არ მოიყვანება სის-

რულეში ორსული ქალების და მცირეწლოვანი ბავშვების პატრონი დედების მიმართ.

5. საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ ხელისუფლების ორგანოები ცდილობენ რაც შეიძლება ფართო ამნისტია მიანიჭონ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე პირებს და პირებს, რომლებსაც აღეკვეთათ თავისუფლება შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზით, დამოუკიდებლად იმისაგან, იყვნენ ისინი ინტერნირებულნი თუ დაკავებულნი.

ნაწილი III

დაპირილება, ავადმყოფები და პირნი, რომლებიც გემის კატასტროფაში მოხვედნენ

მუხლი 7. დაცვა და მოვლა

1. ყველა დაჭრილი, ავადმყოფი და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირი, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა საომარ მოქმედებებში, სარგებლობს პატივისცემით და დაცვით.

2. ნებისმიერ გარემოებებში მათ ეპყრობიან ჰუმანურად და მაქსიმალურად შესაძლო უმოკლეს დროში უზრუნველყოფენ მათი მდგომარეობის შესატყვისი დაცვით და მოვლით. მათ შორის არავითარ განსხვავებას არა აქვს ადგილი გარდა სამედიცინო მომსახურების საფუძველზე გაკეთებული განსხვავებისა.

მუხლი 8. ძებნა

ყოველ შემთხვევაში, როცა ამის შესაძლებლობა არსებობს, განსაკუთრებით კი ბრძოლის შემდგომ, მიღებულ უნდა იქნეს ყველა შესაძლო ზომა, რათა მოიძებნოს და მოიკრიფოს დაჭრილები, ავადმყოფები, გემის კატასტროფაში მოყოლილი პირნი; ისინი დაცულ უნდა იქნენ გაძარცვისა და ცუდად მოპყრობისაგან; უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მათი მოვლა; უნდა მოიძებნოს გარდაცვლილები და აღიკვეთოს მათი გაძარცვა; მიღებულ უნდა იქნეს ზონები სათანადო წესების დაცვით დაკრძალვისათვის.

მუხლი 9. სამედიცინო და სასულიერო პერსონალის დაცვა


1. სამედიცინო და სასულიერო პერსონალი სარგებლობს პატივისცემით და დაცვით და მას ყოველმხრივ ეხმარებიან მოვალეობათა აღსრულებაში. პერსონალი ძალდატანებით არ უნდა აიძულონ შეასრულოს მის ჰუმანურ მისიასთან შეუსაბამო მოქმედებანი.

2. შეუძლებელია სამედიცინო პერსონალს მოსთხოვონ უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე პირს არასამედიცინო მოსაზრებების საფუძველზე.

მუხლი 10. სამედიცინო ფუნქციების აღმსრულებელ პირთა საერთო დაცვა

1. არც ერთ გარემოებაში არ შეიძლება რომელიმე პირის დასჯა მის მიერ სამედიცინო ეთიკის შესაბამისი სამედიცინო ფუნქციების შესრულებისათვის, დამოუკიდებლად იმისაგან, რომელი პირის ინტერესებისათვის ხდება ამ ფუნქციათა შესრულება.

2. პირნი, რომლებიც ასრულებენ სამედიცინო ფუნქციებს, ძალდატანებით არ უნდა ასრულებდნენ სამუშაოს, რომელიც არღვევს სამედიცინო ეთიკის პრინციპებს, დაჭრილთა და ავადმყოფთა ინტერესების დასაცავად არსებულ ნორმებს, მოცემული ოქმის დებულებებს, ამას გარდა, მათ თავი არ უნდა აარი-



დონ იმ მოქმედებათა შესრულებას, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემული ნორმებით და დებულებებით.

3. მოცემული ეროვნული კანონმდებლობის თანახმად პატივი უნდა ეცეს სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელ პირთა პროფესიულ ვალდებულებებს მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი დაჭრილების და ავადმყოფების შესახებ ინფორმაციის მიღების სფეროში.

4. ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, არც ერთი პირი, რომელიც ასრულებს სამედიცინო ფუნქციებს, არ უნდა დასაჯონ უარისათვის გასცეს ინფორმაცია მისი მზრუნველობის ქვეშ ამჟამად მყოფი ან უკვე ნამყოფი დაჭრილის ან ავადმყოფის შესახებ.

მუხლი 11. სამედიცინო ფორმირებათა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებათა დაცვა

1. სამედიცინო ფორმირებანი და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებათა მომსახურე პერსონალი ყოველ დროს სარგებლობს პატივისცემით და დაცვით და არ შეიძლება მათზე თავდასხმა.

2. მზრუნველობა, რომლითაც სარგებლობს სამედიცინო ფორმირებანი და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებათა მომსახურე პერსონალი წყდება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოიყენება მტრული მოქმედებებისათვის და ცდება ჰუმანიტარულ ფუნქციათა ფარგლებს. მაგრამ მზრუნველობა შეწყდება მხოლოდ გაფრთხილების შემდგომ, მოცემული ვადის გასვლის შემდეგ, თუ გაფრთხილებამ შედეგი არ მოიტანა.

მუხლი 12. განმასხვავებელი ემბლემა

უესაბამისი კომპეტენტური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ ნებადართულია, სამედიცინო ან სასულიერო პერსონალმა, სამედიცინო ფორმირებებმა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებმა ატარონ და თვალსაჩინო ადგილზე მოათავსონ წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის ემბლემები. ისინი სარგებლობენ პატივისცემით ნებისმიერ პირობებში. ემბლემები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

ნაწილი IV

სამოქალაქო მოსახლეობა

მუხლი 13. სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა

1. სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული მოქალაქეები სარგებლობენ დაცვით საომარ ოპერაციებთან დაკავშირებული საფრთხისაგან, ამ დაცვის ჯანხორციელების მიზნით ნებისმიერ პირობებში სრულდება შემდეგი ნორმები.

2. სამოქალაქო მოსახლეობა, ასევე ცალკეული მოქალაქე, არ უნდა იქცეს თავდასხმის ობიექტად. იკრძალება ძალადობის აქტების ჩადენა ან ძალადობის მუქარა, რომლის მიზანია სამოქალაქო მოსახლეობის ტერორიზება.

3. სამოქალაქო პირნი სარგებლობენ ამ ნაწილში აღნიშნული დაცვით იმ დროის მანძილზე, სანამ ისინი უშუალო მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებებში.

მუხლი 14. სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვა

იკრძალება სამოქალაქო მოსახლეობის დამშვევა საომარი მოქმედებების წარმართვის მიზნით. ამიტომ, იკრძალება მოსახლეობისათვის აუცილებელ ობიექტებზე თავდასხმა, მათი განადგურება, სხვა ადგილზე გადატანა და გაფუჭება. ეს ეხება სასურსათო პროდუქციის მარაგს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ რაიონებს, ნათესებს, საქონელს, სასმელი წყლით მომარაგებისათვის საჭირო ნაგებობებს, სასმელი წყლის მარაგს, საირიგაციო ნაგებობებს.

მუხლი 15. სახიფათო ძალის შემცველი ნაგებობების და დანადგარების დაცვა

სახიფათო ძალების შემცველი დანადგარები და ნაგებობები — კაშხალები, დამბები, ატომური ელექტროსადგურები — არ უნდა გახდეს თავდასხმის ობიექტები, თუნდაც საომარ ობიექტებს წარმოადგენდნენ, თუკი მათზე თავდასხმა გამოიწვევს დიდძალ მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში.

მუხლი 16. კულტურის საგანძურის და კულტმსახურების ადგილების დაცვა
ისე, რომ არ დაზარალდეს 1954 წლის 14 მაისის შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული საგანძურის დაცვის შესახებ ჰააგის კონვენციის გამოყენება, იკრძალება რაიმე მტრული აქტების ჩადენა იმ ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან კულტმსახურების ადგილების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხთა კულტურულ და სულიერ მემკვიდრეობას წარმოადგენს, იკრძალება მათი გამოყენება საომარი საჭიროებისათვის.

მუხლი 17. სამოქალაქო პირთა იძულებით გადაადგილების აკრძალვა

1. არ უნდა გაიცეს ბრძანება სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით გაყვანის შესახებ, თუ ამის აუცილებლობას არ კარნახობს სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა ან საომარი მიზეზები. ასეთ გადაყვანათა განხორციელებისას მიღებულია ყველა აუცილებელი ზომა, რათა სამოქალაქო მოსახლეობა მიღებულ იქნეს დამაკმაყოფილებელ პირობებში თავშესაფრის, ჰიგიენის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების, კვების თვალსაზრისით.

2. სამოქალაქო პირნი არ უნდა აიძულონ დატოვონ ტერიტორია შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზით.

მუხლი 18. დამხმარე საზოგადოებები და დახმარების გასაწევი ოპერაციები.

1. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარის ტერიტორიაზე არსებულ დამხმარე საზოგადოებებს — წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომის და მზის, შეუძლიათ შესთავაზონ თავიანთი დახმარება და აღასრულონ მათზე დაკისრებული ტრადიციული ფუნქციები შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დასაცავად. სამოქალაქო მოსახლეობას შეუძლია თავისი ინიციატივით მოკრიფოს დაჭრილები, ავადმყოფები, გემის კატასტროფაში მოყოლილი პირნი და მოუაროს მათ.

2. თუ სამოქალაქო მოსახლეობა განიცდის არსებობისათვის აუცილებელი მარაგის — პროდუქტის, სამედიცინო საშუალებების დიდ უკმარისობას, დაინტერესებული, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარის მონაწილეობით ტარდება ოპერაცია მოსახლეობის დასახმარებლად, რასაც ჰუმანიტარული, მიუმხრობელი ხასიათი აქვს და ტარდება ყოველგვარი არახელსაყრელი გარემოების საფუძველზე განსხვავების გარეშე.

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 19. გავრცელება

მოცემული ოქმი უნდა გავრცელდეს რაც შეიძლება ფართოდ.

მუხლი 20. ხელმოწერა

მოცემული ოქმი ხელმოწერისათვის ღიაა კონვენციის მონაწილეთათვის საბოლოო აქტის ხელმოწერიდან ექვსი თვის შემდეგ და ღიად დარჩება 12 თვის განმავლობაში.

მუხლი 21. რატიფიცირება

მოცემული ოქმის რატიფიცირება უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე. სა-რატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა შვეიცარიის ფედერალურ საბ-ქოს, კონვენციის დებოზიტარს.

მუხლი 22. მიმხრობა

მოცემული ოქმი მიმხრობისათვის ღიაა კონვენციის ნებისმიერი მონაწილი-სათვის, რომელმაც ხელი არ მოაწერა მას. დოკუმენტები მიმხრობის შესახებ შესანახად გადაეცემა კონვენციის დებოზიტარს.

მუხლი 23. ძალაში შესვლა

1. მოცემული ოქმი ძალაში შედის ორი სარატიფიკაციო სიგელის ან მიმ-ხრობის შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან 6 თვის შემდეგ.

2. კონვენციის ყოველი მონაწილისათვის, რომელმაც მოახდინა ოქმის რა-ტიფიცირება ან მიემხრო მას, იგი ძალაში შედის მოცემული მონაწილის სარა-ტიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცე-მიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 24. შესწორება

1. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ მხარეს შეუძლია ოქმში შესწორების შეტანა, ნებისმიერი შემოთავაზებული შესწორების ტექსტი ეგზავნება დებო-ზიტარს, რომელიც მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარესთან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან კონსულტაციების შემდგომ გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა კონფერენციის მოწვევა შემოთავაზებული შესწორების გან-სახილველად.

1. დებოზიტარი ამ კონფერენციაზე იწვევს მოლაპარაკებაში მონაწილე ყვე-ლა მხარეს, აგრეთვე კონვენციის მონაწილეებს დამოუკიდებლად იმისაგან, მო-აწერეს თუ არა ხელი ოქმს.

მუხლი 25. დენონსაცია

1. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარის მიერ ოქმის დენონსაციის შემთხვე-ვაში დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის შესახებ დოკუმენტის მიღებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. მაგრამ, თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ქვე-ყანა აღმოჩნდა 1 მუხლში მითითებულ მდგომარეობაში, დენონსაციას ძალა არა აქვს კონფლიქტის დამთავრებამდე. პირნი, რომელთაც აღკვეთილი ან შეზღუ-დული აქვთ თავისუფლება მოცემულ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზე-ბის გამო, ამის მიუხედავად სარგებლობენ ამ ოქმის დებულებებით გათვალის-წინებული მფარველობით მათ საბოლოო გათავისუფლებამდე.

2. შეტყობინება დენონსაციის შესახებ წერილობითი ფორმით ეგზავნება დებოზიტარს, რომელიც აცნობს მას მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარეს.

მუხლი 26. შეტყობინება

დებოზიტარი ატყობინებს მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარეს, ასევე უკვე კონფლიქტის მონაწილეებს, მიუხედავად იმისა, მოაწერეს თუ არა მათხელმოწერილი მოცემულ ოქმს:

a) მოცემულ ოქმზე ხელმომწერთა შესახებ; ასევე 21-ე და 22-ე მუხლების თანახმად შესანახად გადაცემული სარატიფიკაციო სიგელების და მიმხრობის დოკუმენტების შესახებ;

b) 23-ე მუხლის თანახმად მოცემული ოქმის ძალაში შესვლის შესახებ;

c) 24-ე მუხლის თანახმად მიღებული შეტყობინებების და განცხადებების შესახებ.

მუხლი 27. რეგისტრაცია


1. მოცემულ ოქმს ძალაში შესვლის შემდეგ დებოზიტარი უგზავნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს რეგისტრაციისათვის და გამოქვეყნებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის თანახმად.

2. დებოზიტარი აცნობებს გაეროს სამდივნოს მის მიერ მოცემული ოქმის გამო მიღებული ყოველი სარატიფიკაციო სიგელის და მიმხრობის დოკუმენტის მიღების შესახებ.

მუხლი 28. ავთენტური ტექსტები

მოცემული ოქმის დედანი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტურია, შესანახად გადაეცემა დებოზიტარს, რომელიც დამოწმებულ ასლებს უგზავნის კონვენციის ყველა მონაწილეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი A 82/114. დამატება II.



საინჟინარო შტაბიანი

გერმანია—სამართალი და კონსტიტუცია

1. **საფუძვლები.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართლებრივი და კონსტიტუციური წყობის უმნიშვნელოვანესი საფუძვლები გამოხატულებას პოულობს ძირითადი კანონის 1-ლი მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებში, რომლის მიხედვითაც ადამიანთა ღირსება ხელშეუხებელია და იგი გათვალისწინებული და დაცული უნდა იქნეს. ამით ძირითადი კანონი შეგნებულად ემიჯნება ადამიანთა ყოველგვარი სახის იდეოლოგიურად დასაბუთებულ დისკრიმინაციას. ყოველ ადამიანს აქვს თანაბარი ღირსება, თანაბარი თავისუფლება და თანაბარი სუბიექტობა, რაც წარმოჩენილი და განვითარებულია სამართლებრივი და კონსტიტუციური წყობის ყველა ურთიერთობებასა და გარემოებებში: სახელმწიფოს ფედერალურ წყობაში, სახელმწიფოსა და ნიდვიდს შორის ძირითადი უფლებებით წარმართულ ურთიერთობებში, ინდივიდებს შორის არსებულ ურთიერთობებში, რომლებიც დაფუძნებულია ურთიერთთანასწორობასა და თავისუფლებებზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1949 წლის 23 მაისის „ძირითადი კანონის“ (Grundgesetz) მიხედვით, შეიქმნა გერმანიის იმპერიის სამი დასავლური საოკუპაციო ზონისა და დასავლეთ ბერლინის ტერიტორიაზე. იგი მუდამ გაიგებოდა როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი სახელმწიფო და არ იყო 1867-71 წლებში დაარსებული გერმანიის იმპერიის იდენტური მაშინაც კი, როცა მისი კონსტიტუციური და სამართლებრივი წყობის მოქმედება აღნიშნულ ტერიტორიაზე შემოსაზღვრული იყო დღევანდელი მიწებით: ბადენ-ვურტენბერგი, ბაიერნი, ბერლინი, ბრემენი, ჰამბურგი, ზაარლანდი, შლეზვიგ-გოლშტეინი (23-ე მუხლი). გერმანიის იმპერიის ტერიტორიაზე არსებული, ასევე 1949 წელს წარმოშობილი მეორე გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ძირითადი კანონის 23-ე მუხლის თანახმად, 1990 წლის 3 ოქტომბერს მიწებით: მეკლენბურგ-ფორპომერნი, საქსონია, საქსონია-ანჰალტი, ტიურინგენი და ბერლინის აღმოსავლეთი ნაწილი — შეუერთდა გფრ-ს. უფრო ადრე, 1990 წლის 31 აგვისტოს ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის დაიდო „გერმანიის აღდგენისა და ერთიანობის ხელშეკრულება“, ე. წ. გამაერთიანებელი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გფრ-ს ძირითადმა კანონმა მოქმედების ძალა შეიძინა შემოერთებულ ტერიტორიაზე. ამით აღსრულდა ორი გერმანული სახელმწიფოს კვლავ გაერთიანების კონსტიტუციური მოთხოვნა. ამასთან, გერმანიის სხვა ტერიტორიები, რომლებიც შეიძლება შეერთებულ იქნას ძირითადი

* **მაინარდ შტაიგერი** — გისენის უნივერსიტეტის პროფესორი. წერილი დაწერილია საქციალურად ჩვენი ჟურნალისათვის. რედაქცია მადლობას უხდის ცნობილ გერმანელ მეცნიერს ქართულ იურიდიულ ჟურნალთა თანამშრომლობისათვის და იმედოვნებს ამ რუბრიკით მისი წერილები მომავალშიც გამოაქვეყნოს. (რედაქტორი).

თადი კანონის ზემოაღნიშნული მუხლის მიხედვით, აღარ არსებობს, ვინაიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთს შორის 1990 წლის 14 ნოემბერს დადებული ხელშეკრულებით, გერმანიის იმპერიის ტერიტორიები, ე. წ. ოდერ-ნაისეს ხაზი საბოლოოდ შეუერთდა პოლონეთის რესპუბლიკას საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით. გამაერთიანებელი ხელშეკრულებით ფედერალური სამართლებრივი წყობა მთლიანად გავრცელდა ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე. მაგრამ თავისი შინაარსით ამ ტერიტორიაზე თავს იჩენს თავისებურებათა, აგრეთვე, ძველი მოქმედი სამართლისა და ზოგიერთი ახალი კანონის მრავალფეროვნება.

გფრ არის თავისუფალი, ფედერაციულ-დემოკრატიული, სოციალური, სამართლებრივი, ფედერალურად მოწყობილი კონსტიტუციური სახელმწიფო. სახელმწიფოებრივი მოწყობის, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის, ადამიანებს შორის პიროვნული ურთიერთობის, ან სამართლის სხვა სუბიექტების ურთიერთობის წამყვანი საფუძვლები ძირითადი კანონის 1-ლი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოხატულია სახელმწიფო ხელისუფლების ყველა მოვალეობაში, გაითვალისწინონ და დაიცვან ადამიანთა ხელშეუხებელი ღირსება. ამას გარდა გფრ-ში იურიდიული ძალა გააჩნია და უშუალოდ მოქმედებს ევროპული თანამეგობრობის (EG) ზესახელმწიფოებრივი ნორმები. ამასთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არის გაერო-ს წევრი, რომლის სპეციალური ორგანიზაციები და ევროპული ორგანიზაციების უმეტესობა საერთაშორისო კოოპერაციის მჭიდრო ქსელშია ჩართული; გფრ-ს და გდრ-ს და ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს მიერ 1990 წლის 12 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით, აღნიშნული სამართლის ნორმებმა მთლიანად შეინარჩუნეს ძალა გერმანიის მიმართ. საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების 1-ლი მუხლი ადგენს გერმანიის სახელმწიფო საზღვრებს გფრ-ისა და გდრ-ის ფარგლებში. ასე რომ, ჩრდილო-აღმოსავლეთ პრუსია საბოლოოდ დარჩა სსრკ-ს კუთვნილებაში.

2. სამართლებრივი წყობის ელემენტები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართლებრივი და კონსტიტუციური წყობა, მოიცავს სამართლის მრავალ დარგს. ეყრდნობა რა გერმანიის მკაცრად გამოხატულ დაყოფას ფედერაციად, მიწებად და თვითმმართველობის ორგანოებად, უპირველესად კი თემებად, რომლებსაც საკუთარი სამართლებრივი კომპეტენცია გააჩნიათ, შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი შედგება როგორც ფედერალური სამართლისაგან, ასევე მიწებისა და თვითმმართველობის ორგანოების სამართლისაგან, განსაკუთრებით თემების საწესდებო სამართლისაგან. ძირითადი კანონის 31-ე მუხლის მიხედვით აღიარებულია ფედერალური სამართლის პრიმატი მიწების სამართალთან შედარებით, ხოლო 28-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი — ამ ორივე სამართლის პრიმატი თვითმმართველობის ორგანოების სამართალთან, რომლებზეც დომინირებენ ისინი.

გფრ არის ევროპული თანამეგობრობის წევრი, რომელსაც გააჩნია საკუთარი ავტონომიური სამართლებრივი წყობა; ძირითადი კანონის 24-ე მუხლისა და ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის (EWG) ხელშეკრულების 189-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული ხელშეკრულების ნორმები უშუალოდ ვრცელდება გფრ-ში, გერმანულ სამართალთან შედარებით მას აქვს უპირატესი გამოყენება, თუმცა, იგი არც აუქმებს და არც დომინირებს მასთან

წინააღმდეგობაში მოსულ გერმანულ სამართალზე. ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი უბრალოდ არ გამოიყენება. გარდა ამისა, გერმანიაში უშუალოდ მოქმედებს საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომელსაც გერმანულმა სახელმწიფოებრივმა წყობამ შეუქმნა გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები. ძირითადი კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, საერთაშორისო სამართალი თავისი გამოყენების თვალსაზრისით წინ უსწრებს გერმანულ ნორმატიულ სამართალს და მოგვიანებით მიღებულ კანონებსაც. ეს უკანასკნელი კი, პირიქით, წინ უსწრებენ საერთაშორისო სახელმწიფოებრივ სამართალს.

შინაარსობრივად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართლებრივი წყობა მკაცრად არის დიფერენცირებული. ამ დიფერენციაციას შესაბამისად მუდმივ აჩქარებაში მოჰყავს თავისთავად ისედაც დაჩქარებული საზოგადოებრივი დიფერენციაცია, რათა ფეხდაფეხ მიჰყვეს საზოგადოების რეგულირების მზარდ საჭიროებას. გერმანული სამართალი იყოფა საჯარო და კერძო სამართლად. საჯარო სამართალი არის სპეციალური სამართალი, რომელიც არეგულირებს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების უფლებებსა და მოვალეობებს. რომლებიც წარმოიშობა როგორც ერთმანეთთან ურთიერთობაში, ასევე სამართლის სხვა სუბიექტთან ურთიერთობაში. კერძო სამართალი არის საზოგადო სამართალი, რომელიც არეგულირებს, სამართლის ყველა სუბიექტის სახელმწიფოებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. ამ ორივე სამართლის შიგნით არსებობს შემდგომი დიფერენციაცია, რაც კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მათ: საჯარო სამართალი, პირველ რიგში, მოიცავს კონსტიტუციურ, ადმინისტრაციულ, სისხლის, სოციალური დაზღვევის სამართალს. ადმინისტრაციული სამართალი კი თავის მხრივ იყოფა უწინარესად უშიშროებისა და წესრიგის სამართლად, განათლების, მეურნეობის მართვის, გარემომცველი პირობების, მშენებლობის სამართლად და ა. შ. კერძო სამართალმა, ასევე სამართლის ზოგიერთმა სხვა დარგმაც სამოქალაქო ზოგადი სამართლიდან განავითარეს სავაჭრო, შრომის, საწარმოო, სამეურნეო სამართალი. მრავალი დარგობრივი პრობლემის სამართლებრივი გადაწყვეტით საჯარო (კერძოდ კი, ადმინისტრაციული სამართალი) და კერძო სამართალი ყოვლისმომცველად აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს როგორც ერთმანეთთან ურთიერთობაში, ისე ერთობლივი მოქმედებებით.

8. სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მოიცავს სამ ზოგად დონეს: 1. ფედერაცია, როგორც მთლიანი სახელმწიფო; 2. სახელმწიფოს ნიშნებით აღჭურვილი 16 მიწა — ბადენ-ვურტენბერგი, ბაიერნი, ბერლინი, ბრანდენბურგი, ბრემენი, ჰამბურგი, ჰესენი, მეკლენბურგ-ფორპომერნი, ნიდერსაქსონია, ნორდჰაინ-ვესტფალენი, რაინლანდ-ჰვალცი, ზაარლანდი, საქსონია, საქსონია-ანჰალტი, შლეზვიგ-გოლშტეინი, ტიურინგენი; 3. თვითმმართველობით აღჭურვილი თემები, რომლებიც თავის მხრივ ქმნიან თემთა კავშირებს. გარდა ამისა, არსებობენ ფედერაციის, მიწებისა და თემების საზოგადოებრივ სამართლებრივი გაერთიანებანი და დაწესებულებანი, რომლებიც ნაწილობრივ სარგებლობენ თვითმმართველობის უფლებებით. თავის მხრივ, მიწები დაყოფილია ადმინისტრაციულ ოლქებად. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირება

ასახულია, ერთის მხრივ, გვრ-ის 1949 წლის 23 მაისის ძირითად კანონში, გა-
მართიანებელ ხელშეკრულებაში, მიწების კონსტიტუციებში; მეორეს მხრივ,
ფედერალურ კანონებში — ფედერაციისათვის, ხოლო მიწების კანონებში —
მიწებისა და თემებისათვის.

ძირითადი კანონით გერმანიის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია კონს-
ტიტუციურად გაფორმებულ ხუთ ძირითად მომენტშია გამოხატული: რეს-
პუბლიკა, დემოკრატია, პარლამენტარიზმი, თემებად დაყოფა, ფედერალური
სახელმწიფოებრიობა. ფედერაციის მიმართ ეს მომენტები ასახულია ძირითა-
დი კანონის მე-20 მუხლში, ხოლო მიწების მიმართ — 28-ე მუხლში.

რესპუბლიკა თავდაპირველად შეიძლება ისე იქნეს გაგებული, როგორც
მონარქიისადმი დაპირისპირებული სამართლებრივი წყობა, ვინაიდან არსე-
ბობს არა მთელი ცხოვრების მანძილზე მემკვიდრეობით დანიშნული სახელმწი-
ფო მეთაური, არამედ ფედერალური კრების მიერ ხუთი წლის ვადით არჩე-
ული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი. იგი ახალი ვა-
დით ერთხელ კიდევ შეიძლება იქნეს არჩეული. პრეზიდენტის დამოუკიდებ-
ლად მოქმედების პოლიტიკური უფლებამოსილება შეზღუდულია, რაც შემ-
დეგში გამოიხატება: ის, მართალია, ადგენს და აქვეყნებს კანონებს, მაგრამ
მათ შინაარსზე არა აქვს არავითარი ზეგავლენა, მართალია, თანამდებობაზე
ნიშნავს ფედერალური რესპუბლიკის კანცლერს, მინისტრებს, მოხელეებს და
ოფიცრებს, მაგრამ არა აქვს მათი შერჩევის უფლება; მართალია, დებს საერ-
თაშორისო სამართლებრივ ხელშეკრულებებს, მაგრამ მათ შინაარსობრივად
გაფორმებაში საერთოდ არ მონაწილეობს, თუმცა, პრეზიდენტი მოქმედებს
თავისი პიროვნებიდან გამომდინარე. მისი მოქმედების საშუალებებია: წარ-
მომადგენლობა და სიტყვა, რომლებითაც გამოხატავს თავის შეხედულებებს,
წარმოდგენებს, მისწრაფებებს, თუმცა ერთგვარი თავშეკავებულობითა და
შეძლებისდაგვარად პარტიული მიკერძოების გარეშე. რესპუბლიკაში იგულის-
ხმება როგორც თავისთვის, ისე საზოგადოებისათვის პასუხისმგებელ თავი-
სუფალ მოქალაქეთა სახელმწიფო, რომლებიც თვითონ ქმნიან აღნიშნულ სა-
ზოგადოებას, ემსახურებიან მას და მოქმედებენ მისთვის, აქედან გამომდინარე,
რესპუბლიკას ერთგვარი შეხება აქვს დემოკრატიათან.

დემოკრატიას ცნებით გამოხატულია იმ ბატონობის მატარებელი ნიშანი,
რომელიც გამომდინარეობს ხალხისაგან, როგორც ძირითადი კანონის მე-20
მუხლის მეორე ნაწილშია აღნიშნული, მთელი სახელმწიფო ხელისუფლება
ხალხისაგან გამომდინარეობს, ხალხისაგანაა დაკანონებული. ხალხის ნება, წარ-
მოდგენები, უფლებები ასახულია სახელმწიფო ხელისუფლების ყველა აქტში.
ეს არ ხდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ უშუალოდ, არამედ არჩეული
სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს — გერმანიის ბუნდესტაგის მეშ-
ვეობით. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს „საყოველთაო კენჭისყრასა“,
მაგრამ 29-ე მუხლი ითვალისწინებს მის მოწყობას მხოლოდ მიწების რეორ-
განიზაციის საკითხის გადაწყვეტისათვის.

ბუნდესტაგის არჩევნები ეწყობა პარტიების მეშვეობით. პარტიები
ადგენენ პროგრამებს, წარადგენენ კანდიდატებს, რომლებმაც ეს პროგრამები
უნდა განახორციელონ. როგორც ძირითადი კანონის 21-ე მუხლშია აღნიშ-
ნული, პარტიები მონაწილეობას იღებენ „ხალხის პოლიტიკური ნების ფორ-
მირებაში“. ამის გამო პარტიები გერმანული კონსტიტუციის ისტორიაში
მიჩნეულია უპირველესად როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი ნების



ფორმირებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში „ფუნქციის მატარებელი“ ორგანოები. პარტიები არაა სახელმწიფო ორგანოები, მაგრამ ასრულებს შუამავლის როლს ხალხსა და სახელმწიფოს შორის, რომლებშიც მათი წევრები იკავებენ ადგილებს. სინამდვილეში, პარტიები, ლეგიტიმირებულია რა არჩევნების მეშვეობით, თვითონ გამოდიან ყველგან პოლიტიკური ნების ფორმირების და სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მატარებელნი, მაგრამ ამავე დროს ხალხის ქვემდებარებაშია გადასული, ანუ მედიატივებული. ვინაიდან ხალხს არა აქვს საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების უფლება, მას რჩება მხოლოდ თავისი ძირითადი უფლებების გამოყენებით, უპირველესად კი, აზრის გამოთქმის, კრებებისა და გაერთიანებების თავისუფლებების გამოყენებით, არაპირდაპირი ზემოქმედება მოახდინოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე. თავისი აქტიურობით ხალხი გამოხატავს თავის აზრებს, სურვილებს და გავლენას ახდენს პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე, მიუხედავად ამისა, არ არის გარანტია, რომ მათი აზრები და სურვილები იქნება მოსმენილი ან გათვალისწინებული. გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ზემოქმედების მოხდენის სხვა არაპირდაპირი გზებია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, რომლებსაც ხშირად არა აქვს მნიშვნელოვანი გავლენა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოზე. ამრიგად, გადაწყვეტილების მიღების პროცესები მიმდინარეობს სახელმწიფო ორგანოების გარეთ მდომი საზოგადოებრივი ძალების მრავალმხრივი ზემოქმედებით.

გფრ-ში დემოკრატიამ ასახვა ჰპოვა **საპარლამენტო-წარმომადგენლობით** ფორმაში. ძირითადი კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ბუნდესტაგი არჩეულია გერმანიის მოქალაქეთა მიერ თანაბარი, თავისუფალი, საყოველთაო, პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, შერეული, მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოქალაქეები იძენენ 18 წლის ასაკიდან. ბუნდესტაგის კომპეტენციაში შედის, უპირველეს ყოვლისა, ფედერალური კანცლერის შერჩევა, ფედერალური მთავრობის კონტროლი, საკანონმდებლო საქმიანობა, ბიუჯეტის ოდენობის განსაზღვრა, საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებების მოწონება. ამას გარდა, იგი განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს ყველა შიდა და გარეპოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, ახდენს რა მათზე სამართლებრივად არასავალდებულო, მაგრამ პოლიტიკურად მნიშვნელოვან ზეგავლენას.

ბუნდესტაგის მიერ გფრ-ის ფედერალური კანცლერის არჩევას აკანონებს ფედერალური მთავრობა. კანცლერის კანდიდატურებს წარადგენს ორივე დიდი პარტია — ქრისტიანული კავშირი (CDU) და გერმანიის სოციალური პარტია (SPD). კანცლერის შეცვლა საკანონმდებლო პერიოდის განმავლობაში შეიძლება მოეწყოს ძირითადი კანონის 67-ე მუხლის მიხედვით. კანცლერის არჩევნები ლეგალურად ტარდება, მაგრამ საკითხი პოლიტიკურად მაინც დიდად რჩება. მინისტრებს, მართალია, ფორმალურად წარადგენს ფედერალური კანცლერი, მაგრამ ფედერალური მთავრობის შედგენა ხდება მაინც კოალიციური პარტიების მიერ ურთიერთდათმობით. ფედერალური მთავრობის კომპეტენცია უპირატესად გამოიხატება სახელმწიფო პოლიტიკის ხელმძღვანელობასა და წარმართვაში, განსაკუთრებით, საშინაო და საგარეო საქმეების ინიციატივაში. ფედერალურ კანცლერს თანამდებობრივი მდგომარეობა

ავალებს განსაზღვროს პოლიტიკის სწორი გეზი, მინისტრთა უმრავლესობის პოლიტიკური მოქმედების მასშტაბები.

ხელისუფლების დაყოფის პრინციპი ეფუძნება სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების კლასობრივ განსხვავებას ლეგისლატურად, ექსეკუტივად და იუდიკატივად. იგი გამოხატულებას პოულობს ისეთ ორგანოებში, როგორცაა ბუნდესტაგი, ფედერალური მთავრობა და სასამართლოები. სამართლებრივად ისინი ძირითადი კანონითაც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მაგალითად, ფედერალურ მთავრობას დამოუკიდებლად გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ეს ორგანოები მხოლოდ პოლიტიკურად არიან ურთიერთდაკავშირებულნი, რაც ასახვას პოულობს პრაქტიკაში. ასე წარმოიშობა, ერთის მხრივ, ფუნქციების შერწყმის კომპლექსური პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემა, ხოლო მეორეს მხრივ, ხელისუფლების დაყოფის პოლიტიკურად ახლებური სისტემები. ბუნდესტაგის უმრავლესობა ფედერალური კანცლერის არჩევნებისას იქცევა „სამთავრობო უმრავლესობად“, რომელიც საკანონმდებლო პერიოდში საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად ახორციელებს მთავრობის პოლიტიკას. ასე წარმოიშობა მკიდრო პერსონალური და პოლიტიკური კავშირი ფედერალურ მთავრობასა და მთავრობის უმრავლესობას შორის მათი ფუნქციების განსხვავებისა და დაყოფის მიუხედავად. პოლიტიკურად ამის საპირისპიროდ დგას „ობოზიცია“, ანუ დეპუტატების უმცირესობა ბუნდესტაგში. ობოზიცია შეიმუშავებს პოლიტიკურ ალტერნატივებს, რომლის განხორციელებაც შეუძლია ჩვეულებისამებრ ბუნდესტაგში, მაგრამ მათ წარადგენს ბუნდესტაგის უახლოესი არჩევნების დროს, რათა მიაღწიოს უმრავლესობის მიმხრობას. ხელისუფლების დაყოფაში მხოლოდ მართლმსაჯულებაა ის რგოლი, რომელიც სამართლებრივად გადამწყვეტადაა მინდობილი სასამართლოებზე. სასამართლოებზე პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა თავისთავად გამორიცხებულია, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეებს ნიშნავენ აღმასრულებელი ორგანოები, ნაწილობრივ კი — საკანონმდებლო ხელისუფლების წევრების ურთიერთმოქმედებით. მართლმსაჯულება კავშირშია მხოლოდ კანონსა და სამართალთან.

ფედერალური სახელმწიფოებრიობა ასლია გერმანული სახელმწიფოებრიობის ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურისა, რომელიც მხოლოდ მესამე რაიხში მოისპო. გფრ-ის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სტრუქტურა კონსტიტუციური ცვლილებების დროსაც კი ხელშეუხებელია. იგი ეფუძნება გფრ-ის, როგორც მთლიანი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას — ფედერაციასა და 16 მიწის სახელმწიფოებრიობას. თითოეული ამ სახელმწიფოთათვის ახორციელებს საკუთარ ორიგინალურ არაწარმოებად სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, გამოხატულს სამივე ფუნქციაში. მთლიანი სახელმწიფოს — ფედერაციის — სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს განსაზღვრული უპირატესობა, აქედან გამომდინარე, ფედერაციულ სამართალს უპირატესობა აქვს მიწების სამართალთან შედარებით (ძირითადი კანონის 31-ე მუხლი). ფედერაციისა და მიწების ფუნქციები ისეა განაწილებული, რომ ძირითად კანონით (30-ე მუხლი) სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელება და სახელმწიფო ამოცანების შესრულება შედის მიწების კომპეტენციაში, გარდა იმ განსაკუთრებული საკითხებისა, რომლებიც შედის ფედერაციის კომპეტენციაში. მიწების საკანონმდებლო კომპეტენციაში რჩება მხოლოდ სკოლები და კულტურა, პოლიცია და საკუთარი სახელმწიფოებრივი მოწყობის საკით-

ბები, მაგრამ ამავე დროს, სკოლებთან დაკავშირებით მიწებს განსაზღვრული უპირატესობა აქვთ მინიჭებული, კერძოდ, რელიგიურ სწავლებასთან და კერძო სკოლებთან დაკავშირებით, ხოლო ფედერაციას დაკისრებული აქვს ყველაზე არსებითი და ცენტრალური საკითხები, მათ შორის ისეთი, როგორცაა საკანონმდებლო კომპეტენციის სფერო, რაც იწვევს პაექრობას მიწებთან. ძირითადი კანონი ფედერაციისა და მიწების კომპეტენციის გამიჯვნასთან იძლევა განსაკუთრებული და მოპაექრე საკანონმდებლო კომპეტენციის ცნებას. ფედერაციის საკანონმდებლო კომპეტენცია გამოხატულია იმ საკითხებში, რომლებიც მოცემულია ძირითადი კანონის 73-ე მუხლში. ამ სფეროში მიწები ალტურვილია მხოლოდ საკანონმდებლო უფლებამოსილებით, რომელიც მინიჭებული აქვს მათ ფედერაციის კანონმდებლობით. მოპაექრე საკანონმდებლო კომპეტენცია ვრცელდება ისეთ სფეროებში, როგორცაა სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, განაჩენის აღსრულება, სასამართლო წყობილება, საპროცესო სამართალი, ადვოკატურა, ნოტარიატი, იურიდიული კონსულტაცია, სამეურნეო სამართალი, გარემომცველი გარემოს სამართალი, შრომის სამართალი, სასოფლო-სამეურნეო სამართალი და სხვ. (74-ე მუხლი).

მიწების კომპეტენციაში არ შედის მმართველობა, რამდენადაც მათ საქმე აქვთ ფედერალური კანონების შესრულებასთან. ამასთან, ფედერაციას აქვს ზემოქმედების უფლება, რათა ფედერალური კანონები ერთგვაროვნად განხორციელდეს ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე.

ფედერალური სახელმწიფოებრიობის შემდგომი საფუძველია ფინანსების შედგენა (105-ე მუხლი). დავალებების დაფინანსება ხდება ფედერაციისა და მიწების მიერ საკუთარი საშუალებებით. საგადასახადო შემოსავლების დაყოფა რეგულირებულია ნაწილობრივ ძირითადი კანონით, ნაწილობრივ კი — ფედერალური კანონებით. გარდა ამისა, ადგილი აქვს ფინანსების გათანაბრებას ფედერაციასა და მიწებს შორის, აგრეთვე თვით მიწებს შორისაც. განსაზღვრული დავალებები. კერძოდ, ერთობლივი დავალებები შეიძლება დაფინანსდეს ფედერაციისა და მიწების მიერ ერთობლივად (91 a, 91 b მუხლები).

რაც უფრო იზრდება ფედერაციის პოლიტიკური მნიშვნელობა, მით უფრო უმცირდებათ ის მიწებს. ფედერალური სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური სტრუქტურა შენარჩუნდება და უზრუნველყოფილი იქნება მისი ფუნქციონირება არა ფედერაციისა და მიწების კომპეტენციის მკაცრად დაყოფით, არამედ მათ შორის ურთიერთთანამშრომლობის კომპლექსური წყობის შექმნით.

ფედერაციისა და მიწების განსაზღვრული პოლიტიკური გათანაბრება გამოხატულებას პოულობს მიწების მონაწილეობაში ფედერალური სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელებისათვის ბუნდესრატის მეშვეობით, კერძოდ, ფედერაციის კანონშემოქმედებით საქმიანობასა და მმართველობაში (ძირითადი კანონის 50-ე მუხლი). ბუნდესრატი კი შედგება მიწების მთავრობის წევრებისაგან.

ვინაიდან მიწები სახელმწიფოებია, მათ აქვთ საკუთარი კონსტიტუციები, საკუთარი სახალხო წარმომადგენლობები და მთავრობები. ისინი ეფუძნებიან კონსტიტუციურად გამოხატულ დაყოფას დემოკრატიად, პარლამენტარიზმად. ხელისუფლების დანაწილებას. თუმცა მიწების კონსტიტუციებში

ადგილი აქვს მნიშვნელოვან გადახვევას ძირითადი კანონის მოდელისაგან. მაგალითად, თითქმის ყველა მიწის კონსტიტუციაში გათვალისწინებულია პლემბისციტები — სახალხო ინიციატივები და სახალხო გამოკითხვები. მიწების შიდა ორგანიზაცია ფედერაციისაგან დამოუკიდებლადაა აგებული. ამ მხრივ, ამ უქანასკნელს არა აქვს რაიმე ზემოქმედების მოხდენის უფლება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბოლო რგოლს შეადგენენ თემები და სათემო კავშირები. მართალია, ისინი შედიან მიწებში, მაგრამ ძირითადი კანონის 28-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მათ გააჩნიათ თვითმმართველობის გარანტირებული უფლება. სამართლის თეორიაში დავას იწვევს თვითმმართველობის უფლების წარმომავლობის საკითხი, კერძოდ. პირველადია ეს უფლება თუ სახელმწიფოებრივად აქვთ იგი მინიჭებული. უმრავლესობა უფრო მეორე მოსაზრებისაკენ იხრება, თემები, მიუხედავად „თვითმმართველობისა“, მაინც მიიჩნევიან არაპირდაპირ „სახელმწიფო მმართველობებად“.

თემის თვითმმართველობის უფლებას განეკუთვნება ისეთი საკითხები, როგორცაა თემის ტერიტორიის ფართომომცველი დაგეგმვა, უპირველესად არქიტექტურული გაფორმება, თემის მთელი შიდა განვითარება. ამას გარდა, თემების მიერ უნდა წყდებოდეს თემის კულტურული, სამეურნეო და სოციალური საკითხები. ფედერალური კანონების შესრულება თემის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია მიწების მხრიდან სამართლებრივი ზედამხედველობით.

4. სახელმწიფო და ადამიანი (მოქალაქე). სახელმწიფოსა და ადამიანის ურთიერთობაში უმთავრესია ძირითადი კანონის 1-ლი მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადამიანთა ღირსება უნდა გაითვალისწინონ და დაცვან. ეს მოთხოვნა შეეხება ფედერაციას, მიწებს, თემებს, სახელმწიფოს ყველა ფუნქციას და ამ ფუნქციის განმახორციელებელ ყველა ორგანოს.

აღნიშნული მოთხოვნა დაკონკრეტებულია კონსტიტუციური სამართლის სფეროში ძირითადი კანონისა და მიწების კონსტიტუციების ძირითად უფლებებში, აგრეთვე კონსტიტუციის ქვემდებარე აქტებშიც, კერძოდ. ადმინისტრაციულ, სოციალურ, საგადასახადო, სისხლის სამართალში.

ძირითადი კანონისა და მიწების კონსტიტუციების ძირითადი უფლებები ახლოს დგას ადამიანთა უფლებების კლასიკურ ტრადიციებთან. რომლებიც თანდათანობით განვითარდა მე-18 საუკუნიდან. ძირითადი კანონი იცნობს ძირითადი უფლებების ოთხ კატეგორიას: თავისუფლებები, თანასწორობის უფლებები, პოლიტიკური უფლებები და ერთდერთ შემთხვევაში გამოხატული — ძირითადი სოციალური უფლება. მიწების ზოგიერთი კონსტიტუცია კი ძირითადი კანონისაგან განსხვავებით შეიცავს მრავალ ძირითად სოციალურ უფლებას.

ძირითადი უფლებების პირველი სამი კატეგორია მის მატარებლებს ანიჭებს სუბიექტურ-საჯარო უფლებებს, რომელთა განხორციელება სახელმწიფოსაგან განსხვავებით შესაძლებელია სასამართლო დაცვის საშუალებით. ხოლო ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის 4 ა პუნქტით — ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს საშუალებით — კონსტიტუციური სარჩელთ, თუ პირი ჩათვლის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დარღვეულია მისი ერთ-ერთი ძირითადი უფლება.

თავისუფლებებს მიეკუთვნება უპირველესად: პიროვნების თავისუფალი

განვითარება (მე-2 მუხ. 1 ნაწ.); რელიგიური აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება (მე-4 მუხ.); აზრის თავისუფლება წერილობითი და გამომცემ-ველობითი საშუალებით; ბეჭდვისა და ინფორმაციის თავისუფლება რადიო-სა და კინოს საშუალებით (მე-5 მუხ.); ქორწინებისა და ოჯახის თავისუფლება მშობლების უფლებებთან ერთად (მე-6 მუხ.); კრებების თავისუფლება (მე-8 მუხ.); გაერთიანებების, კავშირების და საზოგადოებების შექმნის თავისუფლება შრომის პირობების დაცვის მიზნით (მე-9 მუხ., მიმოწერის, საფოსტო, სა-ტელეფონო და სატელეგრაფო კავშირების თავისუფლება (მე-10 მუხ.); გა-დაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის შერჩევის თავისუფლება (მე-11 მუხ.); პროფესიის არჩევის თავისუფლება (მე-12 მუხ.); ბინის თავისუფლება (მე-13 მუხ.); კერძო საკუთრების თავისუფლება (მე-14 მუხ.); ყველა ჩა-მოთვლილი თავისუფლება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს ანიჭებს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობებს ცხოვრების დასახელებულ სფეროებში, გამონაკლისია მხოლოდ მე-8, მე-9, მე-11 და მე-12 მუხლები, რომლებიც ასეთ შესაძლებლობებს ანიჭებს მხოლოდ გერ-მანელებს.

ძირითადი კანონით დადგენილ თავისუფლებებს გააჩნია განსაზღვრუ-ლი სპეციფიური და კანონიერი ფარგლები, რომელთა შინაარსის დარღვევის უფლება არავის არა აქვს, ისინი მუდამ შესაბამისობაში უნდა იყოს ძირი-თად კანონთან. სწორედ ამიტომ კონსტიტუციურად საწინააღმდეგოა კანონ-მდებლის მხრიდან რაიმე სახელმწიფოებრივი ჩარევა ამ თავისუფლებებში. ხოლო ასეთი ჩარევის შემთხვევაში ძირითადი უფლებების მატარებლებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გააჩნიათ სასამართლოს საშუალებით თავის დაც-ვის უფლება.

თანასწორობის უფლებები დიფერენცირებულია. საყოველთაო თანას-წორობის ნორმის გვერდით (მე-3 მუხ. (1) ნაწ.) დგას მამაკაცისა და ქალის თანასწორობის უფლება (მე-3 მუხ. (2) ნაწ.), აგრეთვე უთანასწოროდ მოპყ-რობის აკრძალვა მიუხედავად სქესისა, წარმოშობისა, რასისა, ენისა, სამშობ-ლოსი, სარწმუნოებისა, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა. მარ-თალია, უთანასწოროდ მოპყრობა არ არის მთლიანად გამორიცხული, მაგ-რამ საჭიროებს განსაკუთრებულ საფუძვლიან გამართლებას, რაც გამოიხა-ტება ვერმანელებთან დამოკიდებულებაში. მაგალითად, ჭანსაკუთრებული ხერხით არის უზრუნველყოფილი გერმანელებისათვის სამოქალაქო უფლებე-ბისა და მოვალეობების, სახელმწიფო თანამდებობების დაკავების თანასწო-რობა (33-ე მუხ. (1) და (2) ნაწილები), საარჩევნო უფლების თანასწორობა (38-ე მუხ.).

სახელმწიფოსა და ადამიანს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობებში საერთოდ უნდა გამოირიცხოს, ერთის მხრივ, სამართლებრივი პრივილეგიე-ბისა, და მეორეს მხრივ, ზარალის მიყენების ყოველი სახე. საქმე ეხება მხო-ლოდ სამართლებრივ და არაფაქტობრივად არსებულ თანასწორობას. მაგრამ, ჯერ ერთი, ფაქტობრივი უთანასწორობა სამართლებრივად შეიძლება არც მოქმედებდეს, და მეორეც, თანასწორობის სამართლებრივი გარანტიიდან და ფა-ქტობრივი ურთიერთობებიდან შეიძლება ისე გამომდინარეობდეს თანასწორო-ბის შანსი, რომ ყველა შემთხვევაში წარმოიშვას სამართლებრივი თანასწო-რობის მოპოვების სამართლებრივი პირობები. ამაში ვლანდება თავისუფლე-ბებისა და თანასწორობის უფლებების მჭიდრო კავშირი, ვინაიდან


თავისუფლებები ყველასათვის თანაბარია, ხოლო ყველა კი — თანაბრად თავისუფალი. იმისათვის, რომ მამაკაცებისა და ქალების თანასწორუფლებად მოსილება გახდეს ფაქტობრივად მოქმედი, ქალების სასარგებლოდ შემოთავაზებულია განსაზღვრული სპეციალური რეგლამენტაცია, კომპენსაცია ბავშვების მოვლა-აღზრდაზე გაცდილი სიძნეელებისათვის.

პოლიტიკური უფლებები (Status activus) პირველ რიგში მოიცავს საარჩევნო უფლებას (38-ე მუხ.) და ყველა თანმდებობის დაკავების უფლებას მათი მიდრეკილებების, უნარიანობისა და პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად, მიუხედავად რელიგიური აღმსარებლობისა (38-ე მუხ. (2) და (3) ნაწილები). ეს ორივე უფლება შეეხება მხოლოდ გერმანელებს. საარჩევნო უფლებას უფრო კონკრეტულად ეხება ფედერალური საარჩევნო კანონი (§. 1).

რაც შეეხება ძირითად სოციალურ უფლებებს, ისინი ძირითად კანონში არ არის მოცემული გარდა ერთადერთი ნორმისა, რომელიც უზრუნველყოფს ყოველი დედის უფლებას საზოგადოებისაგან დაცვასა და მზრუნველობაზე (მე-6 მუხ. (4) ნაწ.). ძირითადი კანონისაგან განსხვავებით, მიწების კონსტიტუციებში ასახულია სოციალური ცნებები განათლებაზე, სამუშაოზე, შვებულებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და ა. შ.

საპარლამენტო საბჭომ მიუთითა თავისი არსით ზოგად კონსტიტუციურ ძირითად დებულებაზე და ფედერაციული რესპუბლიკის როგორც „სოციალური სახელმწიფოს“ სახელმწიფოებრივი მიზნის განსაზღვრულობაზე. ამით მან გამოაცხადა, ერთის მხრივ, სოციალური აუცილებლობის უზრუნველყოფა და განმარტა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წყობის საფუძვლიანი, ინტეგრალური ნაწილების მნიშვნელობები, მეორეს მხრივ, სახელმწიფო ორგანოები, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო, წარმართა სავალდებულო ამოცანების შესასრულებლად, რათა თავისი საქმიანობით განახორციელონ აღნიშნული სოციალური უზრუნველყოფა დადგენილი მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მაგრამ ამის გარეთ, სამართლის მეცნიერებისა და კონსტიტუციური კანონმდებლობის ბოლოდროინდელმა განვითარებამ თავისუფლებებისა და თანასწორობის ძირითადი უფლებების ცნებებს დაუმატა ობიექტური სიდიდე, მიანიჭა სხვადასხვა ფუნქციები. სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, მათ იქით უნდა წარმართონ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა, სადაც ისინი საფუძვლიანად არიან წარმოდგენილნი. სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო საქმიანობა გამოკვეთილია მართლწესრიგის ფორმაში. მართლწესრიგმა კერძო პირთა შორის ურთიერთობის დროსაც ისე უნდა შეძლოს განვითარება და გაფორმება, რომ შექმნას აუცილებელი სამართლებრივი ფარგლები, რათა შესაძლებელი იყოს ძირითადი უფლებების დაცვა და განხორციელება ორმხრივი შეთანხმებითა და სახელმწიფოს სხვა მიზნებიდან გამომდინარე. ძირითადი უფლებების დებულებები, როგორც სახელმწიფო მიზნის განსაზღვრულობები, მაინც არ წარმოადგენს ფილტრს სახელმწიფო ორგანოებისათვის, ისინი სახავენ მხოლოდ წამყვან მიმართულებებს, ძირითად მომენტებს, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები, და პირველ რიგში კი კანონმდებელი, უნდა მისდევდნენ თავისი პოლიტიკური აზროვნების შესაბამისად.

5. სახელმწიფო და ეკლესია. სახელმწიფო ურთიერთობა მორწმუნეებთან და ეკლესიასთან მოგვარებულია ძირითადი კანონის განსაკუთრებული ნორმებით და განვრცობილია მიწების კონსტიტუციებით. განსაკუთრებით არის



მოწესრიგებული ეს ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან 1933 წლის რეიხის კონკორდატით და კონკორდატებით მიწებთან, რომელთა ხელმოწერილი 20-იანი წლებიდან იღებს ძირებს, მაგრამ დღემდე ძალაშია. ამავე როლს ასრულებს ევანგელისტური ეკლესიების ხელშეკრულებები მიწებთან და სხვა რელიგიური საზოგადოებების მიწებთან ურთიერთობის აქტები.

ძირითადი კანონის მე-4 მუხლით, ყველა ადამიანს გარანტირებული აქვს აღმსარებლობის, სინდისის, რელიგიური და საზოგადოებრივი შეხედულებების თავისუფლება, როგორც კულტის აღსრულების, ასევე საზოგადოებრივ და სხვა სფეროებში. ამ მუხლით იკრძალება რელიგიური შეხედულებებისათვის და რელიგიური მოქმედებისათვის ყოველგვარი იძულება. ყველა მოქალაქეობრივი უფლება და მოვალეობა დამოუკიდებელია მსოფლმხედველური შეხედულებებისაგან. ეს ეხება ყველა რელიგიას — ქრისტიანულის გვერდით ძველსა და „ახალგაზრდულ“ რელიგიებსაც.

გფრ არის რელიგიური და მსოფლმხედველური შეხედულებების მხრივ ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც თავის თავთან არ ახდენს რომელიმე რელიგიის, შეხედულების, იდეოლოგიის იდენტიფიკაციას. ამიტომაც არ არსებობს აქ არც ერთი სახელმწიფო ეკლესია.

ეკლესიებისა ან მსგავსი რელიგიური გაერთიანებების დაარსება თავისუფალია. ქრისტიანული ეკლესიები, ასევე სხვა რელიგიური გაერთიანებები კონსტიტუციის მიხედვით წარმოადგენენ გაერთიანებებს, მაგრამ ისინი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების რიცხვს არ მიეკუთვნებიან, არამედ აქვთ განსაკუთრებული სტატუსი.

ეკლესიების დაფინანსება ხდება ძირითადად საეკლესიო გადასახადებით, რომლებიც ეკლესიების მიერ არის დადგენილი, მორწმუნეთა ნებაყოფლობითი შემოწირულობებით, აგრეთვე სახელმწიფოს საქველმოქმედო საფინანსო შენატანებით.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობანი წესრიგდება სხვადასხვა ხელშეკრულებებითაც, რომლებიც არეგულირებენ განათლების, სოციალურ სფეროებში საზოგადოებრივ ურთიერთობებს, შავალითად, რადიო-მაუწყებლობის გადაცემებში საეკლესიო მოსაზრებათა გადაცემა და ა. შ.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა მრავლსახოვანია. ძირითადი კანონით დადგენილი გაყოფის მიუხედავად, სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით ყალიბდება გარკვეული კოოპერაცია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არ არის გამორიცხული კონფლიქტებიც მათ შორის, მაგალითად სადათა საეკლესიო გადასახადების სახელმწიფოებრივი ამოღების საკითხი, თეოლოგიურ ფაქულტეტებთან დაკავშირებული და სხვა პრობლემები.

გერმანულიდან თარგმნეს როინ შიგრიულმა და დათო პატარაიამ.

ტრადიციული შეკრება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა იურიდიული ფაკულტეტის ევროპული კურსდამთავრებულთა უკვე ტრადიციულად ქვეყნული შეკრება, რომელშიც ძალზე გაუთბილ, საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

შეკრებას უძღვებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი რეზინა შენგელიძე.

იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საკანონმდებლო მუშაობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გივი ინჯაბერიძე.

— დღევანდელი შეკრება, აღნიშნა მან, ძალზე საქმიან და კარგი დონისებზეა, განსაკუთრებით ამ სიტუაციაში, როდესაც ასე გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ჩვენი ქვეყანა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირველ ნაბიჯებს დგამს. ამ შეკრების მთავარი დანიშნულებაა იურისტების ახლებური მუშაობისათვის გეზის მიცემა, უკეთესი კადრების მოწოდება, კვალიფიციურ სპეციალისტებად მათი ჩამოყალიბება, რაც ასე სჭირდება დღეს ჩვენი სახელმწიფოს. საქიროა ფერხე ავუწყვთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მთელი არსებით ჩავებთ ამ ფერხულში. სწორედ ამ ნიშნით უნდა განვიხილოთ უკანასკნელი და ყოველი მომდევნო სასწავლო წელი.

შემდეგ ბატონმა გივი ინჯაბერიძემ ისაუბრა იმ სერიოზულ პრობლემებზე, რომლებიც წინ ედგობება ფაკულტეტებზე სასწავლო პროცესის ჭეშოვან მოწყობას. ევროპა დისციპლინა ახლებურად უნდა იქნეს გააზრებული, თქვა მან, ლექციები, სემინარები უფრო საქმიანი და ტიპური უნდა გახდეს. მუშავდება ახალი, რადიკალურად განსხვავებული სახელმძღვანელოები, პრინციპები, ცნებები. შეხედულებები, უნდა გავკაფოთ ჩვენი გზა იურიდიულ მეცნიერებასა და სწავლაში მხოლოდის ცივილიზებული ერების გამოცდილებათა გათვალისწინებით. სასწავლო პროცესიდან ამოვიღოთ ზოგერთი დისციპლინა, ნაწილი ახლებურად გავიზარტო და შევუცვალოთ სახელი, თუმცა, ჭეშოვანობით ეს არ არის საჭირო და მუშაობა კვლავ გრძელდება, ამ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერები, რომელთაც სრული თავისუფლება მივანიჭეთ. ანგარიშს ვუწევთ და ვიზარტებთ მათ აზრს. მათივე წინადადებით შევქმენით სამეცნიერო საბჭო, გავზარდეთ თვითმმართველობის ელემენტები.

დასასრულ, ბატონმა გივი ინჯაბერიძემ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც ექვეა რესპუბლიკის ახალი კანონმდებლობის შემუშავების საქმეში. არცერთი კანონპროექტი არ მუშავდება ჩვენთან კონსულტაციებისა და აქტიური მონაწილეობის გარეშე, რისთვისაც მომავალშიც მუშავდება.

საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის პრობლემებზე ისაუბრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, პროფესორმა ლევან ალექსიძემ.

— ჩვენი პარლამენტის მიერ არჩეული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა სავსებით სწორად და რეალურად მესახება, აღნიშნა მან, გამართლებული იყო რეფერენდუმის იდეაც, რომელმაც ბრწყინვალე შედეგი მოგვცა. თუმცა, დამოუკიდებლობის დეკლარირებას ჭერ არ ვაპირებდით, მაგრამ სამაჩაბლოში რუსეთის ქარის შემოსვლამ გვაძალა გადაგვადგა ეს ნაბიჯი, და თუ ვინმე არ ეთანხმება მას, მომავალი დეკლარირებას ამ გადაწყვეტილების სისწორეში — სულ მალე ჩვენი საერთაშორისო სამართლის სუბიექტები ვიქნებით.

შემდგომ გამომსვლელმა ისაუბრა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არსებულ პრობლემებზე, დამოუკიდებლობის მიღწევის ხელისშემშლელ სუბიექტურ ფაქტორებზე, პრინციპების არჩევნების წინ შექმნილ არაქანსად ატმოსფეროზე, ამასთან, მოკლედ დაახასიათა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შექმნილი სიტუაცია.

აფხაზეთსა და შიდა ქართლში ჩვენ როგორც იურიდიულად, ისე პოლიტიკურად მყარად ვდგავართ, აღნიშნა მან, გვიჭირს მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, თუმცა ეს პრობლემა ასე ერთბაშად და იოლად ვერ მოგვარდება.

დასასრულ, ლევან ალექსიძემ მოუწოდა რესპუბლიკის სამართალდამცვეი ორგანოების წარმომადგენლებს დროულად განთავისუფლდნენ ძველი სტრუქტურებისაგან და მხარში ამოუდგნენ ხალხის მიერ არჩეულ ეროვნულ პარლამენტს.

შეკრებას ეხწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი შახტანბრაშენი და უზენაესი სამმართველოს თავმჯდომარე მინდია უზრაშვილიძე.



© „სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 380110, თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 108,
ტელ.: 95-88-49, 95-58-87.

გადაეცა წარმოებას 23.05.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.07.91 წ.
ფორმატი 70X108¹/₁₆. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. № 1035. ტირაჟი 10.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

ზანი 1 მან.
ინდექსი 76185

6109/
119

